

# ისტორიანი

**ბიძნთა თანაში**  
**ქანჩანის**  
**ნეიმოშობის**  
**საიქამლო**



**1920 წლის დამანებრეველი მინისკარა გორევი**

**სისხნიანი ქონიქები**  
**ქანჩანის**  
**დავნი**



**ჯომონას**  
**საიქამლო**  
**შუნაძლო**  
**ამოსნანა?!**



**ჩით**  
**ბახიანსვანი**  
**თანაი მეფე?**

ქანთვალის ბიჩილი ქაოჯანი

**ლავან გოთა**

**გმირთა ვარამი**

**8 ნიგნად**

წიბნი VII

ფასი 3 ლარი

ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 5 ლარი

ქანთუცი  
ქვანი  
ჩნაშეთის  
ქიისტიანულ  
ქაბლაგში

დამოუხილავობა  
და ქანტიკან  
დასლაჩილი  
საქანთვალ

1500 წლის  
ბიბლია  
იქსონ  
„გომობიქი  
ქანა“?!



**სახიჩვი**

**ახალი აგებები**

ჯოკონდას ილუმინაცია შესაძლოა  
გავიფორნ ----- 6

სოფლებორას ამოუწურავი საილუმოლო ---- 7

უნიკალური ფოტოები ხელოვნების  
სასახლის არქივიდან ----- 8

„შავი არქეოლოგები“ ამჟამად  
ისტორიულ კერეთში გამოჩნდნენ! ----- 9

რას და როგორ კითხულობდნენ შუა  
საუკუნეებში ----- 10

**ილი მოვლენები**

ღამოუკიდებლობა და კარტიეზად

ღასლერილი საქართველო ----- 12

საქართველოს ისტორიის სიღრმეობანი  
რით გარდანიცვალა თხარა მემუ ----- 18

ჯიოჯნა-ბანათაქონაქობაქი მოქიბონის  
მოქობანი  
ნიქო ავალიშვილი – ბიობრაქონის ცნობილი  
და უცნობი უბრცლები ----- 24

ქაქიქონი სასოქონისი  
ბაცოცხლებული ისტორია ღია ციხე ქვეშ –  
საქალაქო სასხლი სამებრელოდან ----- 30

მინისქვიბი საქაქიქონი  
ბორის 1920 წლის მიწისქვიბა ----- 36



**სახიჩვძი**

<b>ელინ ქაიხურაძე</b> ერთი მაიზოლი დიდი მოურავის ცხოვრებიდან -----	42	<b>სმოხიბა</b> ილიკო სუსიშვილი: ჩვენი აზრით კვლევიდან არ უნდა გაქრეს! -----	72
<b>ბიძინაძის ისტორია</b> კუდიანების დევნა -----	48	<b>ქილიტი</b> ჯემალ ჭკუასელი — კარგი იმედა, ქართველები ერთმანეთს საფორტოს სიყვარულში თუ გავეჯიბრებით!.. -----	79
<b>მეხარულიანი ანაბანი</b> ქრისტიანული კვლავი ინტერვიუ -----	53	<b>„ისტორიანი“ ბავშვისთვის</b> 500 ფაქტი ისტორიიდან -----	82
<b>ჯანის სათუთებანი</b> ჯანის — თავისუფლების მუსიკა ამერიკიდან -----	59	<b>სპანკორდი</b> -----	90
<b>ქაიხაიის შექმნა</b> „ბრკანის თავაში“ -----	66		

## ხელახლობის სვეტი

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე პოლიტიკური პარტიებისა და ჯგუფების შექმნა დაიწყო. თავდაპირველად ყველაზე რადიკალურ პოზიციად საქართველოსთვის ფართო ავტონომიის მინიჭების მოთხოვნა მიიჩნეოდა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერდნენ სოციალ-ფედერალისტები და მათი წიაღიდან წამოსული ეროვნულ-დემოკრატიები. სამწუხაროდ, ყველაზე დიდ პოლიტიკურ მოძრაობას, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საქართველო კვლავ „დღე და რუსეთის“ წიაღში ეგულებოდა. ამ პარტიის წევრებისთვის დამოუკიდებლობის იდეა „შავი ჭირივით“ იყო, მაგრამ რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, სწორედ ამ პარტიას ხვდა წილად ყოფილიყო მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში თითქმის ორი წელიწადისა და ცხრა თვის განმავლობაში... მაგრამ მანამდე მოვლენები დრამატულად ვითარდებოდა რუსეთში. 1917 წელს თებერვალში პეტერბურგში დაწყებული მღელვარება მთელ იმპერიას გადაედო. იმპერატორი ნიკოლოზ მეორე იძულებული გახდა, თავისი ძმის სასარგებლოდ გადამდგარიყო, თუმცა მანაც მალე მოიხსნა უფლებამოსილება. რეალურ ხელისუფლებას პეტერბურგში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო ფლობდა, რომელსაც სოციალ-დემოკრატი კარლო ჩხეიძე ხელმძღვანელობდა. იმავედროულად ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა.

1917 წლის 25 ოქტომბერს პეტერბურგში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა, რომელმაც საბოლოოდ დაასამარა რუსეთში ყოველგვარი დემოკრატიული გარდაქმნები. ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს მომავალი ამიერიდან ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუკავშირდებოდა ბოლშევიკურ რუსეთს, პოზიციას თვით სოციალ-დემოკრატებმაც კი გადახედეს. ხოლო 1917 წლის მარტში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება პოლიტიკური თავისუფლების წინამორბედი გახდა... 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადებით საქართველოში დასრულდა თავისუფლებისთვის ბრძოლის ერთი დიდი ეტაპი, რომლის შემოქმედი არ ყოფილა რომელიმე პიროვნება, პარტია ან თუნდაც თაობა, არამედ ეს ყოველივე რამდენიმე თაობისა და მთელი ერის ბრძოლის შედეგი გახლდათ.



1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის დეკლარაციის ბაზოცხადებით საქართველოში დასრულდა თავისუფლებისთვის ბრძოლის ერთი დიდი ეტაპი

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი  
**„ისტორიანი“**

მთავარი რედაქტორი  
**ჯაბა სამუშია**

რედაქტორი  
**გელა გურგენიძე**

სტილისტი-რედაქტორი  
**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:  
**ალექსანდრე ბოშიშვილი**  
**ოქროპირ ჯიქური**  
**ნინო ჯაფარიძე**

კორექტორები:  
**ნანა მაჭავარიანი**  
**ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49  
**ტელ.: 238-13-72, 238-02-45**

სარეკლამო განყოფილება  
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70**  
**e-mail: istoriani@palitra.ge**


**ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ**

რედაქციის ნებართვის გარეშე  
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოსწორების მიმართულებით პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.  
**ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91**

# ჯონონდის იღმინებუ მუნაძმონ ბუმიფხონ

*მეცნიერები კეთილშობილი იტალიელი ქალის საფლავის გახსნას აპირებენ, რომელიც ლეონარდო და ვინჩის ცნობილი ტილოს „მონა ლიზას“ შექმნისას სახელგანთქმული იტალიელი ფერმწერისთვის პოზირებდა. ხელოვნების ისტორიის სპეციალისტი სილვიანო ვინჩეტი ვარაუდობს, რომ ლიზა ჯერარდინის ნეშტის გამოკვლევით შეძლებს საბოლოოდ გასცეს პასუხი შეკითხვას, — მართლაც ის იყო თუ არა და ვინჩის მოდელი. სპეციალისტები ექსპერტებს წმინდა ურსულას მონასტრის ტერიტორიაზე მოახდენენ.*



*სილვიანო ვინჩეტი იმედოვნებს, რომ ჯოკონდას საიდუმლოს საბოლოოდ ამოხსნის*

„მონა ლიზას“ ამოუცნობი დიმილის საიდუმლო ხელოვნებათმცოდნეებს უკვე ხუთ ასწლეულზე მეტია აწვალეს. „ჩვენ შეგვიძლია ბოლო მოუვლოთ საუკუნოვან დავას და ლეონარდოს ურთიერთობას მისივე მოდელთან ნათელი მოვფინოთ“, — ამბობს ვინჩეტი.

იტალიელი ხელოვნებათმცოდნე ჯერარდინის თავის ქალის დახმარებით მისი დნმ-ის დადგენასა და სახის ნაკვთების აღდგენას სამეცნიერო ტექნოლოგიების გამოყენებით გეგმავს. ვინჩეტიმ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად არაერთი მსგავსი ექსპერიმენტი მოაწყო და რამდენიმე ცნობილი მხატვრის სახე მათი ძვლის ქსოვილის მასალების დახმარებით აღადგინა. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ძვლების ანალიზი, რომელთა ასაკიც რამდენიმე ასეული წელია, დამაჯერებლად ვერ ჩაითვლება.

ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სილვიანო ვინჩეტიმ პარიზში, ლუვერში დაცული „მონა ლიზა“ დეტალურად შეისწავლა. კვლევა რამდენიმე თვეს გრძელდებოდა. ხელოვნებათმცოდნე ამტკიცებს, რომ ტილოზე ფარული სიმბოლოები აღმოაჩინა.

მეცნიერი ასევე ვარაუდობს, რომ ტილოზე ერთი კონკრეტული ადამიანი შესაძლოა სულაც არ იყოს გამოსახული და ის კოლექტიურ სახეს წარმოადგენდეს. „ლეონარდო და ვინჩი თავის ფერწერაში ადამიანის გარეგნობით მის შინაგან სამყაროს გამოხატავენ“, — ამბობს ვინჩეტი.



მკვლევართა მოსაზრებით, აბრეშუმით მოკაჭრე მდიდარი იტალიელის ცოლი ჯერარდინი, შესაძლოა ადრეულ პერიოდში მხატვრის მოდელი ყოფილიყო.

*მომზადებულია BBC-ის მასალების მიხედვით*

# სოვლემორას ამოწურავი საიდუმლო

ხოვლეგორაზე მეცნიერებმა მიაკვლიეს უძველესი დასახლების ნაშთებს, რომლებიც ძვ.წ. II-I ათასწლეულებით თარიღდება. წინასწარი ინფორმაციით, აქ დიდებულით სახლები და რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. გათხრების შედეგად აღმოჩნდა დამცავი ნაგებობა — ქვის გალავანი, რომელიც საფარაულოდ მთლიანად აკრავდა ნამოსახლარს. გაითხარა სამეურნეო დანიშნულების ორი ორმო, რომელიც არქეოლოგთა ვერსიით, მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა. იკვეთება საცხოვრებელი ოთახის ან საკულტო დანიშნულების ნაგებობა, რომელშიც სანაცრე ადგილია გამოყოფილი. შეფენილ გორაკზე დაგებული ყოფილა ქვაფენილი, სადაც გათხრების შედეგად აღმოჩნდა იატაკის ოთხი ფენა, რაც ხოვლეგორაზე ხანგრძლივი ცხოვრების არსებობაზე მიუთითებს.

**პასტანზ ლიჩელი** (ერთობლივი ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი): „ჩვენ შევისწავლეთ ხოვლეგორას ბორცვის ზედა ნაწილი, სადაც უნდა ყოფილიყო ტაძრები და სასახლეები, და მართლაც, ერთი ნაწილი კვლავ გამოვლინდა. ეს გახლავთ საერთაშორისო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლი“.

არქეოლოგთა შეფასებით, აქ ახალაღმოჩენილი სატაძრო-საკულტო, აგრეთვე საცხოვრებელი ნაგებობები ნამდვილი ხუროთმოძღვრების ძეგლებია.

ხოვლეში გათხრები 50 წლის წინ დაიწყო და უნიკალური აღმოჩენები სწორედ მაშინ



გაკეთდა. ადგილზე, სადაც მეცნიერთა აზრით, ცოცილიზაციის განვითარების უწყვეტი ჯაჭვია მოცემული, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდის უამრავი ნივთი იპოვეს. მათ შორის საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკა, რომელიც სხვადასხვა კულტურულ პერიოდს განეკუთვნება.

აქ მუშაობა ერთობლივმა ქართულ-ავსტრიულმა ჯგუფმა აპრილის დასაწყისში განაახლა. სპეციალისტები უკვე გამოკვლევულთან ერთად ამ დრომდე ხელშეუვლებ ადგილებსაც სწავლობენ.

ექსპედიციას თსუ-ის პროფესორი ვახტანგ ლიჩელი და ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფესორი ვოლტერ კუნტნერი ხელმძღვანელობენ. ექსპედიციის მონაწილეთა გადაწყვეტილებით, ხოვლეგორას ნამოსახლარი ამჯერად დაკონსერვდება. გათხრები აქ გაისად განახლდება.

**ნინო ჯაფარიძე**



# უნიკალური ფოტოები ხელოვნების სასახლის არქივიდან



უჯარმის ციხე XX საუკუნის დასაწყისში

მოდინახეს ციხე, რომელიც მიწისძვრამ დაანგრია და დღეს აღარ არსებობს, ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავი იყალთოში, ვარციხე, სამშვილდე, ბოლნისის სიონისა და წრომის ტაძრები, უჯარმა, სვანეთის სხვადასხვა კულტურული ძეგლი, ფრესკა, ხატი — ამ უნიკალური და უმნიშვნელოვანესი ობიექტების ასევე უნიკალური ფოტომასალა ამიერიდან ხელოვნების სასახლის არქივშია დაცული.

აღნიშნულ ფოტოებს შორის, სავარაუდოდ, დავით აღმაშენებლის ანდერძის ფოტოცაა. საგულისხმოა, რომ თავად ანდერძი ამ დროისთვის დაკარგულად ითვლება.

1910-1935 წლებით დათარიღებული ასამდე ფოტო და ორასამდე მინის ნეგატივი საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმს ჟურნალისტის ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი ჩაფრაავამ გადასცა, რომელსაც მასალა სრულიად შემ-

თხვევით ჩაუვარდა ხელში და განადგურებას გადაარჩინა.

მასალებს შორისაა ფოტოები, რომელიც სვანეთის ექსპედიციას, სხვადასხვა კულტურულ ძეგლს, ფრესკასა და ჭედურ ხატს ასახავს.

ფოტოებზე ასახული კულტურული ძეგლების უმრავლესობა დღეს აღარ არსებობს, უკეთეს შემთხვევაში კი სახეცვლილია ან რესტავრირებული. მასალები უნიკალურია იმიტომ, რომ მათზე შესრულებულია მინაწერები, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნის.

სპეციალისტები იკვლევენ, ვისი არქივიდანაა ეს უნიკალური მასალები.

სვანეთში გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოზე ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი გიორგი ჩუბინაშვილია გამოსახული, სწორედ ამიტომ, ერთ-ერთი ვერსიით, სვანეთის ფოტოები შესაძლოა ექვთიმე თაყაიშვილის თხოვნით გიორგი ჩუბინაშვილს გადაეღო.

ენიო ჯაფარიძე

უჯარმის ციხე დღეს ასე გამოიყურება



# „მავი არქეოლოგები“ აფერად ისტორიულ ჰერეთში გამოიხდნენ!

აზერბაიჯანში, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე ძველი სამარხები და ნამოსახლარები გამალებით ითხრება. თუმცა გათხრებს აქ არა არქეოლოგები, არამედ „განძის მაძიებლები“ აწარმოებენ. მოპოვებული მასალიდან ოქროს ნივთები ბაქოში მიდის გადასადნობად. ხოლო ასევე ოქროს, ბრინჯაოსა და სხვა მასალა, რომელსაც ისტორიული ღირებულება გააჩნია, სხვადასხვა ქვეყანაში გადის გასაყიდად.

ბრინჯაოსგან დამზადებული მამაკაცის თავის ქანდაკება, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, „განძის მაძიებელთა“ ნადავლის ნაწილია. მეკობრულად მოპოვებულ კიდევ რამდენიმე ნივთთან ერთად იგი გასაყიდად საქართველოში ჩამოიტანეს. პირი, რომელმაც ნივთები აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოიტანა, ამბობს, რომ ისინი ზაქათალის რაიონშია ნაპოვნი, თუმცა ზუსტ ადგილს არ აკონკრეტებს.

საქართველოში გასაყიდად ჩამოიტანილ ნივთთაგან ერთ-ერთისთვის ფოტოს გადაღება მოხერხდა.

„ბეგრან ვყოფილვარ და შავი არქეოლოგების კვალი ყველგან ჩანს. კახის რაიონში ისიც მითხრეს, თითქოს ერთ-ერთ ქართულ ნასოფლარში ოქროს ნივთები უპოვიათ და ბაქოში წაუღიათ. დაახლოებით ორი წლის წინ კი, კახის რაიონული ცენტრის გასწვრივ მდებარე მთის, ულუბაშის ფერდზე ნიაღვრის მოვარდ-



შე ბაზარზე  
გატანილი  
ბრინჯაოს  
ნაკეთობა

ნის შემდეგ ძველი სამარხები გამოიხდა. ყოფილი ქართული სოფლის, სოსიკანთკარის (ახლა მას სოსიკენტს ეძახიან) ნასახლარებზე კი ახლა მთლიან ქვევრებს თხრიან და ყიდიან“, — აცხადებს „ისტორიანის“ წყარო.

როგორც ირკვევა, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე განძის მაძიებლები წლების განმავლობაში მუშაობენ. მათი აქტიურობის მიზეზი, როგორც „ისტორიანის“ წყარო დასძენს, მოსახლეობაში გავრცელებული ლეგენდაა, თითქოს როდესაც ქრისტიანი ქართველები ეკლესიებს აშენებდნენ, საძირკველში აუცილებლად ჩაატანდნენ ოქროს.

წყაროს ცნობით, ლეგენდას აყოლილი ადგილობრივი ავანტიურისტები თხრიან ტერიტორიებს, სადაც ეკლესიების ნაშთებია შემორჩენილი.

წინა მუხარამი



# TALIZI

## თმის გადნეკვის ტენზი

ტაშკენბის 27. ტელ: 2141515

WWW.TALIZI.GE





წმინდანთა წიგნის შუა საუკუნეების ხელნაწერზე კარგად მოჩანს მკითხველის ხელით გაჭუჭყიანებული ფურცლის კიდებები

# რას და როგორ კითხულობდნენ შუა საუკუნეებში

შუა საუკუნეების რელიგიური წიგნების შესწავლით მათ მფლობელთა მანერებისა და ჩვევების დადგენა გახდა შესაძლებელი. კვლევა სენტ ენდრიუსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მოაწვეეს. მათი განმარტებით, შუა საუკუნეებში მკითხველებს იგივე ჩვევები და განცდები ჰქონდათ, რაც თანამედროვე ადამიანებს. ეშინოდათ აუადმყოფობის, იყვნენ კოლისტები და ლოცვის კითხვისას ჩათვლემდნენ ხოლმე.

მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელმა, დოქტორმა კეტრინ რუდიმ, რომელიც სენტ ენდრიუსის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის სკოლას წარმოადგენს, გადაწყვიტა შეესწავლა წიგნების ყველაზე ჭუჭყიანი

გვერდები. რადგან, მეცნიერის აზრით, ყველაზე ხშირად სწორედ ამ გვერდებს კითხულობდნენ.

კვლევისთვის სამეცნიერო ჯგუფმა სპეციალური მოწყობილობა — დენსიტომეტრი



დენსიტომეტრით გაჭუჭყიანების ხარისხს ზომავენ

გამოიყენა, რომელიც ფურცლის გაშავების ხარისხს ზომავს. ხელსაწყოს დახმარებით განისაზღვრა, წიგნის რომელ გვერდს კითხულობდნენ ყველაზე ხშირად.

კვლევის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ ევროპულ რელიგიურ წიგნებში ყველაზე მეტად ჭუჭყიანი ის გვერდები იყო, რომელიც წმინდა მოწამე სებასტიანის ლოცვებს შეიცავდა.

მოწამის ცხოვრების თანახმად, ის ჯერ მშვილდებით დაცხრილეს, შემდეგ ქვებით ჩაქოლეს.

კეტრინ რუდი ირწმუნება, რომ მისი ჭრილობები შავი ჭირის სიმპტომებს ჰგავდა. ამიტომ შუა საუკუნეებში, როცა სასიკვდილო სენი ევროპის ქალაქების მოსახლეობას მუსრს ავლებდა, ევროპელებმა შავი ჭირისგან დამცველ წმინდანად სწორედ ის აირჩიეს.

მეცნიერის აზრით, დაავადებებისადმი შიში მკითხველთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელი ნიშანი იყო. ამას გარდა, ისიც დაასკვნეს, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე ლოცვა გაცილებით პოპულარული იყო, ვიდრე ლოცვა მოევასთათვის.

მკვლევართა ჯგუფმა გამოარკვია, რომ ღამით ადამიანები არცთუ გულმხურვალედ ლოცულობდნენ. ადრიანი დილის ლოცვებში კი გაცილებით გაჭუჭყიანებული დასაწყისი გვერდები აღმოჩნდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ლოცვის კითხვისას ადამიანებს უბრალოდ ჩაეძინებოდათ ხოლმე.

„შუა საუკუნეებში რელიგია ჯანდაცვის, ცხოვრების დაგეგმვისა და ურთიერთობების განუყოფელი ნაწილი იყო. ამიტომ რელიგიური წიგნები მეტად პოპულარული გახლდათ. განსაკუთრებით, შეძლებულ ოჯახებში“, — ამბობს კეტრინ რუდი.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ წიგნი შუა საუკუნეებში ნამდვილ საგანძურს წარმოადგენდა. წიგნს დღეში რამდენჯერმე კითხულობდნენ, ლოცვის დროს. ფურცლებზე შემორჩენილი ჭუჭყის ანალიზისას ბევრი ინფორმაციის მიღება შეიძლება, რა ჩვევა ჰქონდათ მათ მფლობელებს და რას ანიჭებდნენ უპირატესობას.

*მომზადებულია BBC-ის მასალების მიხედვით*

*წმინდა სებასტიანის გამოსახულება*



დღევანდელი მოსწავლე-  
ახალგაზრდობის სასახლის  
ხედი, რომელშიც 1918  
წლის 26 მაისს  
საქართველოს  
დამოუკიდებლობა  
გამოცხადდა

# დამოუკიდებლობა და პახიხიხა დახეჩიხი სახეხიხეხი

(1918 წლის 26 მაისის შეფასებისთვის)

1918 წლის 26 მაისს წარმატებით დასრულდა ქართველი ერის ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. 26 მაისი გვირგვინია დიდი ეპოქისა, რომლის განმსაზღვრელი იყო ბრძოლა შელახული ეროვნული ღირსების აღსადგენად. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ამ გამორჩეულმა მოვლენამ განსაზღვრა ქართველი ერის ბედი არა მხოლოდ XX, არამედ XXI საუკუნეშიც. მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ დიდ მოვლენასაც ჰქონდა თავისი შუქ-ჩრდილები, რომლის გათვალისწინება 1918 წლის 26 მაისის შეფასებისთვის აუცილებელია.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტმა საფუძველი ჩაუყარა ახალ საქართველოს — საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (1918-1921 წწ.). დღევანდელი ქართველობა მაღლიერი უნდა იყოს იმ ურთულეს ეპოქაში მოღვაწე პოლიტიკოსებისა, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა და პარტიული კუთვნილების ადამიანებისა, რომელთაც შეძლეს ის, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ადგილი დაემკვიდრებინა ქართულ სახელმწიფოს.

სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის

აქტის შინაარსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები და დასანანი წარუმატებლობები განპირობებული იყო XX საუკუნის დამდგის ქართველი საზოგადოების განწყობილებით, ქართული ეროვნული მოძრაობის ხასიათით, პოლიტიკურ ძალთა, პოლიტიკური ელიტისა და პოლიტიკურ ლიდერთა მისწრაფებებით.

XIX საუკუნის დიდი ეროვნული მოძრაობის შედეგი იყო ანტირუსული განწყობილების გაძლიერება საქართველოში. XX საუკუნის დამდგიდან ვითარება იცვლება. ქართულ სინამდვილეში ეროვნულ და სოციალისტურ

ძალთა დაპირისპირებაში სოციალისტებმა იმ-  
ძღაერეს. ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძო-  
ლას, ილიას გზის გმობას ქართველი სოცი-  
ალ-დემოკრატები ეროვნული მოძრაობის და-  
სამარების აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ.

1901 წელს საქართველოში დიდი ზარ-ზე-  
იმით აღინიშნა „რუსეთთან საქართველოს ნე-  
ბაყოფლობით შეერთების 100 წლისთავი“. ცხადია, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება-  
სა და კავკასიის კოლონიურ ადმინისტრაცი-  
ას წინ ვერაფერს აღუდგებოდა. იუბილე ისე გა-  
იმართებოდა, როგორც ეს ხელისუფლებას სურდა. ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონია. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქარ-  
თველი საზოგადოების, პოლიტიკურ ძალთა, პოლიტიკური ელიტისა და პოლიტიკურ ლი-  
დერთა დამოკიდებულებას ამ სამარცხვინო, ქართველი ერის შეურაცხყოფელი იუბილე-  
სადმი. ცალკეული ქართველი პატრიოტის პროტესტი ვითარებას ვერ ცვლიდა. 1901-მა წელმა ცხადად დაადასტურა: საქართველო-  
ში არ იყო რამდენადმე ძლიერი და გავლენი-  
ანი ანტირუსული პოლიტური ძალა (პოლი-  
ტიკური პარტია), საშუალო და ახალგაზრდა თაობის პოლიტიურ ლიდერთა (თუ ლიდერო-  
ბის კანდიდატთა) შორის არ იყო გამოკვეთი-  
ლი ანტირუსული ორიენტაციით ცნობილი მოღვაწე.

ანტირუსული განწყობილების გაძლიერე-  
ბას ხელი შეუშალა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ (1914 წ.). გერმანიის იმპერიის მო-  
კავშირე ოსმალეთი (თურქეთი) არ მალავდა თავის აგრესიულ გეგმებს საქართველოსად-  
მი. საფრთხე რეალური იყო. საქართველოს დაცვა მხოლოდ რუსეთს შეეძლო. კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიის მარცხი საქარ-

თველოში ოსმალეთის ბატონობის დასაწყისს ნიშნავდა. ქართველი საზოგადოების აბსოლუ-  
ტური უმრავლესობისთვის, პოლიტიკურ ძალ-  
თა და პოლიტიკურ ლიდერთათვის საქართვე-  
ლოში ოსმალეთის მობრუნება წარმოუდგენე-  
ლი იყო. ამ შემთხვევაში არჩევანი ცუდსა (რუ-  
სეთსა) და უარესს (ოსმალეთს) შორის გაკეთ-  
და. ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტ-  
მა“ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემ-  
დედ საქართველოში გერმანიის მხარდაჭერით რუსეთის წინააღმდეგ აჯანჯვების დაწყება ვერ შეძლო. ამ იდეას წინ აღუდგნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. 1917 წლის თებერვალ-  
მარტის რევოლუციისა და რომანოვების იმ-  
პერიის ნგრევის შემდეგ დღეებში საქართვე-  
ლოში ანტირუსულ და პრორუსულ ძალთა თა-  
ნაფარდობა თითქმის 1901 წლის დონეზე იყო (ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ქართულ პო-  
ლიტიკურ ემიგრაციას ვეროპაში). ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა, რომ რუსე-  
თის იმპერიის ხელისუფლების სამართალმემ-  
კვიდრემ — დროებითმა მთავრობამ უმტკივ-  
ნეულოდ გააურცვლა თავისი იურიდიქცია სა-  
ქართველოზე და მთელ სამხრეთ კავკასიაზე.

1917 წლის მარტიდან თბილისში მუშაო-  
ბას შეუდგა ხელისუფლების სამხარეო ორგა-  
ნო — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კო-  
მიტეტი (ოზაკომი). ოზაკომისადმი ლოიალუ-  
რი პოზიცია დაიკავეს როგორც სოციალის-  
ტური ორიენტაციის ძალებმა (სოციალ-დე-  
მოკრატებმა, მენშევიკებმა, სოციალისტ-ფე-  
დერალისტებმა, სოციალისტ-რევოლუციონე-  
რებმა), ისე ეროვნულმა ძალებმა (ეროვნულ-  
დემოკრატებმა, უპარტიოებმა). იმავე პოლი-  
ტიკას დაადგა საქართველოს ეროვნული ინ-

გერმანელი სამხედროები საქართველოში, 1918 წელი





კარლო ჩხვიძე



ვვგენი  
ვვგენჯკორი



აკაკი  
ჩხენკელი

ტერპარტიული პირველი და მეორე კრება (1917 წლის აპრილი). სწორედ ინტერპარტიულმა კრებებმა (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) დაადასტურა საკვლავო ჭეშმარიტება: რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში ქართველი ერის, საქართველოს არსებობა ქართველ საზოგადოებას, პოლიტიკურ ძალებს, პოლიტიკურ ელიტასა და პოლიტიკურ ლიდერებს საესებით შესაძლებლად მიაჩნდათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის წამოყენება და დაცვა არავის უცდია. გაუბედავ და ზოგად მინიშნებებს კი აგრესიული კრიტიკით ხვდებოდნენ სოციალისტური ორიენტაციის ძალები.

ქართველ საზოგადოებაში, პოლიტიკურ პარტიებში ანტირუსული განწყობილების გაძლიერება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაცია უნდა მომხდარიყო 1917 წლის 25 ოქტომბერს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. ბოლშევიკებმა რუსეთის დემოკრატიული განვითარება შეწყვიტეს და ტოტალიტარული სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყეს. საქართველოს პოლიტიკურ ძალთაგან ყველაზე ძლიერს — ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) საბჭოთა (ბოლშევიკურ) რუსეთთან ურთიერთობის დამყარება პრინციპულად არ სურდათ, ისინი არც ცნობდნენ საბჭოთა რუსეთის მთავრობას. ყოველივე ეს საფუძველი არ გამხდარა ანტირუსული განწყობილების გაძლიერებისთვის, დასავლური ორიენტაციის შემუშავებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაციისთვის. ქართველი სოციალ-დემოკრატები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბოლშევიკები ხელისუფლებას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდნენ და რუსეთი ისევ დემოკრატიული განვითარების გზას დაადგებოდა (უნდა აღინიშნოს, რომ ასევე ფიქრობდა მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე). სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საქართველოში დროულად არ დაწყებულა რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწყვეტისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობის პროპაგანდა, არ დაწყებულა მოკავშირის ძებნა. პირიქით, დემოკრატიული რუსეთის მოტრფიალე სოციალისტური ორიენტაციის ძალები ხელს უშლიდნენ ქართველ საზოგადოებაში ანტირუსული განწყობილების გაძლიერებას, ქართველი ერის მომხადებას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ

თვალსაზრისით რადიკალური მოქმედებისგან თავს იკავებდნენ ეროვნულ-დემოკრატები.

საბოლოო ჯამში, საქართველოში ვერ შეიქმნა ძლიერი ანტირუსული პოლიტიკური ძალა, რომლისთვისაც მიუღებელი იქნებოდა საქართველოს ყოფნა როგორც საბჭოთა (ბოლშევიკურ), ისე დემოკრატიულ რუსეთში. ამიტომ იყო, რომ 1917 წლის 15 ნოემბერს თბილისში შექმნილი ამიერკავკასიის კომისარიატი (თავმჯდომარე ვეგენი გეგეჭკორი) მხოლოდ სამხარეო ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა. ამიერკავკასიის კომისარიატი საბჭოთა რუსეთის მთავრობას არ ცნობდა, თუმცა რუსეთთან სახელმწიფოებრივ კავშირს არ წყვეტდა და რუსეთში დემოკრატიული ხელისუფლების აღდგენას ელოდებოდა. ცხადია, ასეთი ტაქტიკის პირობებში ანტირუსული განწყობილება ვერ გაძლიერდებოდა და ვერც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლის დაწყება მოხერხდებოდა. ეროვნულ-დემოკრატების (გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილის, დავით ვაჩნაძისა და სხვ.) ენერგიული პროტესტის მიუხედავად, იგივე სულისკვეთება გაბატონდა საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე (გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს). ყრილობამ (თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას) პრორუსული ორიენტაცია დაადასტურა, თუმცა ხაზი გაესვა, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა არა საბჭოთა რუსეთი, არამედ დემოკრატიული რუსეთი. დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრე ეროვნულ-დემოკრატებს ქართველი სოციალ-დემოკრატები ისევ კავკასიის ფრონტზე მდგარი რუსეთის არმიით აშინებდნენ (დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში რუსეთის არმია ან საქართველოს ოკუპაციას მოახდენს, ან ფრონტის ხაზს დატოვებს და რუსეთს დაბრუნდება), დროდადრო ოსმალეთის აგრესიულ გეგმებზე საუბრითაც ცდილობდნენ ოპონენტების დაშინებას.

1918 წლის იანვრამდე ლოდინის ტაქტიკას შეიძლება რაღაც გამართლება კიდევ მოეძებნოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთის კანონიერი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო — დამფუძნებელი კრება გარეკეს, ლოდინის ტაქტიკამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. ლოდინის ტაქტიკა კიდევ უფრო უაზრო გახდა მას შემდეგ, რაც 1918 წლის იანვარში საქართველოს ოკუპაციის წარუმატებელი ცდის შემდეგ რუსეთის არმიამ საქართველო დატოვა. შექმნილ



ნოე ჟორდანიას



ნოე რამიშვილი

ვითარებაში რჩებოდა ერთადერთი გზა: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ აღდგენა. ამის სანაცვლოდ სოციალისტური ორიენტაციის ძალებმა რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწყვეტისგან კვლავ თავი შეიკავეს და ისევ ლოდინის ტაქტიკა განაგრძეს. მართალია, ამიერკავკასიის სეიმი (თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე) 1918 წლის 10 თებერვალს უკვე შეკრებილი იყო, მაგრამ ამიერკავკასიის (და არა საქართველოს!) დამოუკიდებლობა მხოლოდ 1918 წლის 9(22) აპრილს გამოცხადდა. თვით ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა ლოდინის ტაქტიკის განგრძობას ნიშნავდა. სოციალისტური ორიენ-



საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომის მონაწილეები

ტაციის ძალები ბოლომდე ფეხს ითრევდნენ, დემოკრატიული რუსეთის მოტრფიალენი თავს იზღვევდნენ და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას არ ჩქარობდნენ.

ლოდინის ტაქტიკას ბოლო ოსმალეთმა (თურქეთმა) მოუღო. ტრაპიზონის კონფერენციაზე (1918 წლის მარტი), ხოლო შემდეგ ბათუმის კონფერენციაზე (1918 წლის მაისი) ოსმალეთი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით (1918 წლის 3 მარტი) მინიჭებული უბირატესობის დადასტურებასა და ტერიტორიის დათმობას მოითხოვდა. საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (აჭარა, სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი) ოსმალეთის არმიამ დაიპყრო. საფრთხე ემუქვებოდა ქუთაისსა და თბილისს. 1918 წლის 25 მაისს, გვიან საღამოს, ქართული პოლიტიკური ელიტისთვის ცხადი გახდა: 1. სომხეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ოსმალეთის მიერ იყო ოკუპირებული; 2. აზერბაიჯანი ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყნად არ განიხილებოდა; 3. საქართველოს ტერიტორიის ნაწილი (სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი რაიონები) ოსმალეთის მიერ იყო ოკუპირებული. ოსმალეთის არმიის შემოტევის შეჩერება საკუ-

თარი სამხედრო ძალით საქართველოს არ შეეძლო; 4 სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მომხდარიყო ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე; 5. შეიძლებოდა ოსმალეთს საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც დაეპყრო, მაგრამ ამ შემთხვევაში ოსმალეთი დაიპყრობდა დამოუკიდებელ ქვეყანას, ეს კი საქართველოს მომავალში საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლას გაუადვილებდა; 6. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში გერმანიის იმპერია საქართველოს დაიცავდა, მათ შორის ოსმალეთის აგრესიისგანაც (ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაცვას გერმანია ვერ იკისრებდა, რადგან სომხები ანგლოფილურ, ხოლო აზერბაიჯანელები — თურქოფილურ ორიენტაციაზე იდგნენ). მოკლედ რომ ვთქვათ, საკითხი ასე იდგა: ან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება, ან ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარება. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელ-

მწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა არ ყოფილა ანტირუსული მოძრაობის, ანტირუსულ ძალთა კონსოლიდაციის შედეგი. პოლიტიკურმა ძალებმა, პოლიტიკურმა ელიტამ და პოლიტიკურმა ლიდერებმა მოსახლეობას არ განუმარტეს უმთავრესი: ქართველი ერი სახელმწიფოებრივ კავშირს წყვეტდა რუსეთთან, პოლიტიკური რეჟიმის მიუხედავად, უარს ამბობდა რუსეთის შემადგენლობაში ნებისმიერი ფორმით ცხოვრებაზე.

ტაქტიკის ასეთი სწრაფი შეცვლა გაუგებარი დარჩა ქართველი საზოგადოებისთვის. დამოუკიდებლობის აღდგენის წინა დღესაც საზოგადოებაში ანტირუსული განწყობილება არ ყოფილა ძლიერი და ყოვლისმომცველი. საზოგადოებამ პასუხი ვერ იპოვა კითხვებზე: ქართველები რუსეთს გაგურბოდით თუ ოსმალეთს? რუსეთთან სახელმწიფოებრივ კავშირს ვწყვეტდით და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ვაცხადებდით იმიტომ, რომ ასე გვსურდა, თუ ამას ოსმალეთის აგრესიისგან თავის დაცვა გვაძლავდა? ასეთმა ვითარებამ საზოგადოება დააბნია და საბოლოოდ, გახლიჩა კიდევ.

მიუხედავად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა, სოციალისტურ და ეროვნულ ძალთა შერიგება არ მომხდარა. გახლიჩილი დარჩა პოლიტიკური ელიტაცა და საზოგადოებაც. ახალმა საქართველომ არსებობა დაიწყო პოლიტიკურ ძალთა პრინციპული უთანხმოების, პოლიტიკური ელიტისა და მთელი ქართველი საზოგადოების გახლიჩის პირობებში. დროებითმა დაწავებამ, სოციალისტური და ეროვნული ორიენტაციის ძალების შეთანხმებამ ძალიან ცოტა ხანს გასტანა — 1918 წლის 25 მაისის გვიან საღამოდან 26 მაისის ნაშუადღევამდე. შემდეგ დაპირისპირება თავიდან დაიწყო...


1918 წლის 26 მაისს წარმატებით დაგვირგვინდა ქართველი ერის ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის. ამ დიდ მონაპოვარს ვერაფერი დაჩრდილავს. როგორი იყო ეს გამარჯვება, ამის თაობაზე პოლემიკა კიდევ დიდხანს გაგრძელდება, ჩვენი აზრი კი ასეთია: 1918 წლის 26 მაისი თავისი არსით იყო ისეთი, როგორიც იყო ქართველი საზოგადოება, ქართული პოლიტიკური ძალები, ქართული პოლიტიკური ელიტა და ქართველი პოლიტიკური ლიდერები. უკეთესი იმხანად მხოლოდ ოცნების სფეროს განეკუთვნებოდა.

**მანსტანა გურული**



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

*მემორიალური დაფა მოსწველე-ახალგაზრდობის სახსლის იმ დარბაზის კედელზე, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა*





# რით ბარდაიცვალა თამარ მეფე

გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტი სრულიად ახალგაზრდა თამარმა დაიკავა. იგი გიორგის შვილთაგან უფროსი იყო და ამიტომაც, როგორც წესი, 1184 წელს სწორედ მას დაადგეს სამეფო გვირგვინი. თამარის მოღვაწეობაზე სიტყვას არ გაგაგრძელებთ, მხოლოდ დაგძენთ, რომ მთელი ის 23 წელიწადი, რომლის განმავლობაშიც თამარ მეფე ქვეყნის მმართველობის სადავებთან იდგა, აღსავსეა წინააღმდეგობებით. ფეოდალთა გამოსვლებს ქართველ მეომართა ძლევაშილი ლაშქრობები ცვლიდა. წარმატებებიც იყო და წარუმატებლობაც, მაგრამ მიუხედავად ყოველივესი, ამ ეპოქამ ქართველთა ცნობიერებაში უდავოდ შესამჩნევი კვალი დატოვა. თავად თამარი კი ერის სათავეანებელ შვილად იქცა. ჯერ კიდევ თანამედროვენი უდიდესი პატივითა და მოწიწებით მოიხსენიებდნენ ზოლმე მეფეებად. იგი იყო მწერალთა, პოეტთა, მხატვართა შთაგონების წყარო. მისი სილამაზე, სათნო ბუნება მნახველთა აღფრთოვანებას იწვევდა. თამარი თავისი ეპოქის ჭეშმარიტად დიდი პიროვნება იყო. იმდროინდელ საქართველოში მას სამების მეოთხე წვერად იხსენიებდნენ. ქვეყნის დედად და მფარველად უხმობდნენ თანამედროვენი...



თამარ მეფე. ვარძიის ფრესკა

1206 წლის ზაფხული იდგა. მეფე თავისი ამალით ნაჭარმაგვეს ისვენებდა. იყო მხიარულება, განცხრომა, მაგრამ გარშემო მყოფნი თვალნათლივ ამჩნევდნენ, რომ მეფე შეუძლოდ იყო. დღითი დღე უძლეურდებოდა თამარი, დიდხანს სიარულიც უჭირდა, შესამჩნევა-

დაც დაიკლო. უკვე ნათელი იყო, რომ მეფეს რაღაც სენი შეჰყროდა. ბოლოს და ბოლოს, ეს თავად თამარმაც აღიარა. საუკეთესო მკურნალები მოუყვანეს მეფეს, მაგრამ ამაოდ, სენი თანდათან, უფრო და უფრო ძლიერდებოდა. იქნებ ნაჭარმაგვეის ჰავამ აწყინაო და თა-

მარი სასწრაფოდ თბილისში წამოიყვანეს. ქალაქის სანახებში, დასოდ წოდებულ ადგილას გაიყვანეს ავადმყოფი. აქ მეფეთა დასასვენებელი იყო ოდითგანვე და იფიქრეს, იქნებ აქაურმა კლიმატმა არგოსო. მაგრამ არც ამ ღონისძიებამ გამოიღო შედეგი. ამასობაში ზამთარიც დადგა, მეფე თავის სასახლეში, აგარის ციხეში აიყვანეს. თამარს მოძრაობის უნარი უკვე დაკარგული ჰქონდა და ამიტომ, ტახტრეანით დაჰყვდათ. მთელმა საქართველომ შეიტყო მეფის სნეულების ამბავი. ხალხი ეკლესიებში ღამის თევით ღოცულობდა, ღმერთს შესთხოვდნენ თამარის კეთილდღეობას. მკურნალები ყველაფერს აკეთებდნენ მეფის გადასარჩენად. მაგრამ ამაოდ... 1207 წლის 27 იანვარს ქართველთა სახელოვანი მეფე გარდაიცვალა.

რა სენით გარდაიცვალა ქართველთა სათაყვანებელი მეფექალი?

ეს კითხვა დიდი ხანია ელოდება პასუხს. მართლაც, საინტერესოა გარკვევა, რა სენმა იმსხვერპლა ქართველთა სათაყვანებელი მეფექალი.

თამარის ავადმყოფობისა და სიკვდილის შესახებ საკმაოდ საინტერესო მასალაა დაცული ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისა“. ნაწარმოების დასკვნით ნაწილში ავტორი მოგვითხრობს იმ ცვლილებებზე, რაც ავადმყოფობის შემდეგ განიცადა თამარ მეფემ. მემატთანე მიუთითებს სიმპტომებზე, რომელიც მას ავადმყოფობის დროს გამოაჩნდა.

მაშ ასე, მოვუსმინოთ ბასილი ეზოსმოძღვარს:

„ნაჭარმაგვეს გარდმოდგა მეფე თამარ და მის წინაშე იყენეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი... და მუნ დგომასა შინა გამოაჩნდა სენი რამე მომაოხრებელი ჩუენი, რომელი დღითი დღე დამძიდებოდა მის ზედა; და დიდხან ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს. გარნა ურგებელ იქმნა რაი ჭირი არა-მიმოუალველი კურნებისა, მაშინდა განაცხადა, რამეთუ დედობრივმან უძღურებამან განგრძობლთა შინა მხედრობათა არა თავსიდვა შეუმთხუეველად მიშუება აგებულებისა. და აქა საბრალობელ მიჩნს დიდად ერთგულნი იგი კაცნი, თუ ვითარ უკულებელს-ყვეს ეგოდენი ტკივნეულობაი მისი. რამეთუ წარმოიყვანეს კუბოთა ტფილის[ს], და შემდგომად მცირედთა დღეთა ენებათ ჩუეულებისაებრ, რათა დასოს განვიდნენ; ისწრაფდეს და მუნ მწარიყვა-



თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი

თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელზე მოჭრილი მონეტა



ნეს კუბოთავე და დიდად განძნელდა სენი იგი უწყალო, და კუალად წარმოიყვანეს აგარათა ციხესა. და უქმ იქმნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამოძეძიებლობა მკურნალთა ხელოვნებისა... დაწუთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად, და თუალოთა მათ, ტბაებრ მზისა შემცხრომელთა, სიმრუმედ მიმართეს. ხელთა მათ, მსახურებისაგან გლახაკათასა არაოდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძღურებად; და ფერხთა მათ, მარადის ღმრთისათვის მაშურალთა, იწყეს შედრეკად“.

ასეა აღწერილი სახელოვანი მეფის ავადმყოფობა XII-XIII საუკუნეების ავტორთან. იგი თამარის თანამედროვე იყო და ამიტომ მის



ზედი კოჯრის ციხიდან, სადაც საგარეულოდ უნდა გარდაცვლილიყო თამარ მეფე

მონათხრობს უთუოდ გულისყურით უნდა მოვეკიდოთ. არ არის გამორიცხული, ბასილი ეზოსმოდღარი მოვლენათა თვითმხილველიც ყოფილიყო და ყოველივე ზემოთ აღწერილი მისივე თვალით ნანახის გადმოცემას წარმოადგენდეს.

თავდაპირველად, ჩვენი აზრით, აუცილებელია თავად დაავადების ხანგრძლივობის განსაზღვრა. რა გზით და როგორ წარმოიშვა ეს დაავადება, არ ვიცით. მხოლოდ ცნობილია, რომ ნაჭარმაგევს მყოფი მეფე ამ დაავადებამ მეტად შეაწუხა და ბოლოს და ბოლოს, დამალვაც ვეღარ შეძლო. ერთი სიტყვით, ნაჭარმაგევში დგომის შემდეგ ავადმყოფობის ეს კრიზისული პერიოდი, საფიქრებელია, 5-6 თვეს გაგრძელებულიყო.

დაავადების კრიზისულ პერიოდში თამარის ავადმყოფობა შემდეგი სიმპტომებით ხასიათდებოდა.

ჯერ კიდევ ნაჭარმაგევში ყოფნის ჟამს მეფეს უკვე საგრძნობლად უჭირდა სიარული, ცხენზე ჯდომა. ამიტომაც, ნაჭარმაგევიდან თბილისში თამარი ტახტრეწვით წამოიყვანეს („წარმოიყვანეს კუბოთა“). სენის გართულებას სხეულის საერთო მოღუნება – სისუსტე გამოუწვევია. დაავადება დღითი დღე პროგრესირებდა. ამის შედეგად თამარი სახეზე გაილახა. როგორც მემატთანე მიანიშნებს: „დაწ-

ვთა მათ ვარდოვანთა იწვეს დაჭნობადა“. აქ უთუოდ სახის კანის დაჭკნობა (მობერება) უნდა იგულისხმებოდეს, რაც სიგამხდრეს უნდა გამოეწვია. მხოლოდ ქართველი მემატიანის მინიშნება, რომ თამარის დაწვები წინათ ვარდისფერნი ყოფილან, არაპირდაპირად მიუთითებს, რომ ავადმყოფობის დროს „დაწვთა მათ ვარდოვანთა“ ფერმკრთალობა შეჰპარვია. თამარს, სენის გაძლიერებასთან ერთად, თვალის სინათლაც დაჰკლებია. „თუალთა მათ, ტბაებერ შხისა შემცხრომელთა, — დასძენს მემატთანე, — სიმრუმედ მიმართეს“. „სიმრუმედ მიმართეს“ მემატთანეს შეიძლება ეხმარა როგორც სინონიმი თვალის სინათლის დაკლებისა. ე.ი. თვალეშმა, შხის დამამცხრომლებმა სიბნელეს მიმართეს (სინათლე დაკარგეს). ისტორიკოსი აქ არ უნდა გულისხმობდეს უსინათლობას, როგორც ასეთს, არამედ, ჩვენი აზრით, ამ კონტექსტში ლაპარაკი უნდა იყოს ზოგადად მხედველობის თანამიმდევრულ დაკარგვაზე. ქართველი მემატთანე იმავე აბზაცში განაგრძობს, „ხელთა მათ, მსახურებისაგან გლახაკათასა არაოდეს დაცხრომილთა, იწვეს მოუძღურებად; და ფერხთა მათ, მარადის ღმრთისათვის მამურალთა, იწვეს შედრეკად“. ამ კონტექსტში ჩამოთვლილია ის სიმპტომები, რომელიც სხეულის საერთო დასუსტებას გამოუწვევია, როგორცაა მაგალითად: ღო-

ნის დაკარგვა, ან არადა სიარულის უნარის წართმევა. ფიზიკური უღონობა, უძლურება ორგანიზმში განვითარებული კახექსიით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

აი, ის სიმპტომები, რომელთა მოძიებაც მოხერხდა ქართულ წყაროებში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ, გასული საუკუნის დასაწყისში იყო მცდელობა თამარ მეფის სიკვდილის მიზეზის დადგენისა. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ სახელოვანი მეფექალის გარდაცვალების მიზეზად „ჭკლექის სნეულებას“ მიიჩნევდა. სხვა ქართველი მეცნიერები კი უპირატესად ზოგადი მითითებით კმაყოფილდებოდნენ. მოსე ჯანაშვილი თამარისადმი მიძღვნილ ნაშრომში ერთგან დასძენს, რომ თამარს ნაჭარმაგვეს დაემართა „რადაც დედობრივი სენი“. ამასვე იმეორებენ იაკობ გოგებაშვილი და სერგი მაკალათია. პრობლემის გარშემო მასალის მოძიებისას აღმოჩნდა, რომ თამარის გარდაცვალების საიდუმლოება ერთხანს თვით მედიცინის მუშაკთა მსჯელობის ობიექტიც კი გამხდარა. როგორც თვითმხილველმა მოგვითხრო, XX საუკუნის 50-იან წლებში (ზუსტი თარიღის დადგენა სამწუხაროდ ვერ მოხერხდა) ფტიზიატრთა საქალაქო კონფერენციაზე პროფესორ ბოკუჩავას საგანგებო მოხსენება მიუძღვნია ჩვენთვის საინტერესო საკითხისთვის. შემდგომ, ამავე სხდომაზე მეტად საფუძვლიანი სჯა-ბაასი გამართულა პრობლემის გარშემო. როგორც გაირკვა, მომხსენებელი ითვალისწინებდა და ერთგვარად ეთანხმებოდა კიდევ იოანე ბატონიშვილის მოსაზრებას.

ქართველ მემატრიანეთაგან არსებული მასალის ანალიზისას ჩვენ ადრეც ვფიქრობდით, რომ საქმე გვექონდა დაუადების იმ სახეობასთან, რომელიც მედიცინაში ზოგადად ავთვისებიან სიმსივნედ იწოდება. ე.ი. თამარი კიბოთი უნდა გარდაცვლილიყო. თამარის ავადმყოფობისთვის დამახასიათებელი სიმპტომები ასეთი დასკვნის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა. ზემოთ ხსენებულ სიმპტომთა თაობაზე 1993 წელს წერილობით ვაცნობე ცნობილ ქართველ მედიკოსებს და ვთხოვე, ავადმყოფობის ამ ნიშნების გათვალისწინებით დიაგნოზი დაესვათ. ანკეტაში მითითებული იყო სიმპტომები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ერთ კვირაში შემატყობინეს, რომ მეცნიერთა ერთი ჯგუფი მზად იყო ჩემთან შეხვედრისთვის. გაიმართა ერთგვარი კონსილიუმი, რო-



იოანე ბატონიშვილი

მოსე ჯანაშვილი





თამარ მეფე, ყინწისის ფრესკა

მელშიც ათამდე მედიკოსი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, შეხვედრა სტენოგრაფიულად არ ჩამიწერია, უფრო გამოუცდელიობის გამო (იმ დროს ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი. არც შესაბამისი ჩამწერი აპარატურა მქონდა, რომ ეს შეხვედრა ფირზე აღმებეჭდა).

თავიდანვე უნდა ვაღიაროთ, რომ გარდაცვალების მიზეზის ზედმიწევნითი სიზუსტით დადგენა მატიანეში დაცული ცნობების შემთხვევითი შეუძლებელია, ვინაიდან დღევანდელი გადასახედიდან ამ მწირი მონაცემებით გადაჭრით რამის მტკიცება ჭირს. ამავე მიზეზთა გამო, შეხვედრაზე დამსწრე თითქმის არც ერთ მედიკოსს, მემატიანის მონათხრობის მიხედვით დიაგნოზის დასმისას არ აღუნიშნავს, რომ საქმე მაინც და მაინც სიმსივნურ დაავადებასთან გვექნა. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მიცენიერები გამორიცხავდნენ თამარის კიბო-

თი გარდაცვალების ფაქტს, მეტიც, ისინი ამ მოსაზრებას უფრო დამაჯერებლად მიიჩნევდნენ, მაგრამ იქვე სხვა ვარიანტის არსებობასაც აღიარებდნენ. ჩვენ ვეთანხმებით საკითხის ამგვარ კონსტატაციას. ამჯერად, მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტზე ვსაუბრობთ. მოსაზრებას, რომ თამარი შესაძლებელია გარდაცვლილიყო კიბოთი, არსებობის უფლება აქვს იმდენად, რამდენადაც, როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, თამარის ავადმყოფობის გარეგანი ნიშნები ჰგავს ზოგადად კიბოს დაავადების კრიზისულ ეტაპზე გამოვლენილ სიმპტომებს.

სწორედ ამაზე მიუთითებდა ცნობილი ონკოლოგი, პროფესორი ზაალ კახიანიც. მან მემატიანესთან დაცული სათანადო მასალის გაანალიზების შემდეგ ამგვარი დასკვნა გამოიტანა:

„შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს სიმსივნურ დაავადებასთან.

ფიზიკური უღონობა დამახასიათებელია სიმსივნური დაავადების ბოლო ეტაპისთვის.

ორგანიზმის კახექსიაც ახასიათებს უმეტესობა ონკოლოგიურ დაავადებას (გარდა ფილტვის კიბოსი).

დაავადების თანდათან პროგრესირება, რის შემდეგაც ავადმყოფი სახეზეც მეტად გაილახა, დაედო მიწისფერი... უდავოდ დამახასიათებელია სიმსივნური პროცესისთვის.

თვალის სინათლის დაკლება შეიძლება აიხსნას მეტასტაზის არსებობით ტვინის ქსოვილში, თუმცა ის უფრო დამახასიათებელია დიაბეტური რეტინოპათიისთვის.

5-6 თვის შემდეგ გარდაცვალება ეტყვა სიმსივნური პროცესის სიცოცხლის ხანგრძლივობაში (ზოგადად და არა სიმსივნის ყველა სახეობაში).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვექნა სიმსივნურ დაავადებასთან, მხოლოდ რომელი ორგანოსი კონკრეტულად, თქმა ძნელია“.

თითქმის იმავე მოსაზრებას იზიარებდა პროფესორი ბაადურ მოსიძე, რომელიც აღნიშნავდა: „მემატიანესთან არსებულ მცირე ინფორმაციის გათვალისწინებით, შესაძლებელია ვიფიქროთ ნივთიერებათა ცვლის დრამა მომლაზე, კერძოდ ელექტროლიტურ დარღვევებზე, რაც ყველაზე ხშირად ახასიათებს სიმსივნეებს პროცესის ტერმინალურ სტადიაში. აქედან გამომდინარე, სიკვდილის ყველაზე სა-

ვარაუდო მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ონკოპათოლოგია დაუდგენელი პირველი კერით“. ასევე შესაძლებლად მიიჩნევენ თამარის კიბოთი გარდაცვალებას პროფესორები ლევან ჩარკვიანი და კონსტანტინე მაღიში. დასკვნაში, რომელიც მათ ეკუთვნის, ვკითხულობთ: „აღნიშნული სიმპტომები — ფიზიკური უღონობა, კახექსია, კანის ფერის ცვლილება, მხედველობის დაკარგვა საკმაოდ ხშირად ახასიათებს სხვადასხვა ლოკალიზაციის ყველა დაგვიანებულ ავთვისებიან სიმსივნეს“.

როგორც ვხედავთ, მეცნიერთა ერთი ნაწილი შესაძლებლად მიიჩნევს თამარის სიკვდილის გამომწვევ მიზეზად სიმსივნური დაავადების აღიარებას, მაგრამ, გადაჭრით პასუხის გაცემა ამ საკითხზე მაინც მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

დასასრულ, ორიოდ სიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად გასაზიარებელია თამარის „ჭლექის სნეულებით“ გარდაცვალების ფაქტი. ეს მოსაზრება, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილმა წამოაყენა, მაგრამ რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, დღემდე მისი კრიტიკულად გააზრება არავის უცდია. როდესაც ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებას ვეცნობით, ამ მონათხრობში თვალში საცემია შემატანიეს ერთი განცხადება, რომ თამარს „ნაჭარმაგვეს... დღომასა შინა გამოაჩნდა სენი რამე მომაოხრებელი ჩუენი, რომელი დღითი დღე დამძიმდებოდა მის ზედა; და დიდხან ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს“. როგორც დამოწმებული ციტატიდან ვგებულობთ, მეფეს ავადმყოფობა კარგა ხანს არ გაუმჟღავნებია, ვინაიდან სხვათა შვეწუხებას ერიდებოდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ვედარ შეძლო ფარვა და თამარის ავადმყოფობის ამბავი გამოაშკარავდა. მატიანისეული განცხადება, „დიდხან ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს“, საინტერესო დასკვნის შესაძლებლობას იძლევა. ამ მცირე მონაკვეთში ნათლად ჩანს, რომ თამარის ავადმყოფობას არ ახასიათებს ისეთი ნიშნები, რომლებიც მეფის გარშემო მყოფთათვის შესაძინევი ყოფილიყო. იგი ფარულად განვითარებულა, მაგრამ, როდესაც ვსაუბრობთ ჭლექზე, აქ უპირატესად, სწორედ ასეთ გარეგან გამოვლინებებთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ჭლექისთვის დამახასიათებელია ხშირი ხველა, სისხლის ამოღება და ფილტვებიდან სისხლდენა. შეუძლებელია ასეთი სიმპტომები თამარ მეფის გარემოცვას ყურადღების მიღმა დაეტოვებინა. სწორედ ამიტომ არ მიგვაჩნია მართებულად თამარ მეფის სიკვდილის მიზეზად „ჭლექის სნეულების“ დასახელება და უფრო სიმსივნური დაავადებისკენ ვიხრებით.

**ჯაბა სამუშია**

*თამარის საგარეულო საფლავი გელათის მონასტერში*



# ნიკო ავალიშვილი ბიობიოგრაფიის სნობილი და უსნობი ფუხსცაბი

*გამორჩენილი საზოგადო მოღვაწე,  
თურგდალეულთა მიერ წამოწვებული  
ეროვნულ-განმათავისუფლებელი  
მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური  
მონაწილე, მწერალი, მთარგმნელი,  
პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თეატრალური  
მოღვაწე, რეჟისორი და მსახიობი  
ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე  
ავალიშვილი (1844-1929) მიეკუთვნება  
იმ მამულიშვილთა რიცხვს, რომლებმაც  
მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს  
საქართველოს ახალ ისტორიაში.*



ნიკო ავალიშვილი დაიბადა 1844 წლის 4 ივლისს, გარეკახეთის სოფელ საგარეჯოში მცხოვრებ აზნაურ (წარმომავლობით თავად) იაკობ ავალიშვილის ოჯახში. იაკობი იყო მღვდელი, მწიგნობარი და კალიგრაფი. მან ბრწყინვალედ გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“, „დიდმოურავიანი“, „ყვარამანიანი“ და სხვ. 1849 წელს იგი მალარიით გარდაიცვალა.

საგარეჯოში მცხოვრები იაკობის დაქვრივებული მეუღლე, თავის ორ ასულთან და 6 წლის ნიკოსთან ერთად, საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, უფროს ვაჟთან — დავით ავალიშვილთან. დავითმა თავის მცირეწლოვან და-ძმას ღირსეული პატრონობა გაუწია, ხოლო ნიკოს ხელი შეუწყო, რათა სათანადო განათლება მიეღო.

ნიკო 8 წლის ასაკში მიიბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, პირდაპირ II კლასში, ვინაიდან რუსულ ენას კარგად ფლობდა. მან წარმატებით დაძლია სასწავლო პროგრამა და სასწავლებელი დადგენილ ვადაზე ადრე დაასრულა, რის შემდეგაც თბილისის სასულიერო სემინარიაც წარმატებით დაამთავრა.

1862 წელს იგი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა მოსკოვში, სადაც უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ცოდნას ოთხი წლის განმავლობაში იღრმავებდა. მოსკოვში მყოფი ნიკო რვა თვის განმავლობაში ცხოვრობდა ფრანგის ოჯახში, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა ფრანგული წერა-კითხვა. ის დიდ დროს უთმობდა ევროპული ლიტერატურის კითხვას და მათ ქართულ ენაზე თარგმნას.

„მამულიშვილობა, პატრიოტიზმი, ისევე ბუნებითი გრძნობაა, როგორც ოჯახის სიყვარული... მამულიშვილი, შემთხვევის ჟამს თავის ოჯახს თმობს და მამულს სწირავს სიცოცხლეს, მაგრამ ამ სიყვარულს სულაც არ მოსდევს სხვა ერის უარყოფა და სიძულვილი. პირიქით, მამულიშვილური გრძნობით გამსჭვალული ადამიანისთვის სხვა ერის სიყვარული აუცილებელიც არის. ესეც არ იყოს, ადამიანის ბუნებითი თვისება სიყვარულია და ეს თვისება თავისთავად უარყოფს სხვისა სიძულვილს...“

კოსმოპოლიტობა ბუნებრივ თვისებად არ მიმაჩნია... ამ სახელს ეგოისტები ეფარებიან... სიცოცხლის დღეებზე რომ... „სადაც კარგაა, სამშობლო იქაა“ გაუხდიათ ამ სახელით კიდევ ერის ურეგები შვილი კონტაობს, სამშობლოსთვის რომ გული არ უცემს და არარაობაში ატარებს თავის სიცოცხლეს. ამავე სახელით იმ „კუდახარებს“ მოაქვთ თავი, თავისსაც რომ დაჰშორებიან და უცხოსთვის „შრომობენ“, მაგრამ ვერც იმ უცხოს „უგერიებენ ბუზებს“... შესაწყენარებელი კოსმოპოლიტი მხოლოდ გენიოსი და მეცნიერია, ისიც იმიტო, რომ მათი შრომა ყველა ერისთვის არის გამოსადეგი. მაგრამ ეს „კოსმოპოლიტობა“ იმათი ნიჭის შედეგია და არა თვითონ ნიჭი ან ბუნება... კოსმოპოლიტად შესაწყენარებელნი აგრეთვე ის მამულიშვილნი არიან, რომელნიც თავიანთი ერის წარმატებას ჰშეველიან... სხვათა კოსმოპოლიტობა კი ფუჭი კაკალია — გარედან გაბერილი და შიგნიდან ფუჭე“.

ნიკო ავალიშვილი

ნიკო ავალიშვილი რუსეთში ყოფნისას დაუმეგობრდა „თერგდალეულებს“, განსაკუთრებით აკაკი წერეთელს. ნიკომ გადაწყვიტა, მოსკოვში დაეფუძნებინა სტამბა, რომელშიც ქართული წიგნები დაიბეჭდებოდა. იმავდროულად, სტამბაში დასაქმდებოდნენ ქართველი სტუდენტები, რომლებიც ამით საარსებო სახსარს მოიპოვებდნენ. ამ მამულიშვილურ წამოწყებას აკაკიმ მხარი სიხარულით დაუჭირა, თუმცა მისი განხორციელება ვერ მოხერხდა. 1866 წელს ნიკო იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო.

საქართველოში მოღვაწეობისას ნიკო ავალიშვილი რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს“ (1869-1872), თანამშრომლობდა ჟურნალში „დროება“, მისი თხზულებები იბეჭდებოდა „მნათობში“, „ცისკარსა“ და „ივერიაში“.

ამის პარალელურად, ნიკო ავალიშვილი მესვეურობდა განახლებულ ქართულ თეატრს, რომლის აღორძინებაშიც მან უდიდესი წვლილი შეიტანა. ის აირჩიეს ერთ-ერთ დამფუძნებელ წევრად ქართული დრამატული საზოგადოებისა, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა. დიდი ილია იმდენად აფასებდა ნიკო ავალიშვილს, რომ მას უფროსი შვილი მოუნათლა.

ნიკო ავალიშვილმა ქართულ ენაზე თარგმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, კერძოდ, სერვანტესის „დონ კიხოტი“; პიერ ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“; ფრიდრიხ შილერის „ფიესკოს შეთქმულება გენუაში“, „ვილჰელმ ტელი“, „ყაჩაღები“, „მგზავრი“; ჰენრიკ სენკევიჩის „ვიდრე ჰავალ“ და სხვ. მანვე თარგმნა ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის დრამა „ღალატი“ და სხვ.

ნიკო ავალიშვილი მნიშვნელოვან დროს უთმობდა მშობლიური კუთხის — გარეკახეთის აღორძინებაზე ზრუნვას. დიდი წვლილი შეიტანა თბილისიდან სიღნაღისკენ მიმავალი გზის შეკეთებაში, ხოლო 1877 წელს საგარეჯოში გახსნა კოოპერატივი „ივრის დაშროგველი ამხანაგობა“, რომლის კომიტეტსაც თავადვე თავმჯდომარეობდა. მან გამოიგონა ხორბლის საღებო მანქანა — კვერი და ახალი ნიმუშის კალო, რასაც იმდროინდელ ქართულ პრესაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა.


ნიკო ავალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მონოგრაფიულად შეისწავლა სოლომონ ცაიშილმა (1900-1957). მან ყურადღება გაამახვილა ნიკო ავალიშვილის წინაპრებზე



*ილია ჭავჭავაძემ ნიკო ავალიშვილს შვილი მოუნათლა*

— თავად ავალიშვილებზე, რომლებიც XVIII საუკუნის სამოციანი წლების შუა ხანებამდე ქართლის სოფელ ბრეთში მკვიდრობდნენ, ხოლო შემდეგ გარეკახეთში გადასახლდნენ.

სოლომონ ცაიშვილი წერდა: „ძირეულად ავალიშვილები ქართლის მკვიდრნი იყვნენ, რომელთაგან მომდინარეობს კახეთის შტოც... გარეკახელ ავალიშვილთა ოჯახში დღემდე დაცულია ერთი მნიშვნელოვანი გადმოცემა, რომელიც მათი გვარის აქ დასახლებაზე მიგვითითებს... ამ გადმოცემიდან ირკვევა, რომ მეფე ერეკლე მეორის წინააღმდეგ მოწყობილ ე.წ. „პაატას შეთქმულებაში“ მონაწილეობდა სამი ძმა, თავადი ავალიშვილები: ქაიხოსრო, დავითი და ზაქარია. შეთქმულების გამომჟღავნებისა და შეთქმულთა განადგურების დღეებში ცოცხლად გადარჩენილი ეს ძმები თეთრადის გვარმერქმული თბილისის განაპირა, ე.წ. ძაღლის უბანში შეფარებულან და ქალაქისთვის შემის დამზადებით ირჩენდნენ თურმე თავს, მაგ-



*აკაკი წერეთელი მხარს უჭერდა ავალიშვილის იდეას, მოსკოვში ქართული სტამბის შექმნის თაობაზე*





*აგლიშვილთა  
საგარეულო გერბი*



*ნიკო აგლიშვილი  
ქართლ-კახეთის  
დიდებულთა  
ტრადიციული  
ადკაზმულობით  
(XIX ს.)*

რამ მათი ეს ყოფა თანდათან გაუარესებულა, მათს თეთრძეობაზედ ეჭვი აუღიათ და როცა ძალზე შეუვიწროებიათ, უდაბნოში გადასახლებულან და იქ დავით გარეჯის მონასტერში შეფარებულან. ერეკლეს გარდაცვალების (1798) შემდეგ, უფროს ძმას, ქაიხოსროს მოუხერხებია მონასტრიდან გამოსვლა და საზოგადოებაში შერევა, დავითი და ზაქარია კი იმის შიშით, რომ მამულების სიხარბით გატაცებულ ნათესავებს არ გაეცათ, საგარეულოში დასახლე-

ბულან, თუმცა, აქაც რამდენიმე ხანს მალაყდნენ ნამდვილ გვარს. მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა პრივილეგიური წოდების მქონე გვართა რეგისტრაცია დაწყებულა, მათაც თავიანთი საბუთი და ნამდვილი გვარი გამოუჩინიათ და აგლიშვილობა აღუდგენიათ. ამგვარად, საგარეულო აგლიშვილები სწორედ ამ ორი ძმის, დავითისა და ზაქარიას ჩამომავლები არიან...

როგორც საგულისხმო მომენტი, ნათქვამს ისიც უნდა დაემატოთ, რომ ნიკო აგლიშვილის აზრით, ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებებში აქტიური მონაწილეობის გამო დაქვეითებული, ე.ი. თავისი ძველი წოდებაწართმეული გვარები დღეს საგარეულოსა და მის მიდამოებში საკმაო რაოდენობით მოსახლეობენ. ასეთებია: ჯავახიშვილები, მხარგრძელი-ფაგლენიშვილები, ყარაღაშვილები, თულაშვილები, ფურცელაძეები, საგინაშვილები, ყორღანაშვილები და სხვ.“

აი, რას გვაუწყებს ნიკო აგლიშვილი თავის მოგონებაში, რომლის ხელნაწერიც დაცულია თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში: „ჩემს ოჯახში თაობიდან თაობაში ასოცდაათი წელიწადია ერთი გადმოცემა ინახება. იგი მოგვითხრობს, რომ მეფე ერეკლეს გარდაცვალებამ საქართველოს რუსეთისადმი გარდაცემისამ — მრავალი უკმაყოფილო-მოწინააღმდეგე გაუჩინა მას. შეითქვენ, რომ ერეკლე ტახტიდგან ჩამოიხდინათ და... აეყვანათ ტახტზედ... ქართლის მეფის ვახტანგის შვილი, რათა მით საქართველო გაერთიანებულიყო. ამ შეთქმულობის მონაწილე, სხვათა შორის, სამი აგლიშვილი იყო, სახელით: უფროსი — ქაიხოსრო, ორი უმცროსი (შვილები თუ ძმები) — დავითი და ზაქარია. შეთქმულობა გამჟღავნდა, შეთქმულნი დაიქსაქსნენ...“

ჩვენი ოჯახი, უფროსების გადმოცემით, იმ დავითის ჩამომავალია და ეს 1850-ან წლებში ბრეთელი სოლომონ აგლიშვილისგან დადასტურებულია, რომელიც ზმირად მოდიოდა ჩვენსა და ბიძაშვილის შვილებად გვთვლიდა.

ვეფქრობ, შეთქმულობის წევრი დავით აგლიშვილი და მეფე ერეკლეს დროის თეატრის მოთავე და გაბრიელ მაიორის ამხანაგი დავით აგლიშვილი — ერთი და იგივე დავით აგლიშვილია.

საგარეულოში ქართლ-კახეთ-ბორჩალოს მაზრის თავდაზნაურთა გვარეულობის ჩამომავალი ბერია და აქ მხოლოდ ზოგს მოვიხ-

სენიებ: ჯავახიშვილი, მხარგრძელი, ფავლე-ნიშვილი, ავალიშვილი, ფურცელაძე, ყარა-ლაშვილი (რუსული დაბოლოებით — ყარა-ლოვ...), ჯაფარიძე, თულაშვილი, ყორღანაშ-ვილი, საგინაშვილი და სხვ. უეჭველია, ამათი მამამთავარნიც ხსენებული შეთქმულობის გა-მო იყვნენ იქ გადახვეწილნი“.

მოყვანილ ციტატაში ჩამოთვლილ წარჩი-ნებულ გვართაგან ქართლში სახლობდნენ (ჩა-მოთვლილია ანბანურად): ავალიშვილები (თა-ვადები), თულაშვილები (ქსნის ერისთავის აზ-ნაურები), საგინაშვილები (ტახტის აზნაურე-ბი), ფავლენიშვილები (თავადები და ქსნის ერისთავის აზნაურები), ფურცელაძეები (ტახ-ტისა და თავად ციციშვილის აზნაურები), ყორ-ღანაშვილები (ტახტის აზნაურები), ჯავახიშ-ვილები (თავადები და ტახტის აზნაურები), ჯა-ფარიძეები (ქსნის ერისთავის აზნაურები).

დასახელებული წყაროდან ჩანს, რომ უფ-ლისწულ პაატას ხელმძღვანელობით მოწყო-ბილ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის, ქარ-თლის ხსენებულ წარჩინებულ საგვარეულო-თა ერთი ნაწილისთვის წოდებები ჩამოურთმე-ვიათ და გარეკახეთში გადაუსახლებიათ. მა-თი უმეტესობა (როგორც ჩანს, გადასახლე-ბულთა აზნაურული ნაწილი) ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე ირიცხებოდა სახასო ანუ სამეფო ყმად, ხოლო საქართველოს რუ-სეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ, ისინი სახელმწიფო ყმებად ჩარიცხეს. საერთოდ, სახასო ყმები უშუალოდ მეფეს ექ-ვემდებარებოდნენ და გაცილებით უკეთეს


მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე სამო-ნასტრო-საკელესიო, ხოლო განსაკუთრებით კი საბატონო, კერძოდ, თავადთა და აზნაურ-თა გლეხები.


აქვე დაეძინთ, რომ ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის უმცროსი ვაჟის — უფლისწულ პაატას (1720-1765 წწ.) შეთქმულება (1765 წ.) განე-კუთვნება საქართველოს ისტორიის ნაკლებად შესწავლილ მოვლენათა რიცხვს. იგი მიზნად ისახავდა ქართლის სამეფოს აღდგენასა და იქ პაატა ვახტანგის ძე ბაგრატიონის გამეფებას.

სამეფო ლეგიტიმიზმის საყოველთაოდ აღი-არებული პრინციპებიდან გამომდინარე, ვახ-ტანგ VI-ის გარდაცვალების შემდეგ, ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრენი იყ-ვნენ მისი შთამომავლები, პირდაპირი, ანუ მა-მაკაცთა ხაზით. ამიტომ, კახეთის ბაგრატიონ-თა ქართლში გამეფებას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა არა მხოლოდ ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელთაგან, არამედ ქარ-თლელ თავადაზნაურთა მხრიდანაც. ვახტანგ VI-ის შთამომავალთა საკითხი დიდ პრობლე-მას წარმოადგენდა ჯერ თეიმურაზ II-ის, ხო-ლო შემდეგ — ერეკლე II-ისთვის. ეს იყო ძლი-ერი ოპოზიცია, რომელსაც თავისი კუთვნილი სამეფო ტახტის დაბრუნება სურდა.

მართალია, ვახტანგ VI-ის ნაბოლარა ვაჟს, მხეველისგან შობილ უფლისწულ პაატას ნაკლები უფლებები გააჩნდა მამის მემკვიდ-რეობაზე, ვიდრე მის უფროს ძმას — ბაქარსა და ძმისწულს — ალექსანდრე ბაქარის ძეს, მაგრამ ლეგიტიმიზმის პრინციპიდან გამომ-

**6. ავალიშვილის ხელნაწერი (დაცულია თფატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში)**





დინარე, ქართლის ტახტი მას უფრო მეტად ეკუთვნოდა, ვიდრე მის დისწულს, ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელ ერეკლე II-ს. საგულისხმოა, რომ ვახტანგ VI-ის ვაჟთაგან ერთადერთმა პაატამ მოახერხა, რუსეთის ხელისუფლების სურვილის საწინააღმდეგოდ, იმპერიიდან გაქცეულიყო და ქართლში დაბრუნებულიყო.

პაატა ანტირუსულად იყო განწყობილი. თავისი ძმის, გიორგისადმი გაგზავნილ წერილში იგი საიმპერიო მთავრობას მოიხსენიებს „მატყუარად“, ხოლო რუსეთს — „სამართლებრივ ნორმათა უარყოფელ სახელმწიფოდ, სადაც კაცი კაცად არ არის მიჩნეული“.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, „პაატა ბატონიშვილს და სხვათა... სურდათ, რომ ქართლის მეფობა ერეკლესთვის წაერთმიათ... ამ პირებმა ეს იმიტომ განიზრახეს, რადგანაც ამჩნევდნენ, რომ ერეკლეს მეფობა საქართველოს დასაღუბად გარდაიქცევაო. მას არც შვილები ჰყავს კარგები და არც შვილის შვილები, არც ერთ მათში სამეფო პირი არ არის, ეგენი მეფობას ვერ შესძლებენ, ერეკლესებური მეფე გიორგი ვერ იქნებაო და გიორგი კიდევ საქართველოს აღარ გამოადგება; საქართველოსთვის საჭიროა შორსმხედველი მეფე, განათლებული და ევროპის სამხედრო წესებთა მცნობი“.

1765 წლის 5 დეკემბერს შეთქმულება გამჟღავნდა. სასამართლოს მიერ დადგენილი გან-

ხინება ხელისუფლებამ 15 დეკემბერს სისრულეში მოიყვანა და შეთქმულნი სახალხოდ დასაჯა. თავი მოჰკვეთეს მთავარ დამნაშავედ ცნობილ უფლისწულ პაატას, ასევე, მეფე იესეს შვილიშვილს, არჩილის (აბდულა-ბეგის) ძეს დავითს, ელიზბარ თაქთაქიშვილი კოცონზე დაწვეს, ხოლო დანარჩენი შეთქმული თავადები ფიზიკურად დაასახინრეს.

ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „პაატა ბატონიშვილს თავი მოსჭრა მებლემე მამინდელს რიყეზედ, ავლაბრის ხიდის გვერდით... იმ პირის თავის მოკვეთა ბევრს დანანდა თურმე, ბევრი დიდათაც სწუხდა, ეს რა მოხდაო. მეფე ერეკლეს სთხოვეს პაატას პატიობა. მეფეს შეუწყენარებია. მალე რიყეზედ კაცი უფრენიათ, რომ პაატას ეპატიოსო, მაგრამ საქმე უკვე აღსრულებული ყოფილა. პაატა თემოჭრილი გდებულა. მეფე ერეკლემ ბოლოს ძლიერ დაინანა ამის მოკვლაო, დიდათ სწუხდაო“.

პლატონ იოსელიანის ცნობით, თვით ერეკლე II-ის უფროს ძეს, მომავალ მეფეს გიორგი XII-ს „არ უნებდა ასრულება ესე ვითარისა სასტიკისა განჩინებისა“.

ასეთია მოკლედ ნიკო ავალიშვილის წინაპართა გარეკახეთში გადასახლების, თავდობის დაკარგვისა და გააზნაურების ისტორია.

1912 წელს ნიკო ავალიშვილმა ახალდაარსებულ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ შესწირა როგორც იშვიათი წიგნები და პერიოდული გამოცემები, ასევე ძვირფასი ნივთებიც, მათ შორის 130 ცალი ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტა, რომლებიც მას ჩამოტანილი ჰქონდა სპარსეთიდან და ჩინეთიდან.

1929 წლის 17 სექტემბერს ნიკო ავალიშვილი 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს.

იოსებ გრიშაშვილი პრესაში გამოქვეყნებულ ნეკროლოგში წერდა: „ძველი საზოგადო მოღვაწე ნიკო იაკობის ძე ავალიშვილი... 65 წელიწადი განუწყვეტლოვ მოღვაწეობდა საზოგადო ასპარეზზე. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, სიკვდილამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან და ახალგაზრდული ენთუზიაზმით კვლავ წერდა... 14 წლის განმავლობაში (1867-1880 წწ.) ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრს და გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის შემდეგ ითვლება თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლად და პირველ რეჟისორად“.

სოლომონ ცაიშვილი წერდა: „გასული საუკუნის სამოციანი წლების ქართველ მოღვა-

წეთა ბრწყინვალე პლეადაში ნიკო ავალიშვილს საკმაოდ შესამჩნევი ადგილი უკავია... მშობლიური ქვეყნის სიყვარულით გამსჭვალული იგი ერთგული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური ბელადის, ილია ჭავჭავაძის მიერ აღმართული დროშის, რომლის გარშემო თავს იყრიდა იმდროინდელი საზოგადოების მოწინავე ნაწილი“.

აღსანიშნავია, რომ დიდი საზოგადოებრივი, ლიტერატურული და თეატრალური მოღვაწეობის პარალელურად, ნიკო ავალიშვილი სამხედრო სარბიელზედაც წარმატებით საქმიანობდა. მისი მოღვაწეობის ამ მნიშვნელოვან სფეროზე, რატომღაც, ჩვენამდე არავინ გაამახვილა ყურადღება. არადა, აღნიშნულ სფეროში მისი მოღვაწეობის შესახებ ფრიად საყურადღებო ინფორმაციაა დაცული მისივე ნამსახურობის ნუსხაში. ავალიშვილს მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო მრჩევლის რანგი, რომელიც საიმპერიო რანგთა ტაბელის მიხედვით, აღემატებოდა პოლკოვნიკის წოდებას და შეესაბამებოდა საიმპერატორო კარის კამერ-იუნკერის, ცერემონმაისტერის ჩინს.

სამხედრო სამსახური ნიკომ 1872 წელს დაიწყო. იგი ოთხი ათეული წლის განმავლობაში მსახურობდა კავკასიის საოლქო საინტენდანტო სამმართველოს ჩინოვნიკად რუსეთის იმპერიის ცალკეულ რეგიონსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. იყო საინტენდანტო სამსახურის ერთ-ერთი ავტორიტეტული ხელმძღვანელი და მრავალი საპატიო ჯილდოს კავალერი. კერძოდ, დაჯილდოებული იყო წმინდა ვლადიმირის IV, წმინდა სტანისლავის II და III, წმინდა ანას III (ხმლებითურთ) ორდენებითა და არაერთი მედლით.

საზოგადოებისთვის ასევე ნაკლებად არის ცნობილი ნიკო ავალიშვილის შესანიშნავი შთამომავლობის შესახებ. მათზე ცნობები მოგვაწოდა ქართული გენეალოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა იური ჩიქოვანმა.

ნიკო ავალიშვილი ორჯერ დაქორწინდა. მას პირველ მეუღლესთან, ნინო (ნუცა) ჯაბადართან შეეძინა ექვსი შვილი: არჩილი, თამარი, ირაკლი, ქეთევანი, ნინო (ნუცა) და რუსუდანი, ხოლო მეორე მეუღლესთან, ალექსანდრა ევგლავსკაიასთან — ორი შვილი: გიორგი და ელენე. ელენე ცოლად გაჰყვა თავად გიორგი გუგუნავს.

გიორგი ნიკოლოზის ძე ავალიშვილს (1897-1942 წწ.) მეუღლესთან, ნინო ქვლივიძესთან შე-



ბიძინა და ვია ავალიშვილები

ეძინა ორი შვილი: ბიძინა და მერი. მერი ცოლად გაჰყვა ოთარ თურქესტანიშვილს.

ბიძინა გიორგის ძე ავალიშვილი (1922-2002 წწ.) იყო გამოჩენილი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი. მისი სახე უნა ჯაფარიძემ გამოიყენა ბესიკ გაბაშვილის პორტრეტის შექმნისას. მას მეუღლესთან, ივეტა ჩარეიშვილთან შეეძინა ვაჟი — ვია ავალიშვილი (1941-2004 წწ.), ცნობილი არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ვია ავალიშვილს მეუღლესთან, ნანა ჭიჭინაძესთან შეეძინა ორი შვილი — ნიკოლოზ (ნიკა) და მანანა ავალიშვილები, რომლებიც თავიანთი ოჯახებით თბილისში ცხოვრობენ.

ასეთია მოკლე მრავალმხრივი მოღვაწის ნიკო ავალიშვილის ბიოგრაფიის ცნობილი, ნაკლებად ცნობილი და უცნობი დეტალები.

ნიკო ჯავახიშვილი



# გაცოცხლებული ისტორია ღია სის ძვეუ

## საჯალაბო სახლი სამეგრელოდან

*„ღია ცის ქვეშ“ მუზეუმის დაარსებას აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ მრავალი წელიწადი შეაღია. ამგვარი მუზეუმის დაარსების მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის დედაქალაქში „გადმოსახლება“ შესაბამისი ინტერიერითა და ტრადიციული ყოფითი ელემენტების გაცოცხლებით. 1966 წლის 27 აპრილიდან კუს ტბის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე ახლამა „მიკროსაქართველომ“ დაიდო ბინა. დღეს აქ საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა წარმოდგენილი. ამჯერად „ისტორიანის“ მკითხველს მასპინძლობს საჯალაბო სახლი სამეგრელოდან.*

### მეგრული „პიტაფიცარი“

აბაშის რაიონში, მდინარეების ნოღელასა და აბაშისწყალს შორის ერთი უძველესი სოფელია, ონტოფო, ტრადიციული საოჯახო ყოფითა და კულტურით, რწმენა-წარმოდგენებით... აქ დღეს სამასზე მეტი კომლი სახლობს.

დავითაიების საჯალაბო სახლიც ამ სოფელში მდგარა.

საცხოვრისის მშენებლობის უძველეს ტრადიციებზე საქართველოში არქეოლოგიური მონაცემებიც მეტყველებენ. გათხრებით მო-

პოვებული მასალებიდან ჩანს, რომ უკვე პალეოლითში, ძველი ქვის ხანაში, დასავლეთ საქართველოში აღნუსხულია წრიული ფორმის ნაგებობა ბომებისთვის განკუთვნილი ღრმულებით. ნაგებობა სავარაუდოდ მოწნული იყო. ასეთი, ფაცხის ტიპის უმარტივესი საცხოვრებლები გავრცელებული იყო მთელი კოლხეთის დაბლობზე, ხოლო სამეგრელო-აფხაზეთში ბოლო დრომდე შემორჩა — როგორც სამეურნეო სათაუხი ან საქორწინო ფაცხა, რომელშიც დროებით, თაფლობის თვეს ატარებდნენ ახალდაქორწინებულნი.

დასაგლეთ საქართველოს ბარის რაიონებში, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, საცხოვრისი ტრადიციულად ხისა იყო. წნული ფაცხის შემდგომ გაგრცვლდა ხის მორებისგან შექმნილი ძეღური სახლები, ანუ ჯარგალის ტიპის საცხოვრისი.

საშენ მასალად გამოიყენებოდა გამძლეობით გამორჩეული მუხა და წაბლი, ზოგ შემთხვევაში დასამუშაებლად უფრო იოლი თელა და ცაცხვი. მაღალმთიან ზონებში მათ ენაცვლებოდა ფიჭვი და ნაძვი, ზოგჯერ სოჭიც. ხანდაზმულ ოსტატთა გადმოცემით, ონტოფოში იცავდნენ მამა-პაპიდან მომდინარე ტრადიციას: სამასალე ხე, ჭია რომ არ გასჩენოდა, აუცილებლად სავსე მთვარისას უნდა მოეჭრათ.

ხის საცხოვრებლის შემდგომ, განვითარებულ ტიპს წარმოადგენდა საჯალაბო სახლი, რომელიც განთავსებულია ეთნოგრაფიული მუზეუმის პირველ კარ-მიდამოში. ამგვარი ტიპის საცხოვრისს მეცნიერები ზოგჯერ „გოდორასახლს“ ან კიდევ „პიტაფიცარს“ უწოდებდნენ, რადგანაც იგი აგებული იყო ნაჯახით გათლილი მუხის ან წაბლის მოკლე და განიერი ფიცრებისგან.

საჯალაბო სახლი, რომელშიც ბევრგან XX

საუკუნის პირველ ნახევრამდე ცხოვრობდნენ, შემდგომშიც კარ-მიდამოს შემადგენელი ნაწილი იყო, ოღონდ უკვე „მისია“ შეიცვალა და საშხად სახლად, ანუ საშხარეულად გადაიქცა. ეს იყო ერთკამერიანი, ერთსივრციანი საცხოვრებელი, ძირითადად უფანჯრო, თიხატყუპნილი იატაკით.

### კმრა

„პიტაფიცარა“ სახლის ცენტრალურ ნაწილს კერა წარმოადგენს. სახლის შუაგულში გამართულია შუაცეცხლი — კერა, რომელთანაც იღო ქვა და სამფეხი სკამი ჭრაქისთვის. კერის თავზე ეკიდა ნაჭა, რომელზეც ქვაბი ეკიდა. იქვე იდგა დაბალი მაგიდა.

სახლში მკაცრად იყო გამიჯნული მამაკაცებისა და ქალების სამყოფელი. შესასვლელიდან მარცხენა მხარე მამაკაცებს ეკუთვნოდა, ხოლო მარჯვენა — ქალებს. ტაბაკი იდგმებოდა მამაკაცების მხარეს, რომელსაც ისინი ასაკის მიხედვით შემოუსხდებოდნენ. ისხდნენ ხის დაბალ კუნძებზე ან ჯორკოებზე. არსებობდა საუფროსო სკამიც. ზოგჯერ ამ სკამს ოჯახის უფროსი სტუმარს უთმობდა ხოლმე.

კერა საკრალურ ადგილად მიიჩნეოდა. კე-

### მეგრული კერა



ნოდარ შოშითაშვილის ფოტოები

რიის ცეცხლი ჩაუქრობლად ენთო. კერას წმინდა ადგილად მიიჩნეოდნენ და მისი შეურაცხყოფა (ცეცხლის მიზანმიმართულად ჩაქრობა, წყლის მისხმა, ნაგვის ჩაყრა) დანაშაული იყო და ტრადიციული სამართლითაც განისჯებოდა. კერიის ახლოს იკრძალებოდა ბილწისიტყვაობა. სამეგრელოში კერიის ცეცხლსაც კი იფიცებდნენ. ასეთი წესით ჰქონდათ, კერიის ცეცხლს ორშაბათობით და ახალ წელიწადს არ გასცემდნენ, ოჯახის ბარაქა გაკვეთებო.

კერას ასევე დიდი ადგილი ეკავა ჩვეულებით სამართალში. მკვლელის მოკლულის ოჯახთან საბოლოო შერიგების ნიშანი იყო დამნაშაულის შემება ოჯახში და კერასთან, მოკლულის დედის მკერდზე მოხვევა. ამგვარი რიტუალის შემდეგ მონანიე მკვლელი ამ ოჯახის წევრადაც მიიჩნეოდა.

კერასთან ეწობოდა ასევე ლოცვის სხვადასხვა და სადღესასწაულო რიტუალებიც. ოჯახის უფროსი სწორედ აქ, კერასთან ადგებოდა ფუძის ლოცვას, აქ აცხობდა დიასახლისი საწესო კვერებს, აქვე ნაკვერჩხლებზე აკმევდნენ საკმევებს, ახალ წელიწადს მეკვლე პირველად კერიის ცეცხლს მიულოცავდა, აჩაღებდა ცეცხლს საგანგებოდ მომზადებული ფიხით და შემდეგ ზედ გადახტებოდა.

კერასა და მის თავზე ჩამოკიდებულ ნაჭას დიდი ადგილი ეჭირა საქორწინო რიტუალში: ოჯახში პირველად შემოყვანილ პატარძალს სამჯერ შემოატარებდნენ კერას. მას ხელი უნდა შეეველო საკიდლისთვის და ამით უკვე ოჯახის წევრიც ხდებოდა.

ხის წვერიც ხდებოდა. ასევე მიიჩნეოდა, რომ გარდაცვლილ წინაპართა სულები კერასთან იყრიდნენ თავს. კერაზევე მზადდებოდა საკვებიც. ძირითადად იკვებებოდნენ ფეტვითა და ღომით. სიმინდის შემოსვლის შემდეგ კი ამას სიმინდის ღომი და მჭადი დაემატა. ასევე განთქმულია მეგრული ყველი და სულგუნი...

### **სოლომონ მორის დროსა...**

როგორც ტიპოლოგიურად, ისე მშენებლობის ტექნიკითა და ადგილობრივი ხანდაზმული მცხოვრებლების გადმოცემით დასტურდება, ონტოფოს საჯალაბო სახლი XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება. ისტორიულად ეს იმერეთის გმირი მეფის, სოლომონ მორის ეპოქაა, ხოლო სამეგრელოში გრიგოლ დადიანის მმართველობის პერიოდი. წარმოვიდგინოთ, რომ ამ სახლში სისხლსავსე, ამ სოფლისა და კუთხისთვის დამახასიათებელი ცხოვრება მიმდინარეობდა. შეიძლება ეს იყო დავითაიების ის თაობა, როდესაც ამ გვარის ერთ-ერთი მოდგმის სათავეში მათი ლეგენდარული წინაპარი ძიკუ დავითაია იდგა. მოდგმისა, რომლის წარმომადგენლებიც გამჭრიახობითა და ფიზიკური ძალით გამორჩეული ყოფილან. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ სოფელ ონტოფოში დაფუძნებისას ძიკუს მხრებზე შემოუდია მცირე საშხადი სახლი და მდინარე ცხენისწყალი ისე გადმოულახავსო.

ლეგენდა ლეგენდად დარჩეს, საჯალაბო სახლი კი მართლაც მკვიდრი, მტკიცე და ლამაზი აუგიათ. მთხრობელები ამ სახლის აგებას ლაზ ოსტატებს მიაწერენ. საქართველოში და მთლიანად კავკასიაში ხის სახლების აშენებისა და მათზე ჩუქურთმების გამოყვანის დიდი ოსტატები იყვნენ ლაზეთიდან და რაჭიდან გამოსული ხელოსნები, რომლებიც ითვალისწინებდნენ იმ კუთხის ტრადიციებსაც, სადაც აშენებდნენ სახლებს და იმ დიდ ტრადიციებსაც იყენებდნენ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

დავითაიების საჯალაბო სახლის საძირკველი ქვისაა. კედლები წაბლის ხის ფიცრისგან არის ნაგები. გადახურვა ორქანობიანია ხის ნივნივებზე და გადახურულია ყავრით. მისი ფართობი 80 კვმ-ია. საჯალაბო სახლი გვეგმაში სწორკუთხაა და საფასადო მხარეს აქვს შეფიცრულიატაკიანი, ოთხსვეტიანი აივანი. ჭვირული მოაჯირი სილამაზეს ჰმატებს და მას



*სოფელ ონტოფოში დაფუძნებისას ძიკუ დავითაიას მხრებზე შემოუდია მცირე საშხადი სახლი და მდინარე ცხენისწყალი ისე გადმოულახავსო... 1660 კოპაპლაშვილის ნახატი*

პერიმეტრზე ხის სკამი გასდევს. აივნის თავზე-სხვევს ფასადი გახსნილი აქვს და იგი საბძლად გამოიყენებოდა. აივნიდან შემავალი კარით ვხვდებით მიწურ იატაკიან ოთახში, რომელსაც სოხანე ეწოდება და რომლის ცენტრში განთავსებულია კერა და შუაცეცხლი.

### ერთი ოჯახის ისტორია

სახლი დაეიარაღებინა საცხოვრისი იყო XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ამ დროს ოჯახის უფროსი ყოფილა ირაკლი დავითაია, მისი ცოლიც ონტოფოდან გახლდათ, მათა გოჩოლეიშვილი. მათ შვიდი შვილი შესძენიათ, სამი ვაჟი და ოთხი ქალი.

ირაკლი დავითაიას თავისი დროისთვის შეძლებულ და პატოსაცემ გლეხად მოიხსენიებენ. იგი ხის ხელოსნობის ცნობილი ოსტატი ყოფილა და ვაჭრობასაც მისდევდა. ამიტომ იყო, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში, როცა სოფლად კოლექტივიზაცია დაიწყო, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ირაკლი დავითაია კულაკად გამოაცხადა და განკულაკებაში მოაყოლა. მანამდე კი მას ძველი, მამაპაპისეული სახლის გვერდით ოდასახლი აუშენებია და საჯალაბო სახლს სამზადის ფუნქცია შეუძენია.

ოდაში საცხოვრებელი სივრცე სეგმენტირებულია და სამი ან ოთხი ოთახისგან შედგება. ოდას აქვს მისაღები ოთახი, საძინებელი, სტუმრის საძინებელი, საკუჭნაო-სამზარეულო. ოდასახლი, როგორც წესი, ხიმინჯებზე დგას: დაახლოებით 0,80-1 მეტრი სიმაღლის ქვის, ხის, ქვითკირის (ზოგჯერ აგურის) სვეტებზე. ამგვარი ჰაერაციის აუცილებლობას დასავლეთ საქართველოს ნესტიანი კლიმატი ქმნიდა, ასეთი შენობა კი გაცილებით ჯანსაღი იყო საცხოვრებლად. ნაგებობის ცენტრში ბუხარია განთავსებული.

ბედმა ისე იხება, რომ ირაკლისა და მათას ოთხი ქალიშვილიდან (თამარი, იული, ძიბუ, ანა) არც ერთი არ გათხოვილა და ღრმა სიბერემდე მიუღწევიათ. ბოლოს 1900 წელს დაბადებული თამარი გარდაცვლილა 91 წლის ასაკში. ოთხივე და გამორჩეული ყოფილა შესახედავად და ხელსაქმითაც. ადგილობრივ მღვდელს მათთვის წერა-კითხვაც უსწავლებია. საბედოს რჩევაში კი უოჯახოდ დარჩენილან (მამაჩვენზე ნაკლებ კაცს არ გავყვებოდითო). დებს ქსოვა სცოდნიათ. ქსოვდნენ საფეიქრო დანადგარზე (დგამ-სავარცხელზე), რომლითაც ბამბას ამუშავებდნენ და შესაბამის ქსოვილს ამზადებდნენ. ქარგავდნენ კიდეც,



მეგრული სამზარეულოს „არსენალი“



მარინა სირაიე: ლაზ და რაჭველ მეჩუქურთმეთა ნახელავი განსაკუთრებით უცხოელებს მოსწონთ...





ნალია მგერული კარ-მიდამოს აუცილებელი ატრიბუტია



200 წლის რცხილა დაუითაიების საჯალაბო სახლის ხნისაა...

მატყლს ართავდნენ და ჩხირებით ქსოვდნენ. თავიანთი ამოქარგული ზავერდის მუთაქებითა და ყურთბალიშებით ჰქონიათ მორთული სახლი.

სამივე ვაჟს უმაღლესი განათლება მიუღია. დავითი ექიმი ყოფილა. იმ დროისთვის აბაშაში პირველი ამბულატორია დაუარსებია. მთავარ ექიმ ჯორჯიკიას თავდაჭერილი და განათლებული დავითი სასიძოდ მოსწონებია და თავისი ქალიშვილი ნანი ჯორჯიკია მიუთხოვებია. სამწუხაროდ, შვილები არ შესძენიათ. დავითაიების გვარი ძმებს აკაკისა (კაკოს) და ალექსანდრეს (ალეს) გაუგრძელებია. ორივე ინჟინერი ყოფილა. სამკვიდროზე, მამა-პაპის ადგილას არ დარჩენილან. ახლა მათი შთამომავლები ცხოვრობენ ქუთაისში, ზესტაფონსა და თბილისში.

საბოლოოდ, მამაპაპისეულ ადგილს დები ანა და თამარი შემორჩენილან. მათვე მიუყვდიათ ძველი საჯალაბო სახლი მუზეუმისთვის 1975 წელს და თანხა შთამომავლებისთვის გაუნაწილებიათ. კარ-მიდამოში კი ირაკლი დავითაიას მიერ აგებული ოდასახლი დარჩენილა.

ამ ამბის შემსწრე, ახლა უკვე ხანდაზმული მეზობლები ინტერესით ყვებიან და ცოტა ინტრიგასაც ურევენ მონაყოლში, როცა გვესაუბრებიან ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ შექმნილი საჯალაბო სახლის დაშლასა და მუზეუმში გადატანაზე — ადგილობრივმა ოსტატ-ხელოსნებმა ვერ შეძლეს მისი დაუზიანებლად დარღვევა და ამის გამო თბილისიდან ჩამოიყვანეს ოსტატიო. ხოლო სახლის ღირსებაზე საუბრისას ერთხმად დასძენენ, რომ მის ასაგებად არც ერთი ცალი ლურსმანი არ გამოუყენებიათო.

### **დავითაიების კარ-მიდამოში იხეხ დავითაია დასახლებულა...**

ამჟამად, ირაკლი დავითაიას სამკვიდროში მისივე მოგვარე, გია დავითაია ცხოვრობს. ბედს ასე უნებებია, რომ დავითაიების კარ-მიდამოში ისევ დავითაია დასახლებულიყო. მას აქაურობა 1989 წელს უყვია.

ოდასახლიც გადაკეთებულია თანამედროვე ყაიდაზე. უცვლელი დატოვეს ოდის ტრადიციული და განუყოფელი ატრიბუტი, — ბუხარი ერთი საკვამურითა და სამი თვალით.

საცხოვრისის გვერდით და უკანა მხარეს სამეურნეო და დამხმარე ნაგებობანი გაუმართავს ახალ მფლობელს. აქ არის თანამედრო-

ვე ყაიდის მცირე ზომის სამზადი სახლი, კაპიტალური და ორიგინალური ფორმის მოსასვენებელი ფანჯარა, საქონლის სადგომი ბოსელი, საღორე, საქათმე, და რა თქმა უნდა, მეგრული და საერთოდ დასავლურ-ქართული კარ-მიდამოსთვის დამახასიათებელი აუცილებელი ატრიბუტი — ნალია.

ონტოფოსა და საერთოდ აბაშის რაიონში მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობაა. მაგრამ მთელ საქართველოში განსაკუთრებული მოთხოვნილებაა აბაშურ სიმინდსა და აქაურ სიმინდის ფქვილზე. სიმინდმა კი ონტოფოში, ისევე როგორც მთლიანად კოლხეთის დაბლობზე, ტრადიციული სამეურნეო კულტურა — ღომი და ფეტვისნაირები ჩაანაცვლა.

ეზო-კარი დღეისთვის დასავლურ-ქართული, მეგრული პეწით არის გაწყობილი. ჭიმკარს გასცდები და ოდამდე მარჯვენა მხარეს ზეხილის ბაღია, მარცხნივ კი მთელი სიგრძეზე ხასხასა კონდარი. სახლის გვერდით ჭასთან ორი უზარმაზარი ხე დგას. ერთი მსხლის, მეორე კი რცხილის, რომელიც საგარაუდოდ, 200 წლის იქნება და სწორედ დავითაიების ტრადიციული საჯალაბო სახლის ხნოვანებისა უნდა იყოს.

ესეც ხომ ტრადიციია — ჭასთან საჩრდილობლად აუცილებლად რგავდნენ კოპიტს ან რცხილას, რადგანაც, როგორც მთხრობელები გვიყვებიან, მათი ფესვები განსაკუთრებულად ფილტრავს ჭის წყალს.

დავითაიების სამკვიდროზე ცხოვრება გრძელდება!

### მინაწერის მავიპრად...

ეთნოგრაფიულ მუზეუმში ონტოფოდან ჩამოტანილი საჯალაბო სახლი დღესაც ერთ-ერთი „პოპულარულია“.

მარინა სირაძე (*სახლის მეთვალყურე*): — ონტოფოს სახლი გულგრილს არავის ტოვებს. განსაკუთრებით უცხოელებს მოსწონთ აქაურობა. ყოფილა შემთხვევა, მეორე-მესამე წელსაც ამოუკითხავთ მუზეუმში ამ სახლის სანახაუდ და სხვებიც ამოუყვანიათ. აინტერესებთ, როგორ ამზადებდნენ სადილს ჩვენი წინაპრები, როგორ თებებდნენ მიწურ იატაკიან უზარმაზარ დარბაზში, საიდან გადიოდა კვამლი, საიდან შემოდებოდა მზის შუქი... განსაკუთრებით იმით ინტერესდებიან, როგორ და რა „თანამიმდევრობით“ თავსდებოდა მთელი სახლის სიგრძეზე გაჭიმულ უზარმაზარ ტახტზე (მაგრამ ერთადერთზე!) ოჯახის ყველა წევრი. ბოლოს და ბოლოს, როგორ მრავლდებოდნენ...

ამ და კიდევ არაერთ კითხვაზე პასუხს ჩვენს მკითხველს მომდევნო ნომრებში შევთავაზებთ და ასევე შეეცდებით, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის საცხოვრისი გაგაცნოთ და სულ მცირე ხნით მაინც „ვამოგზაუროთ“ ღია ცის ქვეშ მუზეუმში გაცოცხლებულ წარსულში.

ნოღარ შოშიტაშვილი



# გორის 1920 წლის მიწისკვრა



*ქალაქი გორი აღარ არსებობს! არც ერთი მთელი შენობა აღარ დარჩა, გორის მაზრა მიწასთანაა გასწორებული. დაღუპულია უამრავი ადამიანი, ცოცხლად გადარჩენილნი უმწეო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ უსურსათობის, უტანსაცმლობისა და უსახლკარობის გამო. დანგრეულია როგორც ახალი, ასევე საუკუნის წინანდელი შენობები, ისტორიული ძეგლები... — დაახლოებით ამ შინაარსის ინფორმაციას აწვდიდნენ 1920 წლის თებერვლის გაზეთები საქართველოს მოსახლეობას.*

გორის მაზრაში პირველი ძლიერი ბიძგი 20 თებერვლის 02:55 საათზე აღინუსხა, ხოლო განმეორებითი — 14:45 საათზე. რიხტერის სკალით მიწისძვრის მაგნიტუდა (აღვილობრივი სიმძლავრე) 6,2 ერთეულს შეადგენდა (შედარებისთვის, 2002 წლის თბილისის მიწისძვრის მაგნიტუდა უდრიდა 4,6 ერთეულს), ხოლო მერკალის სკალის მიხედვით ინტენსივობა ეპიცენტრში 8-9 ბალს უტოლდებოდა. ყველაზე ძლიერი, 9-ბალიანი ბიძგები აღირიცხა გორიდან 3 კილომეტრში მდებარე სოფელ ხიდისთავში. გორში მიწისძვრის სიმძლავრე 8 ბალს შეადგენდა, ისევე როგორც გორის მაზრის სოფლების უმრავლესობაში. ბიძგები მთელი საქართველოს მასშტაბით იგრძნობოდა. თბილისში მისი სიმძლავრე 6 ბალს შეადგენდა, ხოლო ბათუმსა და ფოთში — 5 ბალს.

როგორც ირკვევა, დამის ბიძგს ქალაქ გორში დიდი ნგრევა არ მოჰყოლია, მაგრამ განმეორებითმა მიწისძვრამ კი უკვე დაზიანებული სახლები სრულიად გაანადგურა.

თვითმხილველთა გადმოცემით, შუადღის მიწისძვრის დროს ქალაქში ისეთი მტკვერი დადგა, კაცი ვერაფერს დაინახავდა. ქუჩებში საშინელი ხმაური ისმოდა — ძაღლების ყეფა, ადამიანთა ყვირილი, რომლებიც საკუთარი ოჯახის წევრებს ეძებდნენ ან ნანგრევებიდან თავის დასაღწევად დახმარებისთვის მოუხმობდნენ ახლობლებს.

„უცებ მოისმა ჯოჯოხეთური გუგუნის და ქალაქი გორი ჯერ საქანელათ გადაქცა, შემდეგ კი როგორც წყლიდან გამოსული ან ჭენების შემდეგ გაოფლიანებული ცხენი ძლიერათ შეიბერტყა, ისე იბერტყებოდა ღელადიწის ზურგი ერთი წუთის განმავლობაში. კედლების ჭახაჭუხი, ნგრევა, კორიანტელი მტვრისა, წივილ-კივილი ხალხისა. რა ხდებოდა, აღარაფრის გამოცნობა არ შეიძლებოდა. მთელი გორი გაეხვია სიბნელეში. ჩვენს წინ რამდენიმე ებრაელი და ქრისტიანი დაეცნენ მუხლებზე და ხელებაპყრობილი მაღალი ხმით ღმერთს საშველად მოუწოდებდნენ. ირგვლივ

კენესა, დაჭრილთა ოხვრა. თმაგაშლილი დედა შვილს გიჟეფით დაეძებს, გაისმის ისტერიკული სიცილიც. ბევრი გადახვევიან ერთმანეთს, კოცნიან, გადარჩენას ულოცავენ. ცრემლები გადრჩობს, გინდა ყველას უშველო, მაგრამ უძლეური ხარ ბუნების წინაშე“, — წერდა იმდროინდელი პრესა.

მიწისძვრის შემდეგ გორის მაზრაში ჩასულთ წინ საშინელი სურათი გადაეშალა. მაზრაში, და განსაკუთრებით ქალაქ გორში, პატარა ქოხმახების გარდა თითქმის არაფერი გადარჩენილიყო. როგორც შემდგომში სტატისტიკური კომისიის მონაცემებით ჩანს, გორში აღწერილი 1336 შენობიდან არანაირი დაზიანება არ მიუღია მხოლოდ 16-ს, 756 შენობა-ნაგებობა კი ან სრულად დაინგრა, ან დასაშლელი გახდა. 405 შენობა კაპიტალურ, ხოლო 156 — მცირე რემონტს მოითხოვდა. დანგრეული იყო ქალაქის ერობისა და თვითმართველობის შენობები, ფოსტა, გიმნაზია, სასულიერო სასწავლებელი, ეკლესიები, ყაზარმები, სატუსაღო. თითქმის მთლიანად ჩამოინგრა გორის ცნობილი ციხე. მიწისძვრის შედეგად ქალაქ გორში დაიღუპა 18 ადამიანი (აქედან 7 ბავშვი), სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო 267-მა მცხოვრებმა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო სოფელ ხიდისთავსა და აგრეთვე ოხვრაში, სადაც მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა. ორივე სო-

ფელი ღამის მიწისძვრის შედეგად სრულად განადგურდა. დიდი იყო მსხვერპლიც. სტატისტიკური კომისიის მონაცემების მიხედვით, ხიდისთავში დაიღუპა 30, ხოლო ოხვრაში — 16 კაცი (სხვა მონაცემებით ამ ორ სოფელში დაღუპულთა რიცხვი 59-ს უდრიდა), სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო 49 ადამიანმა. ამ სოფლებში დაზარალდა 338 ოჯახი.

ერთ ადგილას ნანგრევებში მოჩანდა დაღუპული ახალგაზრდა ბიჭის თავი, სხეული კი ნანგრევებში იყო მოყოლილი. გულშემძრული დედა კი ცდილობდა შვილის ცხედრის ნანგრევებიდან გამოტანას, თუმცა ვერ ახერხებდა; მეორე ადგილას ხანში შესული ცოლ-ქმარი დაღუპულ ოთხ შვილს დასტიროდა, მიწასთან გასწორებული სახლის წინ კი ხუთი კაცის დასახიჩრებული სხეულები გამოეტანათ ჯარისკაცებს. თითქმის მთლიანად დაინგრა სოფელი უფლისციხე, სადაც დაზარალდა 145 ოჯახი და დაიღუპა 15 კაცი (სხვა მონაცემებით — 24). ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ამ სოფელში ნანგრევებში მოჰყვა ახალდაქორწინებული წყვილი მექორწილეებთან ერთად. თითქმის სრულიად განადგურდა: ატენი, გორიჯვარი, სკრა, ხოვლე, სასირეთი, დოესი და სხვა სოფლები. სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო მაზრის 75-მა სოფელმა. სტატისტიკური კომისიის მონაცემებით, მიწისძვრამ მაზრაში შეიწირა 129 კაცის სიცოცხლე (სხვა

*სამთავრობო კომისია მიწისძვრის შედეგების სანახაოდ გორს ეწვია*





*ქალაქში მრავალი  
ოჯახი უსახლკაროდ  
დარჩა*

*მიწისძვრამ დაანგრია გორში არსებული ეკლესიები*



*მიწისძვრამ მახრაში, ოფიციალური მონაცემების  
მიხედვით, 129 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა*



მონაცემებით დაიღუპა 200-მდე), დაშავდა 661. სტიქიამ დაზარალა 7118 ოჯახი.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელსაც ამ პერიოდისთვის საშინაო და საგარეო პრობლემები ისედაც თავზე საყრელი ჰქონდა, ბუნებამ კიდევ ერთი გამოცდა მოუწყო. აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც საკუთარი თვალთი იხილა დანგრეული შიდა ქართლი, თბილისში დაბრუნებულმა დამფუძნებელი კრების სხდომაზე პირდაპირ განაცხადა: — ესღა გვაკლდა!

მართლაც, ზარალი ძალიან დიდი იყო. სახლების გარეშე დარჩენილი მოსახლეობა თებერვლის სუსხიან დღეებში ღამეს ღია ცის ქვეშ ვერ გაათუვდა. სახლების დანგრევასთან ერთად სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს დაეღუპა შინაური პირუტყვი. 20 თებერვალს მახრაში ჩავიდნენ მთავრობის წარმომადგენლები და ადგილზე გაეცნენ არსებულ სიტუაციას. 22 თებერვალს შეიქმნა მთავრობის საგანგებო კომიტეტი, რომელსაც იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე ხელმძღვანელობდა. მთავრობამ მოუწოდა მთელი ქვეყნის მოსახლეობას, ამ მძიმე ვითარებაში ვისაც რითი შეეძლო, მხარში ამოსდგომოდა დაზარალებულებს. შეიქმნა დაზარალებულთა დახმარების ბიურო. ამასთან ერთად, გაზეთ „საქარ-

თველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა საკმოდ ორიგინალური მოწოდება „მდიდრებისადმი“: „მდიდარო, მიწისძვრა ყველას ათანასწორებს. გაიღე შენი სიმდიდრიდან დაზარალებულთა მოსამჯობინებლად“.

მთავრობისა და ქვეყნის მოსახლეობის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მხარში ამოუდგნენ სტიქიისგან დაზარალებულებს. საქართველოს მთავრობამ მაშინვე გამოყო პირველადი 20-მილიონიანი კრედიტი, თუმცა პირველი დახმარების პაკეტის საერთო ღირებულება 60-80 მილიონ მანეთამდე აღიოდა. მოსახლეობას გაეგზავნა: საკვები, პირველადი საჭიროების ნივთები, 10 ათასი კარავი, შეშა. შეიქმნა სავსე ჰოსპიტალები დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების აღმოსაჩენად. რკინიგზაზე განუწყვეტლივ მოძრაობდნენ სამგზავრო, საბარგო და სანიტარიული მატარებლები. სანიტარიული მატარებლით დაშვებულები გადაჰყავდათ თბილისში. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა 20 თებერვალს მომხდარი ორი დამანგრეველი სიმძლავრის ბიძგისა, რამდენიმე დღის განმავლობაში მიწა სუსტად, მაგრამ მაინც იძროდა, რაც ისედაც დაზარალებულ მოსახლეობაზე კიდევ უფრო დამთრგუნველად მოქმედებდა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება გორელებზე შემდგომში გავრცელებული ხუმრობა, რომ მათ შუა გზაზე სიარული ახასიათებთ. მართლაც, შეშინებული მოსახლეობა ერიდებოდა ტროტუარზე სიარულს, რათა შენობების ნანგრევებიდან რამე არ დასცემოდათ.

აღსუსულია ფაქტები, რომ ფეხმძიმე ქალები მიღებული შოკისგან სანიტარიულ მატარებელშივე მშობიარობდნენ. მთავრობამ უსახლკაროდ დარჩენილთათვის ბინები დაიქირავა ბორჯომში, ხაშურსა და სურამში. ამ უკანასკნელში მომზადდა ბინები 5 ათასი კაცისთვის. მაზრაში გაიგზავნა რეგულარული არმიის მესანგრეთა ათასეული და გვარდიის ნაწილები, მოხალისე სტუდენტთა სანიტარიული რაზმები, ექიმები, ინჟინერები. მოსახლეობა აქტიურად გამოეხმაურა მთავრობის მოწოდებას, გორში თითქმის არ ყოფილა მორღიღორობის ფაქტი, რაც ასეთ სიტუაციაში იშვიათობას არ წარმოადგენს. დაზარალებულებს ფულად დახმარებას უწევდა მთელი საქართველო, დაწყებული მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრების პირადი შემოწირულობებიდან, დამთავრებული კერძო პირებითა და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციით.



*მიწისძვრის შედეგად ქალაქში დაინგრა ან დანგრეულს მოითხოვდა 756 შენობა*

*მიწისძვრამ გორის შემოგარენის სოფლებში სახლები დაანგრა ან დააზიანა*



გორელთა დასახმარებლად იგზავნებოდა ეკლესიებში მოგროვებული ფული, საკუთარი ხელფასის ნაწილი გაიღეს რეგულარული არმიის ჯარისკაცებმა და გვარდიელებმა, ერობებმა, თბილისის საჰერობილეთა ინსპექციის წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა, სხვადასხვა დაწესებულების მუშებმა. მაგალითად, ზესტაფონში პირველადი დახმარებისთვის მოუგროვებიათ 225 ათასი მანეთი, თბილისის კლუბების საბჭომ კი გადაწვივია 100 ათასი მანეთი გაეგზავნა „გორის ფონდისთვის“, ასევე „ლოტოს“ გათამაშებიდან შემოსული თანხის 10 პროცენტი, კვირაში ერთხელ კი „ლოტოს“ მთელი წმინდა მოგება. 28 თებერვალს მწერალთა კავშირის საბჭომ გორის მცხოვრებთა დასახმარებლად ცნობილ კაფე „ქიმერიონში“ გამართა გრანდიოზული საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი და რუსი მწერლები, ქართული დრამის, „ტარტოსა“ და სახელმწიფო თეატრის მსახიობები. მიწისძვრისგან დაზარალებულთა დასახმარებლად 200 ათასი მანეთი გააგზავნა იტალიის სამო-

ქალაქო მისიამ, ასევე მათ გორში გაგზავნეს 500 კაცზე გათვლილი სველე ამბულატორია და ექიმთა ჯგუფი. დაზარალებულებს დახმარება გაუწია სომეხთა ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც გორელებისთვის გამოყო 50 ათასი მანეთი და საკუთარ თავზე აიღო დაშვებულიათვის საავადმყოფოში 20 საწოლის შენახვა. მიწისძვრასთან დაკავშირებით ამერიკული გაზეთის, „ნიუ-იორკ თაიმსის“ 10 მარტის ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით — „ასობით მკვდარი, ათასობით უსახლკარო — კავკასიაში მომხდარი მძიმე მიწისძვრის შედეგი“. ამერიკელთა აღმოსავლეთის დამხმარე კომიტეტმა კი სამი ვაგონი ძველი ტანისამოსი გაუგზავნა დაზარალებულებს.

ასეთი დამანგრეველი ძალის გამოდგა გორის 1920 წლის 20 თებერვლის მიწისძვრა საქართველოსთვის, თუმცა ქართლის შუაგულში დატრიალებულმა უბედურებამ შეაკავშირა და ერთად დააყენა მთელი საქართველოს მოსახლეობა.

**ლიმიტრი სილაძე**





# 1500 წლის ბიბლია იხსოს „მუოზლიურ ენაზე“?!

თურქეთში მიაკვლიეს ბიბლიას, რომელიც 1500 წლისაა. ფოლიანტი ტყეისგან არის დაშა-დებული და ის საკმაოდ სქელტანიანია. ტექსტი დაწერილია ერთ-ერთ დიალექტზე ასირიული ენისა, რომელიც შესაძლოა თვით იესო ქრისტეს მშობლიურ ენას წარმოადგენდა.

საგულისხმოა, რომ უძველეს ხელნაწერს მეცნიერებმა რვა წლის წინ მიაკვლიეს, თუმცა ის აღმოჩენისთანავე გაქრა და პოლიციელებმა მისი მოძიება მხოლოდ მას შემდეგ შეძლეს, რაც ქვეყნის სამხრეთ ნაწილში კონტრაბანდისტთა ჯგუფი დააკავეს.

წიგნი ამჟამად ანკარის ეთნოგრაფიულ

მუზეუმშია დაცული და მეცნიერთა განცხადებით, წინ საკმაოდ მძიმე და ხანგრძლივი რესტავრაცია ელის.

გარდა იმისა, რომ 1500 წლის ბიბლია ისტორიულ და ლინგვისტურ საგანძურს წარმოადგენს, ის თეოლოგიურ დაუთა საგნადაც იქცა. ვატიკანმა უკვე მოუწოდა ანკარას არტეფაქტის მრავალმხრივი ანალიზისკენ. გარაუდობენ, რომ უძველესი ფოლიანტი შესაძლოა დაწერილი იყოს არამეულ ენაზე, ოღონდ ასირიული ანბანით.

*მომზადებულია Euronews-ის მასალების მიხედვით*

# 10-ცხინი ყვიჩაზე ცაბაზ ბანხნოტებს შოხის მოხვდა

ქართული ბანკნოტი, 10-ლარიანი მსოფლიოს ყველაზე ლამაზი დიზაინის მქონე ბანკნოტებს შორის მოხვდა. გამოკითხვა საიტმა [ermoshka.ru](http://ermoshka.ru)-მ მოაწყო. 10-ლარიანი ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულია ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, აკაკი წერეთლის პორტრეტი წარწერით „აკაკი წერეთელი 1840-1915“, მერცხალი და აყვავებული რტო. ბანკნოტის უკანა მხარეს გამოსახულია ქართველი მხატვრის, დავით კაკაბაძის ფერწერული ტილო „იმერეთი — დედაჩემი“ და ვაზის ლერწები. „ეს არის ყველაზე საინტერესო დიზაინის ფულის ნიმუები. მათ რიცხვში არ შესულა მსოფლიოში ყველაზე პოპულარული რამდენიმე ვალუტის ბანკნოტები“, — აღნიშნავენ გამოკითხვის ავტორები.

საიტმა გამოკითხვისთვის სხვადასხვა ქვეყნის სულ 20 კუპიურა შეარჩია. მათ შორის



*ბანდვლადემის 2 ტაკის ნომინალის ბანკტონი ყველაზე ლამაზად აღიარეს*

პონგკონგური 10-დოლარიანი, ახალხელანდიური 10-დოლარიანი, საფრანგეთის პოლინეზიის 1000-ფრანკიანი, შვედური 20-კრონიანი, ებრაული 50-შეკელიანი. ქართულ ლარს ოცეულში მეხუთე ადგილი არგუნეს.



# ერთი აპიზოდი დიდი მოურავის ცხოვრებიდან

მარტყოფისა და მარაბდის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროსა სააკაძემ მესხეთში ააფრიალა. 1625 წლის ზაფხულში იგი უკვე სამცხეშია და ანტიირანული კოალიციის ორგანიზაციას ცდილობს. შაჰ-აბასის სამხედრო ძლიერება და საერთაშორისო ავტორიტეტი, სააკაძის დამსახურებით, გვარიანად შერყეულია, მოურავის მიზანი საქართველოდან ყიზილბაშობის სრული ამოკვეთაა. სეფიანი შაჰის წადილი განუხორციელებელი რჩება. მარაბდის ველზე უმნიშვნელო წარმატებამ მას შვება ვერ მოჰგვარა, სააკაძე და მისი თანამოსაგრენი მოუხელთებელ შურისმაძიებლებად იქცნენ და პარტიზანულ ომს აღვივებენ. ქსანსა და საბარათიანოში მტრის დამარცხების შემდგომ მოურავმა გადაკეტა კეზვის, კიკნათბერის, ალისა და სურამის ციხეები. ამით შიდა ქართლი, პრაქტიკულად, მიუწვდომელი შეიქნა ყიზილბაშური ურდოსთვის. სამხრეთიდან, სამცხე-საათაბაგოს მხრიდან ზურგის „მობმის“ საჭიროებამ სააკაძეს გეზი აქნევინა მესხეთისკენ, სადაც ყიზილბაშები მომძლავრებულიყვნენ. მართალია, 1619 წლის 29 სექტემბრის ზავით „თავმოკატუნებულმა“ ირანის „ლომმა“ ცნო ოსმალთა უპირატესობა სამხრეთ საქართველოში, მაგრამ სათავისო დრო იხელთა თუ არა, სამცხის ციხეებში საკუთარი გარნიზონები ჩააყენა (1623 წ.). ოსმალეთის საპირისპიროდ იგი თავად აცხადებს საათაბაგოს მიწებზე პრეტენზიას და მის სრულ ინკორპორაციაზე ფიქრობს. თავისად მიჩნეულ-დაჭერილი „ქვეყნის“ მმართველობა აბას პირველმა ყიზილბაშ ხანს, სელიმ შამს-ად-დინლუს გადასცა, რამაც პროირანულად განწყობილი მესხი დიდებულებიც კი აღაშფოთა. გაღიზიანებული, შაჰის მემხრეობით ცნობილი ათაბაგი მანუჩარ III თურქებს მიუვიდა და მათი დახმარებით ცდილობდა საკუთარი ტახტის გამაგრებას.

მოურავის გამჭრიახ თვალს არ გამოჰპარვია ათაბაგის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილება და, სავსებით საფუძვლიანად, შესაძლებლად მიიჩნია მისი ჩართვა საქართვე-



გიორგი სააკაძის ძეგლი. მერაბ ბერძენიშვილი

შაჰ-აბას I



ლოს აღსადგენად გადამწვევტ ბრძოლაში. თანამოაზრენიც მრავლად გამოუჩნდა მარტყოფის გმირს. მოურავის მომხრეთა შორის ჩანან: დაუთ-ბეგ გოგორიშვილი, ფარად-ფაშა — სიძე გიორგი სააკაძისა, როსტომ შალიკაშვილი, ელია და თანუნა დიასამიძეები, ელიზბარ და ბეჟან თაქთარიძეები. ჩანს, თავდაპირველად სააკაძე სამცხის დასავლეთ ნაწილში, „აფეთს მდგარი“ უყრის თავს მომხრეებს: მდინარე ქვაბლიანის ზემო წელზე, სოფლებს ჭალასა და ფლატეს შორის (დღევანდელ ადიგენის რაიონში) მდებარე აფეთი, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მონაცემებით (1595 წ.) მოზრდილი, 16-კოშლიანი, ციხე და სოფელი (8000 ახჩას იხდის), ამ დროისთვის გიორგის სიძის, ფარად-ფაშას მფლობელობაში ჩანს. სააკაძე გადამწვევტი მოქმედებისთვის ემზადება:

დაუთ-ბეგ გოგორიშვილსა  
 მკვიდრად აქვს ციხისჯვარია,  
 მითხრა, „ხელთ მოგცემ ციხესა“,  
 მან დაიფიცა ჯვარია.  
 აფეთს დაუდგე, მე მახლდა კიდევ  
 კარგი რამ ჯარია;  
 მესხნი ყოფილან მოყვრისთვის  
 თავისა გამსაჯვარია!

მესხეთში სააკაძის გამაგრება-გააქტიურება რეზონანსული აღმოჩნდა, რასაც ყორჩიბაშის ლაშქრობა მოჰყვა, მოურავის დევნის

მიზნით; ისქანდერ მუნშის თქმით: „...ახალციხის მმართველი სელიმ შამს-ად-დინლუ და ციხის მცველნი მეთოფეები საქართველოს ამბებით და ყოველი მხრიდან განუწყვეტლოვ მომავალი სხვა საშინელი ცნობებით გულშეჭეხებული იყვნენ... დგომა ვერ შესძლეს, ციხე დააგდეს, გაუდნენ და ყორჩიბაშის ბანაკში მივიდნენ“. სააკაძის უპირატესი ძალა ცხადლევ გამოჩნდა:

ახალციხე და აწყვერი, ხერთვის და  
 ფარავანია,  
 ყიზილბაშთ ჰქონდა ციხენი, შიგ  
 ჭანი ან საკანია;  
 ზოგი მე ძალად წვართი, ვიხმარე  
 კარგ საკანია,  
 ზოგი იმათვე გაუშვეს, გასცვივდა  
 თეთრ, დრაჰკანია.

ასე ათქმევინებს სახელოვან წინაპარს „დიდმოურავიანის“ ავტორი.

სპარსელ მეციხოვნეთა განდევნის შემდეგ, სამცხე-საათაბაგოში ერთობ საინტერესო ვითარება შეიქნა: ყიზილბაშნი აქტიურ მოქმედებას ერიდებიან, ოსმალები არსად ჭაჭანებენ, ხოლო მესხ ქართველებს ჯერ ძალა არ შესწევთ გათავისუფლებულ ციხეთა დაკავებისა. ყიზილბაშთა წინააღმდეგოში ერთადერთი რეალური ძალა გიორგი სააკაძეა „... რიდი არ მქონდა მტერისა... ხან ზარზმამდისი ავედი, ხან ჩამოვედი უდებსა“, — ამბობს იგი და ჩვე-

ახალციხის გალავანი





ასპინძის ციხის შემოგარენი

ული ენერგიითა და ენთუზიაზმით ცდილობს შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციის შენარჩუნებას, სათანადო ღონისძიებებსაც სახავს:

გიორგი ქავთარიშვილი  
სიტყვა-პასუხის მთქმელია,  
ხვანთქართან ამად გავეზაუნე;  
„თქვენ იყავ ჩვენი მშველია!  
ეს ციხეები ავიღე, თქვენ  
გამოგზაუნეთ მცველია“;  
ხელმწიფემ ბრძანა:  
„საქმენი უქნია კარგ საქნელია“.

აქ, სააკაძის განმაქიქებელთა სასმენად ვიტყვით, რომ „საკუთარი სისუსტის ღონედ“ მოწვევა „უცხო ძალისა“ არც ერთ ეპოქაში სათაკილოდ არ მიჩნეულა (ასეა დღესაც), თუ ეს ძალა არ იბრძვის ქართველობის, ანუ ქართული უფლებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წინააღმდეგ (შერე, განა ოსმალები არ იბრძოდა?! – გ.გ.).

გიორგი ქავთარიშვილ-ბარათაშვილის სტამბოლს სტუმრობას, ყველა წყარო, გარდა იოსებ სააკაძისა, და ყველა მკვლევარი, ასპინძის ბრძოლის შემდგომი პერიოდით ათარიღებს. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში თბილელი ეპისკოპოსი უფრო იცავს სიზუსტეს, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ მოკავშირის ძებნა სააკაძეს მესხეთში გადასვლამდე უნდა დაეწყო, მისი მასშტაბის პოლიტიკური მოაზროვნე სწორედ ასე მოიქცეოდა. სამწუხაროდ, ამ საკითხზე წყაროთა სიმწირე დასაბუთებული დასკვნის გამოტანის საშუალებას გვართმევს.

საბოლოოდ, სტრატეგიული ამოცანიდან გამომდინარე, სააკაძე ასპინძის დაბანაკებულა, „ბრძენი და წყნარი“ თანუნა დიასამიძის გამორჩევით: „მან მითხრა: თრიალეთისკენ / ასპინძა ახლოს არია, / ყმა და ამბავი მოგვეწოდების / ავი თუ გასახარია“. სწორედ აქ, ასპინძასთან გიორგიმ კიდევ ერთხელ განაცდევინა მარცხის სიმწარე ირანის შპყრობელს. მონაშუქი ამ ბრძოლისა ასპინძასთან ერეკლეს გამარჯვების ელვარებამ დაჩრდილა და ალბათ, ბვერი ჩვენი თანამედროვისთვის ამიტომაცაა შედარებით უცნობი. იოსებ თბილელი ასე აღწერს ამ ბრძოლას:

მე მთავრე ვიყვ სათოფეთ,  
ციხე-ვთქვი ასვლა ძისანი,  
დაუხედე, არე მოეცვეს  
საფარა-ასპინძისანი,  
დიასამიძის დახლომა, ომი თქვეს  
ორთავ ძმისანი,

გაგჰკვირდი, ნეტავ რა უნდათ  
 კაცისა განადისანი!  
 რა მოვიდნენ, კარგა დაეზედით,  
 ვეღარ გვიყვეს იმათ ბრძოლა,  
 დაეჭხედეთ და ამოგსწყვიტეთ, მათ  
 შეექმნათ ცხრო და თრთოლა...  
 ასპინძამდი ასრე ვდივეთ, მათ  
 ეგონათ ზევი ვაკეთ,  
 ნაშოვრისა დანაცვივით ჩემს ყმას  
 კიდევ კარა ვაკეთ!  
 ჩვენს, სვედასა უკუ ვიყრით,  
 მათთვის ცეცხლსა უგზებ, ვაკეთ;  
 იმ თვის ჩვენთვის მათი მოსულა არ  
 შეიქმნა მოკლე, ნაკეთ.

უპირველესად, საინტერესოა, როდის მოხდა ეს ბრძოლა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გიორგი სააკაძე სამცხეს 1625 წლის ზაფხულის მიწურულს, უფრო ზუსტად კი მარაბდის ბრძოლიდან ალბათ ერთ თვეში, ან თვე-ნახევარში უნდა გადასულიყო; ისქანდერ მუნშის ცნობით: „ყორჩიბაშის სახელზე გაიცა ბრძანებულება, რომ ამ წელს საზამთროდ ყარაბაღში დამდგარიყო და მოურავისა და სხვა მოამბოზე ქართველების უკუსაგდებად ებრძოლა“.

ეს ბრძანებულება 1625 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებით თარიღდება. მის სარწმუნოებას ოსმალური წყაროებიც ადასტურებენ. ბაღდადის დაცემის შემდგომ, ოსმალთაგან დამარცხებული ირანელები საბრძოლო ოპერაციებს ზღუდავენ. ოქტომბრის ბოლოსთვის ოსმალებმა შეტევა უკვე ახალციხეზე მიიტანეს.

ჩვენი აზრით, სააკაძის სამცხის ეპოპეა აგვისტო-სექტემბრით, უფრო კი სექტემბრით უნდა შემოეზღუდოთ (ამ პერიოდში აღნიშ-



ოსმალეთის სულთანი მურად IV

ნულ რეგიონში ზომიერად თბილი ჰავაა, რომელიც წვრთნა-ნადირობისთვის ხელსაყრელია).

არანაკლებ საინტერესოა ბრძოლის ლოკალიზება.

უკვე ვთქვით, რომ მოურავი აფიეთიდან შემოკრებილი ძალების უკეთ კოორდინაციის მიზნით თანუნი დიასამიძის რჩევით ასპინძას გადაბარგდა: „ხალხი ციხეში ავასხი, მე დაბლა ძირსა ვდგებოდი“. იგი აპინძასთან უნდა ტრიალებდეს, ბრძოლისთვის მზადმყოფი; იო-

მტკვარი ასპინძასთან, სადაც მდებარეობდა უძველესი ხიდი





**ბერთვისის ციხესიმაგრე**

სებ სააკაძის ცნობით, ყიზილბაშებმა „...არე მოიცვეს საფარა-ასპინძისანი“. რაგინდ რიცხვმრავალიც უნდა ყოფილიყო მტერი, მანძილს ასპინძიდან დღევანდელ საფარის მონასტრამდე, როგორც ამას ზოგი ისტორიკოსი ვარაუდობს, ვერ და არც (ტაქტიკურად გაუმართლებელი იქნებოდა) დაფარავდა. ჩვენი აზრით, ტერმინი „საფარა“ პუნქტის მოხერხებულ საფარ-სადგურობას უნდა გულისხმობდეს. მეცნიერთა ვარაუდით, ასპინძა სწორედ საფარს, სადგურს ნიშნავს; მკვლევარი მ. ანდრონიკაშვილი ფიქრობს, რომ „გეოგრაფიული სახელი ასპინძა შესაძლოა დაუკავშირდეს სიტყვას, მასპინძელი; მაშინ მისი თავდა-

პირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო სადგური, თავშესაფარი“. რაც მთავარია, სააკაძემ სტრატეგიულადაც საუკეთესო პოზიცია შეარჩია. ასპინძის, იმავე ოთის ხევით (მტკვარს ჩრდილოეთიდან ერთვის ასპინძასთან) გზა ციხისჯვარში გადადის, აქედან თემის ხეობა და თრიალეთი ხელის გაწვდენაზეა. რეგიონს სააკაძის მომხრენი აკონტროლებენ. სოფელი ოთა და ციხე (ოთისხევი) შალიკაშვილთ უჭირავთ, ციხისჯვარი კი „მკვიდრად აქუნდა“ დაუთ-ბეგ გოგორიშვილს.

ამრიგად, ჩანს, რომ ასპინძა-ოთის მაღლობებიდან დაშვებული დიდი მოურავი მცირედი რაზმით ეკვეთა მომხდურთ, ასპინძასთან მო-



ზოგადი მოწოდებებით შემოიფარგლა და „...ჯარები მისაშველებლად ვერ მისცა, რადგან თვითონაც გაჭირვებაში იყო“. ოსმალთა ძირითადი ძალები ბალდათთან იყო დაკავებული, ამიტომაც სააკაძის მისაშველებლად დაინიშნენ ბათუმის ბეგლარ-ბეგი იმერი (1617-1631), ჩილდირის მურთაზ-ფაშა (ჯაყელი) და სანჯაყ-ბეგი საფარი (იგივე ბექა) თავიანთი ლაშქრით. მიშველება ებრძანათ გავლენიან დაღესტნელ ფეოდალს — ყაითაღის უცმიას, იმერთა მეფეს, დადიანსა და გურიელს. საბოლოოდ, ოსმალთა უგერგილობისა და ქართველთა „ულონობის“ მიზნით მთელი ძალისხმევა სააკაძის წყალში ჩაიყარა. ყიზილბაშებმა დაიბრუნეს წართმეული ციხეებიცა და მიმდგომი მიწებიც.

შიდა და საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ, სამწუხაროდ, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ბედისწერად ქცეული ტრაგიკული გარდუვალობის ძალით, არაერთი მამულიშვილური იდეა დაასამარა. ამდგვარ ვითარებათა წინაღობა და დაძლევა აზრისა და მოქმედებისა გოლიათებსაც არ ძალუძოთ. ყოლისმმძუსვრელ, სტიქიურ ძალად იქცა გარეუფატორი სააკაძისთვის, მით უმეტეს, სრული საშინაო დაქსაქსულობის, სეპარატიზმის, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, დეგენერატიზაციის ვითარებაში.

დამარცხდა დიდი მოურავი, მაგრამ იდეა პოლიტიკური ერთიანობისა არასდროს მომკვდარა. სააკაძის ამ ბრძოლიდან თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ უკვე პატარა კახმა აქცია ასპინძა ქართველთა მხედრული სიქველისა და სიამაყის სინონიმად.

**გურამ კუტალაძე**  
**გიორგი შუშუნაშვილი**

იმწყვდია და გაწყვიტა უმრავლესი, „გადარჩენილთ სპარსელთა შეასწრეს ასპინძის ციხეში, მაგრამ ვერც აქ უმაგრეს ბერს ხანს მოუღალავს მოურავსა“ (ანტონ ფურცელაძე). მოურავმა ციხე აიღო. ყიზილბაშთა გადარჩენილი ნაწილი მტკვარადმა, ზერთვისისკენ გაიქცა, ვინაიდან „მაშინ ეპყრათ ყიზილბაშთ ზერთვისი და რომელნიმე ციხენი სამცხისანი. შეუხდა მათ მოურავი, მოსწყვიდნა მეციხოვნენი და დაიპყრა თვისად“.

საკაძის დიპლომატიურ ცდას, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, სულთან მურად IV მეთაურობით ანტიირანული კოალიციის შეკვრისა, შედეგი არ მოჰყოლია. ხონთქარი მხოლოდ



# კუდიანების დევნა



XV-XVIII  
საუკუნეების  
მეროვასა და  
ამერიკაში

ახალი დროის გარიფრაფზე, XIV-XV საუკუნეებიდან, ევროპულ სამყაროში მასობრივად იწყება ნადირობა კუდიანებზე ანუ ადამიანებზე, რომლებსაც ბოროტ სულებთან კავშირში ადანაშაულებდნენ. გავრცელებულია აზრი, თითქოს კუდიანობაში დადანაშაულებულთა სასამართლო პროცესებს, ძირითადად, ინკვიზიცია ანუ საეკლესიო სასამართლო მართავდა, მაგრამ სინამდვილეში კუდიანთა უმეტესი ნაწილის საქმეებს საერო სასამართლოები განიხილავდნენ. შუა საუკუნეების შედეგ ეს „პრეროგატივა“ სწორედ საერო სასამართლოებს ჰქონდათ.

კუდიანებისა თუ ჯადოქრების დევნა სწორედ ახალი დროის, ახალი ისტორიის დასაწყისიდან გაძლიერდა. მაინც რა იყო ამის მიზეზი? რატომ იფეთქა ამგვარმა ისტერიამ ერთბაშად და რატომ გასტანა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში? მიზეზი რამდენიმეა. პირველ რიგში ამ უზვეულო და საშინელ მოვლენათა სათავე, ალბათ, იმ ძძლავრ მითოსურ ნაკადში უნდა ვეძიოთ, რომელიც ევროპელ (და საერთოდ ქრისტიან) ხალხებში, განსაკუთრებით კი დაბალ სოციალურ ფენებში, განაგრძობდა არსებობას და ქრისტიანულ რელიგიას ერწყმოდა. XI-XII საუკუნეების ევროპაში ცოცხლობდა წარმოდგენები კუდიანებზე, ადა-

მიანისა და დემონის კავშირის შედეგად დაბადებულ ბუჟებზე, სხვადასხვა ნახევრად მითურ არსებებზე და სხვ. ხალხთა ფართო მასებში ეს მისტიკური განწყობა ახალ ეპოქაშიც შენარჩუნდა. ამ გავრცელებულ რწმენას პროტესტანტიზმი ძლიერ ბიძგს აძლევდა. საეკლესიო წარმართობის გაძლიერებასთან ერთად, თავად ქრისტიანული გამოცხადებისა და გარდამოცემის პროფანაცია და დამახინჯებაც ხდებოდა. თავისი როლი შეასრულა კათოლიკურმა კონტრეფორმაციამაც, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, კუდიანებზე ნადირობა არანაკლები გაქანებით მიმდინარეობდა პროტესტანტულ ქვეყნებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ხალხის სულიერი განწყობა, ვისი ან რისი რწმენისკენ ჰქონდათ მათ მიდრეკილება. რელიგიური ფანატიზმისთვის დამახასიათებელია სიძულვილი, შიშითა და ირაციონალურისადმი ძლიერი, არაჯანსაღი ლტოლვით გამოწვეული მასობრივი ფსიქოზი, რაც წარმმართველ როლს ასრულებდა ამ მოვლენებში. ახალი ფილოსოფიისა და რაციონალიზმის ჩასახვა-განვითარებასთან ერთად გრძელდებოდა ჯადოქრებისა და აესულეების კოცონზე დაწვა, რაც იმის ნიშანია, რომ შუა საუკუნეები უცბად არ დასრულებულა (თუმცა ამ შემთხვევაში იმის თქმა არ გვსურს, რომ შუა საუკუნეები ცალსახად ცუდი იყო, ხოლო ახალი დრო — კარგი).

ჩვენ გვზარავს ის სიცრუე და სისასტიკე, რაც თან ახლდა ამ პროცესებს. კუდიანობაში ბრალს დებდნენ ასობით და ათასობით ადამიანს, „თვითმიზილველნი“ დეტალურად აღწერდნენ კუდიანთა მსვლელობებს გრძნეულთა ორგანოებზე (ე.წ. შაბაშებზე), შავი მაგიის მოქმედებას, ბოროტ სულელებთან ურთიერთობას და სხვ. ადამიანთა გარდა ზარალდებოდნენ ცხოველებიც. გავრცელებული იყო თქმულებები მაქციებზე (ადამიანები, რომელთაც სხვადასხვა ცხოველად გარდასახვის უნარი გააჩნიათ). სხვათა შორის, მსგავსი რწმენა-წარმოდგენები არსებობდა საქართველოშიც. მაგალითად, სამეგრელოში სწამდათ კუდიანთა მთავრის, როკაპის არსებობისა, აგრეთვე მაქციების და ა.შ. ვეროპული და ქართული მითები და თქმულებები მრავალ დეტალში თანხვედბა ერთმანეთს, თუმცა ამჯერად აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში მსგავსი მოვლენების განხილვა ჩვენს თემას არ წარმოადგენს.

ედინბურგის უნივერსიტეტის არქივში დაცული მონაცემების მიხედვით, შოტლანდიაში 1563 წლიდან 1736 წლამდე კუდიანობაში დაადანაშაულებს 3837 კაცი. აქედან მხოლოდ 305-ის განაჩენია ცნობილი, მათგან 205 სიკვდილით დასაჯეს, 52 გაამართლეს, 27 გადაასახლეს, 11 ქვეყნიდან გააძევეს და ექვსი — ეკლესიიდან განკვეთეს, 98 კი გაიქცა. ბრალდებულთა 85% ქალია. ფინეთში 1520 წლიდან 1750 წლამდე ბრალი დასდეს 2 ათას კაცს. კუდიანებზე ნადირობამ მასობრივი ხასიათი მიიღო ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბასკეთში, კასტილიაში (ესპანეთში), კატალონიაში, ახალ მიწებზე. ასე მაგალითად, 1669 წელს ქვემო ნორმანდიის (საფრანგეთი) მცხოვრები ჟაკ დე ბულანჟე ამტკიცებდა, რომ



კუდიანები. ჰანს ბალდუნგი, მეტსახელად „გრიანი“, 1508 წ.

მინიატიურა 1451 წლის ხელნაწერიდან





ნახევარი საათის განმავლობაში საკუთარი თვალთ ხედავდა ჰაერში მფრინავ შიშველ ადამიანებს. იმავე ქვემო ნორმანდიის მცხოვრებ მიშელ მერეს თქმით, ორასი შიშველი ადამიანი ცეკვავდა და ამ გზით ბოროტ სულებს უკაჟმირდებოდა, ხოლო ისააკ მერეს მონათხრობის მიხედვით რამდენიმე, ასევე შიშველი ადამიანი ტყეში რიტუალურ მსხვერპლშეწირვას ასრულებდა. გლეხები ყვებოდნენ, რომ ამ ადამიანთა შორის მღვდლებიც იხილეს, რომლებიც მესას თავდაყირა ასრულებდნენ და სხვ.

ახლა მოგითხრობთ ჩვენი თემის ძირითად საკითხზე — ჩრდილოეთ ამერიკაში გამართულ საღვთისპირის პროცესზე. ბრიტანეთის კოლონიებში განსაკუთრებული რელიგიური ვითარება შეიქმნა. აქ გავრცელებული იყო უადრესად მკაცრი, ფანატიზმისკენ გადახრილი რელიგიური მიმდინარეობები, რომელთა შორის გამოირჩეოდა პურიტანიზმი. რასაკვირველია, ეს უზარმაზარ როლს თამაშობდა ახალი მიწების მოსახლეობის ცხოვრებაში. ჯადოქრებსა და ავსულებზე ნადირობამ აქაც მასობრივი და სასტიკი ხასიათი მიიღო. სასამართლო პროცესები იმართებოდა კონკეტი-

კუტში, მასაჩუსეტსში, ნიუ-იორკში, ვირჯინიაში.

საერთოდ, ტრადიციული ამერიკული ცხოვრება გამოირჩეოდა ღრმა რელიგიურობითა და პროტესტანტული ფანატიზმით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მასაჩუსეტსი. აქ ბიბლია არა მარტო სარწმუნოებრივ, არამედ სამართლებრივ ავტორიტეტსაც წარმოადგენდა. მოსეს კანონები რეალურ ცხოვრებაში აღესრულებოდა. სასულიერო პირებიც მოსახლეობაში პატივისცემით სარგებლობდნენ. წყაროებიდან ჩანს, რომ განმაურებული სასამართლო პროცესის სათავედ ბავშვური ცეკობა, ხოლო გაგრძელებად — არასრულწლოვანთა გაუგონარი სისასტიკე და სიცრუე იქცა მასაჩუსეტსის შტატის სოფელ საღვთისპირაში.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ პასტორის, მამა სამუელ პერისის ქალიშვილ ელიზაბეტს და მის ბიძაშვილს, აბიგაელს მოულოდნელად დაემართათ (თუ დაიმართეს) ისტერიკული შეტევები. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ამ ორმა გოგონამ შაკანიანი მონა ქალისგან, ტიტუბასგან ზღაპრები და თქმულებები მოისმინეს. ერთ-ერთი თვითმხილველის მოწმობით, აბი-

სამი კუდიანის დაწვა. იოჰან იაკობ ვიკი, 1585





სალემელი კუდიანების საქმე. სასამართლო პროცესი. 1692 წელი (XIX საუკუნის ლითოგრაფია)

გაილი მის თვალწინ ბუხრიდან მუგუზლებს ისროდა, ოთახში დარბოდა, შემდეგ ბუხარში შევიდა და საკვამურში შეძრომა მოინდომა. ასევე უჩვეულოდ იქცეოდა ელიზაბეტიც. მათმა წამხედვარე არასრულწლოვანმა გოგონებმა (რომელთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა) უმსგავსო საქციელის გაგრძელება მოისურვეს. ისინი ხელს უშლიდნენ ღვთისმსახურებას, უაზროდ ლაპარაკობდნენ, შეურაცხყოფდნენ წმინდა საეკლესიო ნივთებს. მათი ქმედება თვით პასტორისგან დაუსჯელი რჩებოდა. ორი წამომწყების გარდა (ელიზაბეტი და აბიგაილი), მთავარი მოქმედი პირი 12-დან 20 წლამდე ასაკის თორმეტი გოგონა იყო: ელიზაბეტ ჰაბარდი, მერი უოლკოტი, მერი უორენი, მერსი ლიუისი, სიუზენ შელდონი, ელიზაბეტ ბუტი, სარა ჩერჩილი, სარა ტრესკი, მარგარეტ რედინგტონი, ფიბი ჩანდლერი და მარტა სპრეიგი. შემდგომ მათ სხვებიც შეემატნენ. საბოლოოდ, არასრულწლოვანთა საქციელი ექიმებმა და მღვდლებმა კუდიანებსა და ბოროტ სულებს გადააბრალებს. თვით გოგონები კი აცხადებდნენ, რომ მათ მოჩვენებები დასდევდნენ და უთვალთვალებდნენ, განუწყვეტლავ აშინებდნენ და ემუქრებოდნენ. მალე სასამართლო პროცესი დაიწყო. პირველ

რიგში ბრალი დადეს შავკანიან მონა ქალს, ასევე სარა გუდსა და სარა ოსბორნს. სარა გუდი ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ გოგონებმა ყველაფერი საქციელით „დაადასტურეს“, — ტიტუბას დანახვისთანავე დაიმართეს ისტერიკა და კრუნჩხვები. ბრალი დასდეს აბიგელ ფოლკნერს (ბრალმძებელი მერი უოლკოტი), ჯონ პროკტორ-უფროსს (ბრალი დასდო ელიზაბეტ ბუტმა). ბუტმა თქვა, რომ ჯონი მას უთვალთვალებდა. სარა ნერსმა კუდიანობა დააბრალა რებეკა ბიბერს და გამოაცხადა, რომ ბიბერის მოჩვენება თურმე აწამებდა მას, მერი უოლკოტს, მერსი ლიუისსა და აბიგაილ უილიამსს. მაგრამ ეს ბრალდებები ეჭვქვეშ დააყენა სალემის მცხოვრებთა ჩვენებებმა, რომლებიც სარა ნერსს, როგორც „ბოროტ და ენაჭარტალა“ ქალს, ისე ახასიათებდნენ. ბრალდებები დიდხანს გრძელდებოდა.

სალემის პროცესის ყველაზე ცნობილი მსხვერპლი გახდა ყოფილი მღვდელი ჯორჯ ბეროუზი, რომელიც სალემში 1680-1682 წლებში მსახურობდა. მას კონფლიქტი ჰქონდა პანტამების ოჯახთან. ეს ოჯახი მღვდელს ათასგარჭორსა და ცილისწამებას უვრცელებდა. 1692 წელს ენ პანტამმა ბრალი დასდო ბეროუზს ჯადოქრობასა და ბოროტ სულებთან კავშირში.

მას სხვა გოგონებიც შეუერთდნენ. მერი ლიუ-ისი აცხადებდა, რომ ბეროუზი კაბინეტში „ემ-მაკის წიგნს“ ინახავდა. აბიგაელ პერისმა განაცხადა, რომ ბეროუზმა მას სახლში თოჯინა მოუტანა და მისთვის ნემსების შერჩობა უბრძანა (მაგიური რიტუალი). მღვდელი ჯორჯ ბეროუზი ბრალდებას სიცოცხლის ბოლომდე უარყოფდა. იგი სიკვდილით დასაჯეს.

სალემის სასამართლო პროცესის მსვლელობისას ბრალი დასდეს 150 ადამიანს. 31 გასამართლეს, მათგან 19 ჩამოახრჩვეს, ორი ციხეში მოკვდა, ერთი გაგუდეს, შვიდს დასჯა გადაუვადეს, ერთი გაიქცა, ერთი კი ციხეში გაუსამართლებლად ჰყვდათ დამწვევდელი და ბოლოს ვალების გამო მონად გაყიდეს...

იყო შემთხვევები, როცა ბრალმდებელთაგან ზოგმა აღიარა, რომ ცრუობდა, ზოგს კი ამის აღიარებისა ეშინოდა. თავისი დანაშაული წლების შემდეგ აღიარა ენ პანტამმა. „მე მსურს მუხლებზე დავემხო და უფალს და ყველა იმ ადამიანს შენდობა გამოვთხოვო, ვისაც ასე ვაწყენინე და ვინც ასე გაავაწარე და მათ, ვისი ნათესავებიც ბრალდებათა შედეგად დაზარალდნენ“, — ამბობდა ენ პანტამი 1711 წელს, სალემის პროცესიდან 19 წლის შემდეგ.

1692-1694 წლებში გამართულ სალემის პროცესს კოლონიებში ბევრი გამოეხმაურა და ბევრი მამხილებელიც გამოუჩნდა. მათ შორის გამოირჩეოდა თომას ბრეტლი ბოსტონიდან. მან მოსამართლეებს წერილი მისწერა, სადაც

პროცესის მსვლელობას დაწვრილებით მიმოიხილა და ამ პროცესის დანაშაულებრივ მხარეს ამხილებდა. „კუდიანების შეკრებები, ემმაკის ნათლობა და წმინდა საიდუმლოებების დაცინვა, რომლებზეც ასე ხშირად ლაპარაკობენ ბრალმდებელნი და მონაწილე კუდიანები, სხვა არაფერია, თუ არა მათი ემმაკისგან გარყვნილი და შებღალული წარმოსახვის ნაყოფი და არა რეალობა, რომელიც უნდა გვეჯეროდეს და უნდა გაითვალისწინოს თითოეულმა საღად მოაზროვნე ადამიანმა“, — წერდა თავის წერილში თომას ბრეტლი.

მოსამართლეებმა თავის მართლებას ცხადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. ხმა პროცესის შესახებ შორს გაერცვლა. რამდენიმე დღის შემდეგ დაპატიმრებულნი გაათავისუფლეს, ხოლო 1697 წელს მოსამართლეებმა საჯაროდ მოინანიეს თავიანთი ქმედებები. 1709 წელს აღნიშნულ პროცესში ბრალმდებლად მიჩნეულებმა და სიკვდილით დასჯილთა ნათესავებმა ფულადი კომპენსაცია მოითხოვეს. მათი თხოვნა დააკმაყოფილეს და პენსია დაუნიშნეს 600 გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

ეს მისტიკური ისტერია ევროპასა და ამერიკაში კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა. ხალხის ერთი ნაწილი ამ რწმენა-წარმოდგენებს XX საუკუნეშიც ინარჩუნებდა. როგორც ცნობილია, კუდიანთა ბოლო ოფიციალური სასამართლო პროცესი 1810 წელს რომში გაიმართა.

**ზოთა აატითაჰვილი**

სალემელი კუდიანების საქმე. დასჯის სცენა. 1692 წელი (XIX საუკუნის ლითოგრაფია)





# ქრისტიანული კვლავი ინგუშეთში

ინგუშეთისა და  
ქართვალთა  
სარწმუნოებრივი  
ურთიერთობები

რელიეფი ტყობა-ერდის ეკლესიის ფასადზე

კავკასია ყოველთვის წარმოადგენდა რთული პოლიტიკურ-კულტურული ძვრების ეპიცენტრს. ეროვნული, სარწმუნოებრივი და ენობრივი მრავალფეროვნება დღეს დიდ ინტერესსა და ყურადღებას იწვევს, მაგრამ ამჟამად სიჭრელე ისტორიულად არ დასტურდება რელიგიურ თემატიკაში (საეკლესიო მოძრაობა, რომლის მიზანია ყველა ქრისტიანული ეკლესიის გაერთიანება). იმის არგუმენტად, რომ შუა საუკუნეების პანკავკასიურ იმპერიაში კონფესიონალური თვითშეგნება საერთო იყო, ასახელებენ ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლების სიმრავლეს. თანამედროვე ჩრდილოეთ კავკასიის (განსაკუთრებით ინგუშეთის) ქრისტიანული ტოპონიმიკა და გაუქმებული სამლოცველოები მართლაც გვაფიქრებინებს ამაზე, თუ რატომ გაიყარნენ ბიბლიური თარგამოსის ძეგლი, „გმირთა ძლიერთა და სახელოვანთა“ შთამომავლები...

ვაინახები (ინგუშები და ჩეჩნები), ისტორიულ წყაროებში დურძუკ/ლილღვ/ქისტების სახელით ცნობილი, აღმოსავლურქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე უკვე მჭიდრო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ ქართველებთან. კულტურასთან ზიარებაც ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო. ლეონტი მროველიც ქართლის სახელმწიფოს პირველ ნაბიჯებს მათთან კავშირში აღწერს. დურძუკეთი წარმოადგენდა თავშესაფარს გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლი მეფე ფარნავაზისთვის. ქართლის პირველი დედოფალიც ვაინახი იყო. ცნობები ამ ურთიერთობათა შესახებ, ფარნავაზის დროიდან მოყოლებული, თანდათან მრავლდება. დურძუკები როგორც

გარეშე მტრების წინააღმდეგ, ასევე საქართველოში მიმდინარე ბრძოლებში ხშირად მონაწილეობენ. ისინი იბრძვიან საურმაგ მეფისთვის ტახტის დასაბრუნებლად, მითრიდატე VI-ის სამხედრო კოალიციაში რომაელ დამპყრობთა წინააღმდეგ, იბერთა მეფეების, აზორკისა და არმაზელის მოწვევით — სომხეთის მეფე არტაშანის წინააღმდეგ და ფარნავაზ II-ის მეფობის დროსაც. კარგად ჩანს, რომ ქართლის პოლიტიკურ მესვეურებს მთა ადრევე იმ ადგილად ეგულებოდათ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დამხმარე ძალას მიაწვდიდა ბარს. ამასთან, ეკონომიკური ფაქტორიც მნიშვნელოვნად აპირობებდა კავკასიის ბარისა და მთის ურთიერთობას და სა-



*შეიხ მანსურის სახელობის პირველი ხარისხის ორდენი (ჩეჩნეთის რესპუბლიკა ინჩერია)*

ბოლოო ჯამში, მთისა და ბარის ერთ ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ორგანიზმად ჩამოყალიბებას. IV საუკუნიდან ქართლის სამეფომ გააძლიერა კავკასიის ზეკარების კონტროლი და შესაბამისად, პოლიტიკური გავლენა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებზე მათზე ხარკის დაწესებით, ამას მთიელები შინაგანი სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების ხელყოფად მიიჩნევდნენ და განდგომითა და აჯანყებით პასუხობდნენ.

მთიანეთის საბოლოო შემოქმედებისთვის ყველაზე ძლიერი იარაღი მაინც რელიგია გამოდგა, მაგრამ ამ გზის გავლა მხოლოდ „სახარებითა და ჯუარითა პატიოსნით“ ვერ მოხერხდა და ჯერ მირიან მეფემ, შემდეგ კი, მისმა მემკვიდრე ბაქარმა წარმართა მახვილი, „ძღვეთ შემუსრნა კერპნი მათნი და მოაქციონა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნიც ვერ მოექცივნეს მამასა მისსა“. ქართლის მეფეთა მიერ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთისადმი მიზანდასახული პოლიტიკური კურსი ვახტანგ გორგასლის დროს საბოლოოდ განხორციელდა, მაგრამ შემდგომში, როცა კავკასიონის სანაპირო სასანიდების გაუთავებელი ბრძოლების ასპარეზად იქცა, ქართველებს კავკასიელ ტომთა დახმარება მოეხსო. კავშირი მხოლოდ გუარამ ერისმთავრის დროს განახლდა. საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანების საქმე დავით აღმაშენებელმა აღასრულა და შექმნა დარიალის ეპოქალური „გზა მშვიდობისა“. მონღოლთა და შემდეგ თემურ ლენგის შემოსევებმა ამ ურ-

თიერთობათა განვითარებას ყოველმხრივ შეუშალა ხელი. ერთიანი საქართველოს პოლიტიკურად დაშლის შემდეგ „ლიღვ-ღურძუკნი არიან ნაწილსა შინა კახეთისასა კავკასიის მთასა შინა მცხოვრებელნი“. ერეკლე II-სა და თეიმურაზ II-თან ერთად იბრძვიან ვაინახები 1750 წელს ყიზილბაშური სახანოების, ხოლო 1754 წელს — ნურსალბეგის წინააღმდეგ, 1769-74 წლებში — რუსეთ-თურქეთის ომში, 1778 წელს — ერევანზე ლაშქრობისას, 1785 წელს კი ომარხან ავარიელის შემოსევის დროს. ერეკლესთვის ვაინახი ხალხი იყო სამხედრო ლაშქრის შევსების მუდმივი წყარო და ბარიერი ქვეყნის განაპირა მხარეებში დაღესტნელ მეკობრეთა წინააღმდეგ. ქართული სამეფოების საბოლოო გაუქმებამ და რუსეთის ანექსიამ ორივე ხალხი დეზინტეგრაციის გზით წაიყვანა, მეტიც — დღემდე მშვიდობიანი და გაერთიანებული კავკასიის წადილით აცხოვრებს.

ადვილი მისახვედრია, რამდენად მნიშვნელოვანი და მრავლის მთქმელია ქართველებისა და ვაინახების კულტურულ-სარწმუნოებრივი ურთიერთობის მოწმე ძეგლები, — გამოკვეთილად საქართველოს კომკურ კულტურაში, სამლოცველო ტაძრების სახით კი მთელ ჩეჩნეთ-ინგუშეთში. სწორედ ქართულქრისტიანული ძეგლების არსებობა აფიქრებინებდა ამ რეგიონში XIX საუკუნის უკლებლო ყველა მოგზაურსა და მკვლევარს, რომ **ინგუშების** (თვითსახელწოდება — დალდა) ნაწილი ქრისტიანულ სარწმუნოებას გარეგნულად აღიარებდა. მაგრამ იქ უკვე ხელახალი რელიგიური მოქცევა მიმდინარეობდა. ჯერ **შეიხი მანსური, მოლა მუჰამედ-იარაგელი** (1794-1832), **ჰამზათ-ბეგი** (1789-1834) და შემდეგ **იმამი შამილი** (1799-1871 წწ.) ეცადნენ ისლამური რელიგიით აღბეჭდილი ერთობის შექმნას (მიურიდიზმით კონსოლიდირებული თეოკრატიული სახელმწიფო — იმამატი). ახალი რელიგია დასაწყისში სრულიად ეკლექტიკური იყო და სტიქიურად ჩამოყალიბებულ რწმენას წარმოადგენდა, მაგრამ ერის გადარჩენის სხვა მექანიზმი არ არსებობდა.

გადაშენების საფრთხე აშკარად იმუქრებოდა რუსეთის ჭრულაჭრულ პროექტებიდან: ეთნოწმენდა და გენოციდი, სამხედრო გამარჯვებებით დამორჩილებულ ტერიტორიებზე ლიბერალური სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა, ქმედითი ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენება, დამორჩილებულ მთიელებში რუსული „ფუფუნები-

თი ცხოვრების წესის დანერგვა სამოვრის მეშვეობით“, განათლებული კოლონიური ადმინისტრაცია, დაპყრობილ ტომთა ველიკორუსული ცხოვრების ბრძმედში წრთობა და სხვ. მოკლედ რომ ვთქვათ, ისლამის დამკვიდრებისთვის კავკასიაში საჭირო იყო: 1) ნიადაგის არსებობა, რის მთავარ აქტორსაც XV საუკუნიდან წარმოადგენდა თემურ ლენგი და 2) მასების შესაფერისი განწყობა, რაც თავისი ძალმომრეობით შექმნა რუსეთის პოლიტიკამ საკმარისზე მეტი დოზით... **დღეს ისლამი უკვე ჩრდილოეთ კავკასიელთა ეთნიკურობის მნიშვნელოვანი მარკერია და შესამჩნევია, რომ როგორც ისტორიულად, ახლაც რელიგია ისევ პოლიტიზებულია.**

ჩრდილოეთ კავკასიაში დღეს 3500 რელიგიური ორგანიზაცია მოქმედებს. მართლმადიდებლებსა და ბუდისტებს შორის ჭეშმარიტ მორწმუნეთა რაოდენობა მხოლოდ 10-15%-ია, მუსლიმური მრწამსის — 60%, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი კი ნაკლები რელიგიურობით გამოირჩევა. საინტერესოა, როგორ, რამდენად შეცვალა ისლამმა კავკასიის მთიელთა კულტურულ-პოლიტიკური ორბიტა? რა კვალი დატოვა ქრისტიანობის იმპულსებმა მათი და კონკრეტულად, ვაინახის ხალხის ისტორიაში?

ჩეჩნეთ-ინგუშეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება VII-VIII საუკუნეებში იწყება ქართველი მეფე-მთავრების მიერ. ქართველ მისიონერებს შეჰქონდათ სასულიერო წიგნები (იოანე ბაგრატიონის ცნობით, ძურძუკებმა და ღლიღვებმა კარგად იცოდნენ ქართული ენა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებმა — ქისტური), აშენებდნენ



იმამი შამილი

ეკლესიებს. პატრიარქ ექვთიმეს თავად შემოუვლია და შეუსწავლია ეს კუთხე. ქრისტიანობის კვალი კარგად იკითხება ეთნოგრაფიაში, წეს-ჩვეულებებსა და რელიგიურ დღესასწაულებში. დღეს ქართული ეტიმოლოგია 35 ძეგლს ემჩნევა. ბევრია საკულტო ნაგებობაც. აღსანიშნავია სვანური კოშკებისა და შიდა ქართლის დარბაზული ტიპის მსგავსი ნაგებობები. ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთელი ტერიტორია დაფარულია ქართული ქრისტიანული წარმომავლობის ტოპონიმებითა და გაუქმებული სამლოცველოებით, ერთ-ერთი ასე-



ტვობა-ერდის ეკლესია



*ალბი-ერდის ეკლესიის ნანგრევები*

თია „თუშოლი“ (თიშუოლ/თიშოლ/თიშლ, რომელიც ალექსი ჭინჭარაულის აზრით, გახლავთ ვაინახური ენების კანონზომიერებით გადასხვაფერებული ქართული **ღმრთის მშობელი**) და „ბარამ-ტაში“ („მარიაშის ქვა“). ინგუშეთში, მდინარე ასას ხეობაში გვხვდება ქრისტიანული ეკლესიები: **გალ-ერდი, ალბი-ერდი, მაგი-ერდი** და ყველაზე დიდი მათ შორის — **თხაბა-ერდი/ტყობა-ერდი**.

1781 წლიდან მოყოლებული, არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა **ტყობა-ერდის** ტაძრით. ის მდებარეობს თარგიშის ქვაბულის ცენტრალურ ნაწილში სოფელ ხაირახის მახლობლად, წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას და ქართული ძეგლების მსგავსად, ორიენტირებულია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ტაძარი IX საუკუნემდე არსებული ნაგებობის საძირკველზეა აგებული, მაგრამ როგორც ჩანს, რამდენჯერმე გადაკეთდა. მთავარი ეკლესიის ინტერიერსა და სამხრეთის ფასადზე ინგუშეთის ეროვნული ხუროთმოძღვრების ელემენტებია, გამორჩეული ორიგინალური დეკორითა და ჩუქურთმებით. როგორც ფასადის მხარეს, ისე ინტერიერში, შირიმის ქვის ბლოკებზე ამოკვეთილია ადამიანისა და ცხოველების რელიეფური გამოსახულებანი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, რაც ამ ნატაძრალს უკავშირდება, არის ძველქარ-

თულდამწერლობიანი სამშენებლო კერამიკა — ბრტყელი და დარისებრი კრამიტები. ამ წარწერებში მოხსენიებული „**არსენი მ**“-ის არსენ მამამთავრად ახსნის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ წარწერათა პალეოგრაფიული და ტაძრის არქეოლოგიურ-ხელოვნებათმცოდნეობითი მონაცემები X საუკუნის II ნახევრისა და X-XI საუკუნეების მიჯნისკენ მიუთითებს, არქეოლოგი და კავკასიოლოგი გივი ღამბაშიძე ასკვნის, რომ მისი აღმშენებლობა ქართლის კათალიკოს არსენ II-ის (955-980 წწ.) სახელს უკავშირდება. ტაძრის აღმშენების ვითარებაც გამხელილია დასავლეთის ფასადის რელიეფზე: ქრისტესგან მარცხნივ ექსპრესიულად გამოსახულ ფიგურას ცალ ხელში ჯვარი უჭირავს, მეორეში — მახვილი. ეს მართლაც საპროგრამო გამოსახულება საუკეთესოდ გადმოგვცემს ქართველ პოლიტიკურ მესვეურთა კრედიტს. ძალდატანება რწმენის დანერგვის ფენდაფენ მიაბიჯებს...

**ალბი-ერდის** ტაძარი ცენტრალურ, ბუდე-ინგუშეთში, ხამხის საზოგადოებაში მდებარეობს (მეორე ნაპირთან მიტოვებულ სოფელ თარგიშშიც არის ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევი). ბაშირ დალგათი ძეგლის სახელს მის მშენებელს უკავშირებს. მიმდებარე სოფლებიდან ის განცალკევებით დგას, ფერდობის შუა

წელზე, ნახევარი კილომეტრის დაშორებით უახლოესი ნასოფლარიდან. ტაძარი დღეს დაზიანებული კედლების სახითაა მოღწეული. მისი ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს წაგრძელებულ, დარბაზული ტიპის ნაგებობას. ეკლესიის ქვეშ დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლის საძვალეა. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური დარბაზის სამხრეთ კედელზე ორი პილასტრის ნაშთია, რომელთა თაღში გადმოსაყვანადაც ქართული გამოშვარი აგურია გამოყენებული. ალბი-ერდი ერთადერთი ტაძარია აქ, რომელშიც შემორჩენილია მხატვრობა-შეღებვის მკრთალი კვალი, გაიჩევა რამდენიმე შარავანდის მოხაზულობა, ფიგურათა დეტალები, შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ლურჯ-მოყავისფრო შეფერილობა. ეს ყველაფერი გამოცდილი მხატვრის ხელზე მიაჩნდება.

სინკრეტული (რელიგიის ფორმა, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა რელიგიათა ელემენტები) რწმენის საფუძველზე შექმნილი ტიპური ნაგებობებია **გალ-ერდი** და **დელიტეს (დოლტეს)** საკულტო შენობა.

ჩეი-ლამის ქედის ძირში, მდინარე ასასა და დარიალის მაკავშირებელი ისტორიული გზის მახლობლად, სოფელ ყართში მდებარეობს **დელიტეს/დოლტეს** საკულტო ნაგებობა (უზენაესი ღვთაების დელის/დეალის სახელიდან, -ტე ნიშნავს მწვერვალს). ის კავკასიის ეტალონური ტაძრებისგან განსხვავებულია, კლასი-

კური ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისთვის შეუსაბამო, ნაკლებსიმეტრიული, ფიქლისსაფეხურიანი ორფერდა სახურავით, თაღოვანი შესასვლელით სამხრეთიდან. შიდა სივრცეში ორი შეკიდული თაღია და სამსვეტიანი საკურთხეველი (ნიში), რომლის სიღრმეში, ისევე როგორც გარე ფასადების წყობაში, გამოყვანილია დიდი ზომის გოლგოთიანი ჯვრები (მდინარე ასას ზემო წელზე რამდენიმე ციხესიმაგრის კოშკებზეც გვხვდება ეს ნიშნები. საყურადღებოა, რომ XVIII საუკუნეში ასეთი კოშკების მშენებლობა წყდება!). რკინის ჯვრები ნაგებობის სახურავზეც (ორქანობიანი, საფეხურისებური) ყოფილა აღმართული XIX საუკუნეშიც კი. ზოგი ამ ტაძარს პირველყოფილ-წარმართული კერპმსახურების კერად მიიჩნევს, ზოგი XIII-XIV საუკუნეების წმინდა ინგუშურ წარმართულ ნაგებობად, ზოგი კი გვიანი შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამლოცველოდ და ქართულ ანალოგიასაც (დოლისყანის ძველი ტაძარი ჭოროხის ხეობაში) უძებნის. ეს ძეგლი, როგორც ჩანს, ძალიან გამარტივებული საკულტო ნაგებობა იყო ქრისტიანული ტაძრის ფუნქციით, რაც ლოგიკურია რუსი ელჩების აღწერებიდან გამომდინარე. ნორმების რღვევა კი არაკვალიფიციურმა ხელოსნებმა, ან წინამორბედ წარმართულ სამლოცველოსთან განზრახ მიმსგავსებამ გამოიწვიეს.

**გალ-ერდი** მდებარეობს სოფელ ეგენტის

*ქვის ჯვარი ტეობა-ერდის ეკლესიიდან*





მეზობლად წყალგამყოფ ქედზე. ძეგლი იმდენად დაზიანებულია, პირვანდელ ფორმაზე დაბეჯითებით საუბარი შეუძლებელია. მას მხოლოდ ვსევოლოდ მილერის ჩანაწერებით აღადგენენ სქემატურად. ნაგებობის ზედა ნაწილი ჩამოქცეულია, გალაგნის კედლიდანაც მხოლოდ საძირკვლის ფრაგმენტებია დარჩენილი. ამ ძეგლის შესახებ პირველი ცნობა მოცემულია ინგუშებსა და რუსებს შორის 1810 წელს დადებულ ხელშეკრულებაში, რასაც სწორედ გალ-ერდიზე ფიცით განამტკიცებდნენ ინგუშები. მკვლევარ ანდრეი შვერენის 1846 წლის ჩანაწერები ადასტურებს, რომ ინგუშები დიდ პატივს სცემდნენ ამ ტაძარს, ახალ წელს აქ ხდებოდა ქადაგად დაჰარდნა, ანთებდნენ სანთლებს(!) და სწირავდნენ მსხვერპლს. კედლების პარალელიზმის დარღვევა, თუ მარტივად გადაწვევტილი სახურავი (ერთქანობიანი) და სხვ. თვალსაჩინოს ხდის, რომ ადგილობრივ ხალხურ სამშენებლო ხელოვნებას შეერწყა ქართული არქიტექტურა, რომ უფრო გასაგები და მისაღები ყოფილიყო მთიელთათვის.

*მაგო-ერდის ეკლესია*



საქართველოს გავლენით შექმნილ ქრისტიანულ ძეგლებად მიიჩნევენ ასევე, **მიატარ-დელასა** და **მაგო-ერდას**.

ამ ძეგლების შემორჩენილი კონსტრუქციების, არქიტექტურული პროფილების სიმკვეთრე, ხეობათა და მთის გზების გადაკვეთაზე მშენებრივად მოძებნილი განლაგება, ქართული მასალების გამოყენება მშენებლობაში და განზომილება უთუოდ მიუთითებს მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ეჭვშეუტანელია კავკასიის მთიან ნაწილში ქრისტიანობის შეღწევა და მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ქართულ-ინგუშური მჭიდრო ურთიერთობების არსებობა. ეს ეთნიკური ერთობა ვითარდებოდა პანკავკასიური იმპერიის ფარგლებში და სწორედ ეს ძეგლებია ამ იმპერიის მასშტაბით ქართული კულტურის ექსპანსიის დასტური. ზოგი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ამ ძეგლების შექმნის პერიოდში კავკასიონის მთიელთა კონფესიონალური თვითშეგნება მნიშვნელოვნად ქრისტიანულიც კი იყო და რომ ვაინახთა ნაწილმა გვიანობამდე შეინარჩუნა ქრისტიანული ეკლესიისადმი თავისი კუთვნილების შეგნება. ჩეჩენი ტოპონიმისტი აჰმად სულეიმანოვი წერს: „ხილდქაში (წყალსიქითი) 1944 წლამდე(!) იყო სოფელი **ქერისტიე**, სადაც ყველაზე გვიან მიიღეს მუსლიმანობა. ამ სოფლის შესახებ ამბობდნენ, ქრისტიანობის ცენტრი იყო. ინგუშები რომ უკვე ტრადიციად ქცეულ რწმენით ჩვეულებებსა და სიმბოლოებს პატივისცემით ერთგულობდნენ, ამის კარგი მაგალითია მათ ოჯახებში აღმოჩენილი, პერგამენტზე ქართული ენით დაწერილი სასულიერო ტექსტები, რომელსაც თაობიდან თაობას გადასცემდნენ და ინახავდნენ წმინდა განძით. ერთ ფაქტს მოვიყვანთ მაგალითად. X საუკუნის გიორგი მთაწმინდელისეული ქართული ფსალმუნის ფურცლებს მიაკვლიეს ნაზრანში, 80 წლის აბდულვაჰაბ ელჯარკიევთან, ვისაც XX საუკუნის დასაწყისში მაგო-ერდის საგვარეულო სამლოცველოში აღმოუჩენია ეს განძი და, მაჰმადიან კაცს, უბით უტარებია 13 წლის განმავლობაში შუა აზიის ტრამალებში გადასახლების დროს“.

ეს ემოციური ფაქტი ნათლად აჩვენებს, რომ ბედის უკუღმართობით გამოწვეული კონფესიური სხვაობა არ შეიძლება ინგუშებისა და ქართველების ურთიერთობაში დამაბრკოლებელი იყოს...

# ჯაზი თავისუფლების მუსიკა ამერიკიდან



ახალი ორლეანი, 1910 წ.

ჯაზი განსაკუთრებული მოვლენაა მუსიკალურ სამყაროში, რომელმაც შეცვალა წარმოდგენა არა მარტო მუსიკაზე, არამედ ადამიანთა ურთიერთობებზეც კი. მიუხედავად იმისა, რომ ჯაზი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე წარმოიშვა, მისი ჭეშმარიტი ძალა და უდიდესი გავლენა ამერიკულ და ევროპულ საზოგადოებაზე სწორედ გასული საუკუნის 20-იან წლებში გამოიკვეთა. ამ წლებში ჯაზმა არა მხოლოდ ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიო დაიპყრო და ამ დროის კულტურული ცხოვრების ისეთივე უმნიშვნელოვანესი ფენომენი გახდა, როგორც ამერიკული ლიტერატურა. სწორედ ჯაზის წყალობით დაიძვინდრა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამორჩეული ადგილი მსოფლიოს მუსიკალურ კულტურაში.

რა არის ჯაზი, რომელმაც ჯერ ამერიკა გადაარია და მერე — მთელი მსოფლიო? როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ჯაზის მთავარი თვისება იმპროვიზაციული საწყისის უპირატესობაა, რაც გულსნაღობს, რომ ჯაზური ნაწარმოები შესრულებისას იქმნება და იმავე სახით აღარასოდეს გამეორდება. ჯაზში უშუალოდ შემსრულებელი ქმნის მუსიკას, ან ის კომპოზიციის შემქმნელის უშუალო თანაავტორია.

ბევრის აზრით, ჯაზის საფუძვლები ამერიკაში გავრცელებულ საეკლესიო ჰიმნებში, სპი-

რიჩუელში უნდა ვეძიოთ, რომელთაც ზანგმა შემსრულებლებმა ახალი ჟღერადობა და რიტმიკა შესძინეს. გარდა ამისა, მას აგრეთვე ზანგთა ლირიკული ხასიათის სოლო სიმღერებმა, ე.წ. ბლუზებმაც მისცა მნიშვნელოვანი ბიძგი.

დიდი როლი ითამაშა შავად შეღებილი თეთრკანიანი მუსიკოსების მიერ შესრულებულმა ე.წ. მინსტრელშოუმაც, სადაც თეთრკანიანი მუსიკოსები და კომპოზიტორები ზანგური მუსიკის საფუძველზე საკუთარ მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ.



სკოტ ჯოპლინი



ბადი ბოლდენი



„ნამდვილი დიქსილენდის ჯაზბენდი“

XIX საუკუნის დასასრულს წარმოქმნილი საფორტეპიანო შესრულების ახლებური სტილი — რეგტაიმიც თავის წილს დებს ჯაზის წარმოქმნასა და განვითარებაში. ამერიკის დიდ ქალაქებს რეგტაიმის მღელვარე ტალღამ გადაუარა და ამაში ლომის წილი შვეკანიან მუსიკოსს, სკოტ ჯოპლინს მიუძღოდა. ჯოპლინმა ზანგურ ფოლკლორს ამერიკული მუსიკის სხვა ელემენტები დაუმატა და მისი პირველი სენტიმენტალური სიმღერები შმაგმა რეგტაიმმა შეცვალა. ჯოპლინის კომპოზიციები შემთხვევით მოისმინა ნოტებით მოვაჭრემ და პირველი ფირფიტაც სწორედ მან გამოუცა.

**მუსიკა თავისუფალი ძალაქიდან**

ჯაზის სამშობლოდ ახალი ორლეანი ითვლება. ისტორიაში პირველ ჯაზმენად მიიჩნევენ ამ ქალაქში მცხოვრებ მესაყვიერს — ბადი ბოლდენს. პირველი ჯაზორკესტრიც სწორედ მან შექმნა 1895 წელს. ახალი ორლეანის ჯაზის სამშობლოდ ჩამოყალიბება იმანაც განაპირობა, რომ ის აშშ-ის ერთადერთი დიდი ქალაქი იყო, რომლის ფრანგულ კულტურაზე დაფუძნებული მაღალი საზოგადოება არ იყო შეზღუდული ბრიტანელთა პურიტანული იდეებით გართობის, ცოდვის, მორალისა და მუსიკის საკითხებში. ორკესტრები, ცეკვები და დროს ტარება თავიდანვე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ლუიზიანა სამხრეთის მონათმფლობელური შტატი გახლდათ, ზანგები იქ უკეთეს პირობებში იყვნენ და სხვადასხვა სპეციალობასაც ითვისებდნენ, საცხოვრებელი უბნებიც ნაკლებად სეგრეგირებული იყო და შვეკანიანი პატარები თეთრკანიანებთან ერთადაც კი სწავლობდნენ, მით უმეტეს, რომ მრავალ მათგანს თეთრი მამა და ზანგი ან მულატი დედა ჰყავდა და კრეოლები იყვნენ.

ახალი ორლეანი სამხრეთის დიდი პორტი იყო, სადაც ყველა ჯურის მუზღვარე ირეოდა. მათ უდიდესი გავლენა მოახდინეს ქალაქის კოსმოპოლიტურ სულისკვეთებაზე. ვინაიდან ახალი ორლეანის ცხოვრება ნაკლებად იყო შეზღუდული რასობრივი და ეროვნული დოგმებით, მისი კულტურა და ხელოვნება ბევრს იღებდა ჩამოსულთაგან, რომელნიც, სხვათა შორის, არა მარტო მუსიკით, არამედ თავიანთი ინსტრუმენტებითაც ჩამოდიოდნენ. როდესაც ესპანეთ-ამერიკის ომის შემდეგ, 1898 წელს ამერიკული არმიის ქვედანაყოფები თავიანთი მუსიკალური ორკესტრებითურთ ახალი

ორლეანის გავლით შინ ბრუნდებოდნენ, მრავალი ორკესტრანტი იაფად ჰყიდდა მუსიკალურ საკრავს, რომელთაც ზანგი ბავშვებიც კი ყიდულობდნენ. სხვა ამერიკული ქალაქების ზანგი ბავშვებისთვის ეს სრულიად მიუწვდომელი იყო. მერე კი ნიჭი, გენი და ქალაქის სულისკვეთება თავისას აკეთებდა.

ახალ ორლეანში მუსიკის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს უხვად არსებულმა საროსკიპოებმაც, სადაც მუსიკა გამთენიამდე არ წყდებოდა. სტორიეილის უბნის საროსკიპოებში, დილის ოთხ-ხუთ საათზე, როცა ეს დაწესებულებები იკეტებოდა, მუსიკოსები თავიანთ გასართობად იკრიბებოდნენ და უკრავდნენ. ვინ იცის, იქნებ სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი „ჯემ სეიმენებს“. იმასაც ამტკიცებენ, რომ თვით სიტყვა ჯაზი სლენგზე სექსუალურ აქტს ნიშნავდა და მხოლოდ მოგვიანებით მოიპოვა რესპექტაბელური მნიშვნელობა. სწორედ ამ უბანში დაიბადა ლუის არმსტრონგი, ადგილობრივი მუშისა და მეძავის უკანონო შვილი. მას უდიდესი ნიჭი აღმოაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ ნოტები მისთვის არავის უსწავლებია, 16 წლის ასაკში უკვე პროფესიონალი მუსიკოსი იყო და თავად ქმნიდა სხვადასხვა მუსიკალურ ჯგუფს.

1917 წელს I მსოფლიო ომთან დაკავშირებულმა მოვლენებმა სტორიეილის უბნის საროსკიპოების დახურვა გამოიწვია და უმუშევრად არა მარტო ბევრი მეძავი, არამედ მუსიკოსიც დარჩა. ბევრმა მათგანმა და მათ შორის, ლუის არმსტრონგმაც ჩიკაგოს მიაშურა. ახალი ორლეანიდან ჯაზი თანდათანობით მდინარე მისისიპის აუწყა და ამერიკის ჩრდილოეთ შტატებშიც მოიპოვა პროულარობა, განსაკუთრებით კი ჩიკაგოში. პირველი მნიშვნელოვანი შავი ჯაზის ანსამბლი 1918 წელს ჩიკაგოში ახალი ორლეანიდან ჩასულმა კინგ ოლივერმა შექმნა, რომელიც ჩიკაგოს სამეფო ბალის კაფეში უკრავდა და სახელიც გაუთქვა ამ ადგილს. მისსავე ანსამბლში უკრავდა ახალგაზრდა ლუი არმსტრონგიც. არაჩვეულებრივი პროულარობით სარგებლობდა „ნამდვილი დიქსილენდის ჯაზბენდი“, რომელმაც 20-იანების დასაწყისისთვის ევროპაც მოხიბლა თავისი ხელოვნებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჯაზის წინამორბედი სპირიტუალზი და ბლუზი სამხრეთის აგრარულ რაიონებსა და პატარა ქალაქებში ჩაისახა, თანამედროვე გაგებით ჯაზი, როგორც ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ჯეი როჯერსი წერდა, მაინც ამერიკის დიდი ქალაქების პირ-



ლუი არმსტრონგი



ჯაზ-კლუბებში ამერიკელები თავდავიწყებით ცეკვავდნენ

მშოდ უნდა მივიჩნიოთ. ჯაზმა გააერთიანა ამ ქალაქებისთვის დამახასიათებელი ხმაური, ჰანგები, მექანიზებული ცივილიზაციის სულისკვეთება. თეთრებმაც მალე აიტაცეს ახალი მუსიკალური სტილი. ჩიკაგოში სახელი გაითქვა ლეონ ბისმარკ ბაიდერუეის ანსამბლმა, სახელწოდებით „ვულვერინზი“. როგორც ბოსტონის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი სერგეი კუსევიცი წერდა: „ჯაზი თანამედროვე მუსიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, მას ეპოქალური მნიშვნელობა აქვს. იგი არ არის ზედაპირული, ფუნდამენტურია. ჯაზი სულიდან მოდის, საიდანაც ყველა სახის მუსიკა იწყება“. იმავე სტატიაში ავტორი კიდევ უფრო ცნობილი მუსიკოსისა და დირიჟორის, ლეოპოლდ სტოკოვსკის სიტყვებს იშველიებდა: „ჯაზი მოვიდა, რათა დარჩეს. იმიტომ, რომ იგი ჩვენი დროის გამოხატულებაა. აქომინებული, ენერგიული, სუპერაქტიური დროისა, რომელშიც ჩვენ



სახელგანთქმული ჯაზკლუბი „კოტონ კლუბი“ პარლემში

ვცხოვრობთ. მის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგოა. მისი ახალი ძღვევამოსილება, ახალი სიცოცხლისუნარიანობა თავად გამოავლენს საკუთარ თავს. ამერიკის წვლილი წარსულის მუსიკაში ისეთივეა, როგორც უბრალო ადამიანის სისხლი მომაკვდავი არისტოკრატიისთვის. მუსიკა შემდეგ უბრალოდება, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით და უფრო და უფრო შედის ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამერიკის ზანგი მუსიკოსები უდიდეს როლს თამაშობენ ამ პროცესში, მათ გახსნილი გონება და შეუბოჭავი ხედავ აქვთ. ისინი არ არიან შებოჭილი წესებითა და ტრადიციებით. ამავე დროს, თავიანთი ახალ-ახალი იდეებით, სახელდახლო ექსპერიმენტებით ახალ სისხლს ამოძრავებენ მუსიკის ვენებში. ჯაზის დამკვერელები მუსიკალურ ინსტრუმენტებს სრულიად ახალ რამეს აკეთებინებენ, იმას, რის მოშორებასაც ასწავლიდნენ ჩამოყალიბებულ მუსიკოსებს. ისინი გზამკვლეები არიან ახალ რეალობაში“.

ერთ-ერთი ცნობილი ჯაზმენი პოლ უაიტმენი ამბობდა: „ეს იყო დიადი ამერიკული ხმაური — ჯაზი“, ხოლო ფირფიტების ცნობილი კომპანია „ვიქტორის“ წარმომადგენელი, რომელმაც მოულოდნელად მილიონობით ჯაზის ფირფიტა გაყიდა, ჯაზს „ორგანიზებულ დეზორგანიზაციას“ უწოდებდა.

### ხიდი რასებს შორის

იყვნენ სექტეტიკოსებიც. მაგალითად, დიდი გამოგონებელი თომას ედისონი ამბობდა, რომ ჯაზის ფირფიტებს უკანა სვლით ატრიალებდა, ასე უკეთესი ხმა გამოდისო. მორალისტები უფრო შორს მიდიოდნენ და როგორც ნიუ-იორკის გაზეთი „ამერიკენი“ წერდა, ჯაზორკესტრების პათოლოგიური, ნერვების მოშლელი, სექსუალურად აღმგზნები მუსიკა მორალურად ხრწნის ასობით ამერიკელ ქალიშვილს. ციფრების მოყვარული ამერიკელები ამას სტატისტიკითაც ასაბუთებდნენ, მაგალითად, „ილინოისის სიფხიზლის ასოციაციის“ მონაცემებით, 1923 წელს ჩიკაგოში ათასობით ქალიშვილის მორალური დაცემა სწორედ ჯაზის მუსიკის მავნე გავლენას უკავშირდებოდა.

ჯაზის გავრცელებასა და პოპულარობას ერთი სრულიად ახალი ფენომენი მოჰყვა რასისტულ ამერიკაში. ახალგაზრდა თეთრი ამერიკელები არა მარტო მოწონებას გამოხატავდნენ შავკანიანთა მუსიკისადმი, არამედ თავიანთს სცემდნენ ამ მუსიკის შავკანიან შემსრულებლებსაც, ასეთი რამ კი ამერიკაში მანამდე არ ყოფილა. ლუი არმსტრონგი იგონებდა, რომ „ოციანების დასაწყისში ჩიკაგოში მუსიკოსებს პატოვს სცემდნენ, როგორც ღმერ-

თებს“. სხვასთან ერთად, ეს ანაზღაურებაშიც გამოიხატებოდა. ახალ ორლენში არმსტრონგი სადამოში 1,5 დოლარს შოულობდა, ჩიკაგოში კი უკვე 52 დოლარს იღებდა კვირაში და ამდენივეს საჩუქრად კლიენტებისგან. მომღერალ ქალ ბესი სმითს კი ბლუზის იმპერატორს უწოდებდნენ. სხვადასხვა რასის ამერიკელთა ინტეგრაცია იმაშიც გამოიხატა, რომ თეთრი ამერიკელების ანსამბლებიც უკრავდნენ შავკანიანი აუდიტორიისთვის, მაგალითად, იმავე ლინკოლნის თეატრში.

ალბათ ბედის ირინია იყო, რომ იმ წლებში ზანგური კულტურის მრავალი წარმომადგენელი ჯაზს ზიზღით უყურებდა. როგორც საქსოფონისტი გარვინ ბუშელი იხსენებდა, „საშუალო ფენის შავკანიანთა ოჯახში არავინ დაგაკრევივინებდათ ბლუზს ან ბუგი-ვუგის“. ეს მაშინ, როცა მდიდარი თეთრკანიანები ღამობით, ზანგთა უბანში, ჰარლემში მიდიოდნენ ამ ზანგური მუსიკის მოსასმენად. ჰარლემში ასეთი რესტორნების კლიენტები მხოლოდ თეთრები იყვნენ, სცენაზე კი მხოლოდ ზანგები გამოდიოდნენ. გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი ამერიკული კინოფილმი „კოტონ კლაბი“. გარდატეხა ამ მხრივ 1921 წელს შემოიტანა რევიუმ „ფლატუნით გასეირნება“, რომელმაც უდიდესი პოპულარობა მოუტანა 63-ე ქუჩაზე არსებულ მიუზიკპოლს. შავკანიანთა ცეკვებმა, ჯაზმა და პოპულარულმა მუსიკამ საბოლოოდ შექმნა ისეთი ცნობილი ცეკვები, როგორცაა „ჩარლსტონი“, „შიმი“. ეს ცეკვები ჰარლემში, საუოის საცეკვაო დარბაზში ასობით თეთრკანიანს იზიდავდა.

ამ წლებში ახალგაზრდა დიუკ ელინგტონი და მისი მეგობრები ნელ-ნელა იპყრობდნენ ჰარლემს. სწორედ ამ წლებში შეიქმნა ელინგტონის პოპულარული კომპოზიციები „კრეოლის სიყვარულის ძახილი“, „ინდიგოს განწყობილება“, „მარტოობა“, „კოცნის პრელუდია“ და სხვები, რომლებიც სამუდამოდ დარჩა ელინგტონის ანსამბლის რეპერტუარში. ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი იმას, რასაც შემდგომში „ელინგტონის ელერადობას“ დარქმევენ. მალე სწორედ ელინგტონის ანსამბლს დასდეს პატივი გაეხსნა ახალი სეზონი „კოტონ კლაბში“.

### დიდ სცენაზე

1920-1930-იან წლებში პოპულარული შემსრულებლები იყვნენ ახალი ორლენიდან: კინგ ოლივერი და ტომი ლანდინი, რომლე-

ბიც საყვირზე უკრავდნენ; კლარნეტისტები ჯონი დოდსი და სიდნი ბეშე. ექსტრაგავანტულობითა და სკანდალებით გამოირჩეოდა დიდებული პიანისტი მეტსახალად „ტკბილი ფუნთუშა“ მორტონი, რომელიც საკმაოდ უსაფუძვლოდ ჯაზის დამაარსებლობასაც იბრავდა. ამავე პერიოდის საუკეთესო საქსოფონტენორი იყო კოულმენ ჰოუკინსი. ერთხელ სიდნი ბეშეს გადასცეს მისურის შტატის მკვიდრ ჰოუკინსის ნათქვამი, რომ ახალი ორლენელები დიდი ვერაფერი მუსიკოსები არიანო. ამაზე გამძვინვარებული ბეშე „ბენდ ბოკს კლუბში“ მიუვარდა ჰოუკინსს და ორი ბრწყინვალე მუსიკოსი მთელი ღამე ეჯიბრებოდა ერთმანეთს. საბოლოოდ დილის 6 საათზე ჰოუკინსი დაიღალა, აიღო თავისი ინსტრუმენტი და შინ წავიდა, ბეშე კი ქუჩაში გამოჰყვა და მუსიკით მიაცვლებდა დამარცხებულ მეტოქეს.

ძალიან ცნობილი იყო ფლეტჩერ ჰენდერსონის ორკესტრი, რომელშიც ერთხანს კოულმენ ჰოუკინსი და ლუი არმსტრონგიც უკ-



დიუკ ელინგტონი



კოულმენ ჰოუკინსი



„ტკბილი ფუნთომა“ მორტიონი



30-იანი წლების ნიუიორკელი ჯაზმენები

რავდნენ. ერთხელ, როცა არმსტრონგი ქუჩაში მისეირნობდა, თვითონვე მოისმინა, რომ ქუჩის მუსიკოსები მის ნაწარმოებს უკრავდნენ და საკმოდ კარგადაც. ლუიმ ზრდილობიანად დაუკრა ტაში, მაგრამ მუსიკოსს, რომელიც ამ ორკესტრში არმსტრონგის როლს ასრულებდა, ურჩია, ცოტა ნელა დაეკრა. შენ საიდან იცი, როგორ დაეუკრაო? ჰკითხა მუსიკოსმა. მე ლუი არმსტრონგი ვარ და ეს მუსიკა ჩემი შექმნილიაო, უპასუხა არმსტრონგმა. როდესაც მეორე დღეს იმავე ქუჩაზე გაიარა, დაინახა, რომ ამ ანსამბლს გვერდით დაფა მიეყუდებინა წარწერით „ლუი არმსტრონგის მოწაფეები“.

დიდი ჯაზორკესტრების, ე.წ. ბიგბენდების ჩამოყალიბებაც 20-იან წლებში დაიწყო. მათ შორის დიუკ ელინგტონის ადრეული ანსამბლი, ჯიმი ლანსფორდის, ერლ ჰაინსის, ფლეტჩერ ჰენდერსონის ანსამბლები. ბენი გუდმანიც ამ დროს გამოჩნდა მუსიკალურ სამყაროში, თუმცა პოპულარობა ოცდაათიან წლებში მოიპოვა.

1927 წელს ამერიკაში 100 მილიონზე მეტი ფირფიტა გაიყიდა. მართალია, ეს არ იყო მხოლოდ ჯაზი, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი წილიც საგრძნობი იყო.

ამერიკული ჯაზი და კლასიკური მუსიკა ალბათ ყველაზე კარგად ჯორჯ გერშვინმა გააერთიანა. გერშვინმა განაახლა ამერიკული მუსიკის ინტონაციური სფერო, განავითარა მასში აფროამერიკული ფოლკლორის (სპირიტუელსი, ბლუზი, რეგტაიმი) ნიშნები, შეაჯერა სიმფონიზმი და ჯაზის სტილი. გერშვინმა ბეშვობა ნიუ-იორკში გაატარა, სადაც მრავალი ხალხის მუსიკას ეზიარა. ხშირად დადიოდა ზანგების უბნებში, მეგობრობდა მათთან და თითქმის ბუნებრივად შეისისხლხორცა მათი მუსიკა. მან მიიღო ზერელე, ძირითადად ევროპული მუსიკალური განათლება. 15-17 წლიდან უკვე სიმღერებს წერდა. მუსიკალური განათლების დაბალი დონე კი ხელს უშლიდა მისი ნიჭის განვითარებას, თუმცა პროფესიონალი მეგობრები დაეხმარნენ და ორკესტრირების პრობლემები გადაუწყვიტეს, შედეგად 1924 წელს დაიბადა არაჩვეულებრივი *Rhapsody in Blue*. შემდეგ კი, უკვე სიკვდილის წინ, დაწერა უკვდავი ოპერა „პორგი და ბესი“, რომელზეც მუშაობა ჯერ კიდევ 1929 წელს დაიწყო, პრემიერა ბოსტონში 1935 წელს გაიმართა...

# შექმენი შენი ახსნადი „ახსნადთან“ ერთად



## 11-დან - 25 პაისაზდე

ოხ ჰვიჩაში ერთხან, შეიძინათ ფიხნადთან ერთად  
საბაძოლო ბაქნიჩის თითო ანაწყობი მოდელი

ანწყვე და შეაგროვე საბრძოლო ტექნიკის  
მოდელების კოლექცია საკუთარი ხელით  
მაკრატლისა და ნებოს გარეშე

### Su-35

გამანადგურებელი



თითოეული 3D მოდელი  
ფასი: 3,5 ლარი  
შარხალთან ერთად 5 ლარი



# „ბრძენთა თამაში“

საფილიფილი  
ვალად  
კანოზრიზას  
ინდოილი  
ბრაჰმანისზან



სტატიისტიკისგან განსხვავებით, რომელმაც, როგორც ამბობენ, „ყველაფერი იცის“, ისტორიამ საკმაოდ ბევრი იცის, მაგრამ არა ყველაფერი! ჭადრაკის წარმოშობაც სწორედ ამის დადასტურებაა. ყოველ შემთხვევაში, ვინ და როდის გამოიგონა ეს გენიალური თამაში, დაბეჯითებით ძნელი სათქმელია.

მკვლევართათვის სანდო წყაროებად ვერც ახალი წელთაღრიცხვის პირველი ასწლეულების ეპოსი და ლიტერატურა და ვერც შუა საუკუნეებში გავრცელებული ლეგენდები გამოდგება, თუმცა „ბრძენთა თამაშზე“ კაცობრიობის პირველი ცნობების მოყვანა შეიძლება.

## მეფური კლენი და სორბლის მარცვლეუნი

ლეგენდა გვიამბობს: ინდოეთში რაჯა სხე-რაჰმა, რომელიც მთლად კარგი მმართველი ვერ უნდა ყოფილიყო, თავისი უგუნური გა-

დაწყვეტილებებით სამფლობელო დიდ განსაცდელში ჩააგდო. ერთ დღესაც ბრძენმა ბრაჰმანმა სინამ, რომელსაც მმართველისთვის შეცდომებზე ოსტატურად მინიშნება სურდა, გამოიგონა თამაში, რომელშიც მთა-



ვარი ფიგურა მეფე, სხვა ფიგურების (გარემოცვისა და მსახურების) დახმარების გარეშე, წარმატებას ვერ აღწევს.

ჭადრაკის თამაშის სიანსმა რაჯაზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ამ უკანასკნელმაც ბრძენის დაჯილდოება გადაწყვიტა...

და ბრძანა სხერამმა, — მიართვიოთ სინას, რასაც მოისურვებო.

ბრძენმა სინამ ბრიყვი მმართველისთვის ჭკუის კიდევ ერთხელ სწავლება განიზრახა და ერთი შეხედვით მოკრძალებული საჩუქარი — განსაზღვრული რაოდენობის ხორბლის მარცვალი ითხოვა.

ბრძენის პირობა ასეთი იყო: ებოძათ მისთვის იმდენი ხორბალი, რამდენსაც ჭადრაკის

64-უჯრიან დაფაზე, პირველ უჯრაზე ერთი მარცვლის დადებით დაწყებული, ყოველ უჯრაზე მარცვლების გაორმაგებული რაოდენობის განთავსებით საბოლოოდ მიიღებდნენ.

სხერამი პირობას სიხარულით დათანხმდა და მსწრაფლ მისი აღსრულებაც ბრძანა, რადგან იმედოვნებდა, რომ ბრძენს ძალიან „იაფად“ გაისტუმრებდა.

მაგრამ სულ რამდენიმე წუთში გაირკვა, რომ ბრძენის მოთხოვნის შესრულება შეუძლებელი იყო. აღმოჩნდა, რომ ბატონი სინასთვის „გადასახდელი“ ხორბლის საერთო რაოდენობა 18 446 744 073 709 551 615 (18 კვინტილიონ 446 კვადრილიონ 744 ტრილიონ 73 მილიარდ 709 მილიონ 551 ათასს) მარცვალს შეადგენდა.

იმის გათვალისწინებით, რომ 20 ხორბლის მარცვლის მოცულობა, საშუალოდ, 1 კუბურ სანტიმეტრს შეადგენს, რაჯას ბრძენისთვის 922 337 203 685 კუბური მეტრი მოცულობის ხორბალი ემართა. თვალსაჩინოებისთვის კი ვთქვათ, რომ ამ რაოდენობის ხორბლის მისაღებად რაჯას დედამიწის ზედაპირი ხორბლის დასათესად რვაჯერ უნდა გადაეხნა და თან, ყოველ ჯერზე კარგი მოსავალი მიეღო... სხვაგვარადაც თუ ვიტყვიოთ, ამდენი ხორბალი პლანეტის ზედაპირს 5-სანტიმეტრიან ფენად დაედებოდა.

### უმყვარაბული ღვთაებების თამაში

დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევენ, რომ ჭადრაკის ისტორია რამდენიმე ათას წელს ითვლიდა. ვარაუდობდნენ, რომ თამაში ჯერ კიდევ ეგვიპტესა და ძველ საბერძნეთში

*ინდური მანუსკრიპტი. კრიშნა და რადჰა ჩატურანგას თამაშობენ*





*პირველიყოფილ ჭადრაკს ინდოეთში ჩატურანგა ერქვა და მას ოთხი კაცი თამაშობდა*

არსებობდა. დროთა განმავლობაში მეცნიერებამ უარყო ეს მოსაზრებები, თუმცა ლეგენდებმა XVIII საუკუნის ინგლისელ პოეტ უილიამ ჯონსს პოემა „კაისას“ შექმნისკენ კი უბიძგა.

პოემა გვიამბობს, როგორ დაატყვევა ომის ღვთაება მარსი დრიადა (ხეების მფარველი ნიმფები) კაისას სილამაზემ, რომლის გულის მოგება მხოლოდ ჭადრაკის გამოგონების შემდეგ შეძლო. სწორედ აქედან მომდინარეობს ჭადრაკის სიმბოლური ქალღმერთის — კაისას ხატებაც, როგორც ხელოვნებაში — მუზებისა.

**ჩატურანგა**

კვლევების თანახმად, ჭადრაკის სამშობლოდ მაინც ინდოეთი უნდა მივიჩნიოთ და თამაშის პირველი ფორმის წარმოშობა დაახლოებით V საუკუნის I ნახევრით დაეთარიღოს.

ჭადრაკის წინაპარ თამაშს ჩატურანგა (ჩატურ — ოთხი და ანგა — ნაწილი) ერქვა. სწორედ ასე მოიხსენიებოდა სანსკრიტზე ჯარი, რომელიც საბრძოლო ეტლებისგან, სპილოებისგან, მხედრობისა და ქვეითებისგან შედგებოდა. თამაშში სწორედ ოთხი სხვადასხვა ტიპის ჯარით ბრძოლას ასახავდა, რომელთაც მხედართმთაყრები ხელმძღვანელობდნენ.

შავი, მწვანე, წითელი და ყვითელი ფერით გამორჩეული „ჯარები“ 64-უჯრიანი ოთხკუთხა დაფის კუთხეებში იკავებდნენ ადგილს. თამაშობდა ოთხი კაცი — მეტოქეები წვეილ-წვეილად. თითოეული მოთამაშის განკარგულებაში ოთხი ქვეითი (პაიკი), თითო რაჯა (მეფე), მხედარი, სპილო (კუ) და ეტლი იყო.

ფიგურათა მოძრაობა, მინიჭებული სტატუსის მიხედვით, საბრძოლო დანაყოფების გადაადგილებასა და მოქმედებებს გამოსახავდა. სხვათა შორის, ჩატურანგას თამაშისას რაჯათი (მეფე), ქვეითთა (პაიკი) და ეტლით დაფაზე სულა ისევე კეთდებოდა, როგორც თანამედროვე ჭადრაკშია. თუმცა ის თამაშში უფრო აზარტული იყო, რადგან ფიგურათა მოძრაობას კამათლის გაგორებით განსაზღვრავდნენ.

განვითარების მორიგ ეტაპზე თამაშში ოთხი „სამხედრო ბანაკი“ ორმა ჩაანაცვლა და მას უკვე ორი ადამიანი თამაშობდა, რომელთაგან თითო 16 ფიგურას ითვლიდა. შედეგად, ორიდან ერთი მეფე მეფის მრჩეველად (ლაზიერად) იქცა. გაუქმდა კამათლის გამოყენება. თამაშის წესებთან ერთად შეიცვალა სახელიც. ის სპარსეთში ჩატრანგის სახელით გაგრცელდა, არაბთა ბატონობის პერიოდში კი თამაშს შატრანჯი ეწოდა.

**შატრანჯი**

პირველი ცნობები შატრანჯის შესახებ



ირანში 600 წლით თარიღდება. იმ დროის ისტორიულ რომანში ვკითხულობთ: „უფლის შეწვევით ის სხეებზე უფრო ძლიერი და მარჯვე გახდა ბურთაობაში, ცხენოსნობაში, შატრანჯსა და ნადირობაში“.

ჩატურანგას საბრძოლო ეტლი ირანში სპარსული მითოლოგიის მტაცებელი ფრინველით შეიცვალა, რომელიც ბედისწერას გამოხატავდა. ჯარის მფარველს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ვითარებაში შეეძლო ბრძოლის ბედის გადაწყვეტა.

638 წელს ირანი არაბებმა დაიპყრეს, რომლებმაც თამაში სხვა დაპყრობილ ტერიტორიებზეც გაავრცელეს. რამდენადაც ისლამი ადამიანისა და ცხოველის გამოსახვას კრძალავდა, ჭადრაკის ფიგურებმა, რომლებიც მანამდე მინიატიურულ სკულპტურებად იყო წარმოდგენილი, მუსლიმანურ სამყაროში აბსტრაქტული ფორმები შეიქმნა.

ფიგურების დამზადება გამოძწვარი თიხისგან დაიწყო. სიმარტივისა და სიაფის გამო კი შატრანჯმა უკვე დიდებულთა სასახლეებიდან ბაზრებსა და მღაბითთა სახლებშიც შეაღწია.

რაც შეეხება შატრანჯის წესებს, ამ თამაშში პაიკს არ ჰქონდა პირველი ორმაგი სვლის უფლება. სამაგიეროდ, მერვე რიგში გასვლის შემდეგ მას ლაზიერად გადაქცევა შეეძლო. ეს უკანასკნელი კი მაშინ ყველაზე სუსტი ფიგურა იყო, რადგან მხოლოდ დიაგონალურად, ერთი ნაბიჯით გადაადგილდებოდა. კუს, რომელიც სამ უჯრაზე დიაგონალით გადაადგილდებოდა, მხედრის მსგავსად, ფიგურაზე გადახტომა შეეძლო. არ არსებობდა როქი. მეფე, ეტლი და მხედარი სვლებს თანამედროვე ჭადრაკის წესებისამებრ აკეივებდნენ.

ფიგურათა შეზღუდული დიაპაზონის გამო, თამაში მდორედ მიმდინარეობდა, გამარ-



*XIV-XV საუკუნეების სპარსული მინიატიურა*

ჯვებად კი არა მხოლოდ შამათი, პატი ან მეტოქის „ჯარის“ განადგურება (მეფის გარდა) მიიჩნეოდა. პარტიის დაჩქარების მიზნით შემოიღეს ტაბია — ერთგვარი სიმეტრიული პოზიცია, რომელიც 15-20 სვლის შემდეგ იქმნებოდა. არსებობდა ოცამდე ტაბია და არცთუ იშვიათად მათ შთამბეჭდავი სახელები ერქვა: მუჯანახი (ფრთოსანი), მამანხი (ბრძენი), საიფი (ხმალი) და სხვ.

ჭადრაკის არაბულ ეპოქას უკავშირდება პარტიათა ჩანაწერების გაკეთება. შეიქმნა ლიტერატურაც, რომელიც თამაშის სხვადასხვა ასპექტს: ისტორიას, წესებს, სტრატეგიასა და ტაქტიკას მოიცავდა. არაბები თხზავდნენ ამოცანებსა და ეტიუდებს, რომლებსაც მანსუბებს უწოდებდნენ.

### **დილარამის შამათი**

განსაკუთრებით სახელი X საუკუნის არაბულმა მანსუბამ, პოეტური სახელწოდების მქონე „დილარამის შამათმა“ გაითქვა.



*შოტლანდიის სანაპიროებთან, კუნძულ ლიუისზე აღმოჩენილი ძვლის ფიგურები XII საუკუნით თარიღდება*

ლეგენდის თანახმად, დილარამი ცოლი იყო არაბი ვეზირისა, რომელიც ჭადრაკის თამაშის დიდი მოტრფიალე ყოფილა. ერთ დღესაც მან მთელი თავისი აგლადიდება თამაშში წააგო და აზარტში შესულმა, სხვა რომ არაფერი ებადა, ფსონად დილარამს ჩაივია.

ვეზირისთვის ეს პარტიაც წარუმატებლად წარიმართა. და როდესაც დილარამი მიხვდა, თეთრი ფიგურებით მოთამაშე მისი ქმრის მდგომარეობა უიმედო იყო და შამათი გარდაუვალი იქნებოდა, შესძახა: „გასწირე ორივე ეტლი და გადაამარჩინე!“

მართლაც, ამ პოზიციიდან თეთრები ლამაზ კომბინაციას ახორციელებენ და შანტრანჯის კლასიკური წესებით იგებენ.

### **პირველი „დიდოსტატები“ და მოჭადრაკე რაინდები**

პირველი ცნობილი მოჭადრაკე, რომლის შესახებაც უძველესი ხელნაწერებიდან ვიგებთ, 786-809 წლებში არაბეთის ხალიფის, ჰარუნ ალ რაშიდის კარის მგოსანი — აბუ ჰაფიზ შატრანჯი (რაც, შესაბამისად, ნიშნავს მოჭადრაკეს) იყო. რაც შეეხება დოკუმენტურად დადასტურებულ უძველეს საჭადრაკო შეჯიბრებებს, ასეთად იმ დროის ცნობილი ოსტატების ჯაბირს, ზაირაბსა და აბდალჯაფარს შორის გამართული მატჩების სერია შეიძლება მივიჩნიოთ.

პაექრობა 819 წელს ხორასანში იმართებოდა და მას უმაღლესი საერო და სასულიერო

რო პირი, ხალიფა ალ მამუნიც ესწრებოდა, რომელიც ჭადრაკის დიდი მოტრფიალე ყოფილა. თურმე ხალიფას გულწრფელად უკვირდა: „საოცარია, ამხელა სამფლობელოს ემართავ — აღმოსავლეთით ინდიდან, დასავლეთით ანდალუსიამდე, მაგრამ ერთი ბქწო საჭადრაკო დაფაზე 32 ფიგურასთან ვერაფერს ვხდები“.

მაშინდელი ქრონიკების თანახმად, უდიდეს მოჭადრაკეებს „ალიებად“ მოიხსენიებდნენ, რაც თანამედროვე ტიტულს — დიდოსტატს შეესაბამება...

არაბებმა შატრანჯი ყველგან გაავრცელეს. IX საუკუნეში ევროპაში ის უკვე პოპულარული იყო (არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს იმდროინდელი ჭადრაკის ფიგურები). მოგვიანებით, XI-XII საუკუნეებში, ის არისტოკრატების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი გასართობი გახლდათ (მოხსენიებულია იმ დროის ცნობილ ლიტერატურულ ნაწარმოებებში „ტრისტანი და იზოლდა“, „სიმღერა როლანდზე“ და სხვ.). თამაშს უკვე იმხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ რაინდების აღზრდის პროგრამაშიც შეიტანეს.

### **შპრისსულნი**

ერთი ხანობა რომის კათოლიკური ეკლესია კრძალავდა ჭადრაკს, რადგან მას „ეშმაკულ თამაშად“ მიიჩნევდა. მისთვის ბრძოლა არა მხოლოდ სასულიერო, საერო პირებსაც, მათ შორის საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო IX-სა და ინგლისის მეფე ედუარდ IV-საც გამოუცხადებიათ. მაგრამ როგორც ყოველთვის, აკრძალვამ საპირისპირო შედეგი გამოიღო — ჭადრაკისადმი ინტერესი უფრო გაცხოველდა. 1400 წლისთვის თამაში კვლავ დასაშვები გახდა. მეტიც, ეკლესია ჭადრაკის მეთოდებს ქადაგებასა და ღვთისმეტყველებაშიც იყენებდა.

სხვათა შორის, XVIII საუკუნეში ყაზანის მიტროპოლიტს ნოვგოროდის დეკანოზი შეურისხავს, რომ ამ უკანასკნელს სამრეკლოდან ზარების ჩამოსხნა დაუპირებია... მათი რეკვის ხმა ჭადრაკის თამაშში ხელს მიშლისო.

### **მეფის მრჩეველი — დედოფლად**

XV-XVI საუკუნეებში თამაშში ევროპელებმა ცვლილებები შეიტანეს — დაფა შავ-თეთრი გახდა (აღმოსავლეთში ჯერ კიდევ ერთი ფერისა იყო) და ახალი წესებიც შემოიღეს: საწყისი პოზიციიდან პაიკის ორ უჯრაზე გადაადგილება, აგრეთვე როქი.



„დილარამის შამათი“. თეთრები იწყებენ და იგებენ: 1.ე18+ მფ:18 2.კ15+ მფ98 3.ე18+ მფ:18 4.97+ მფ98 5.მ16X (\* შატრანჯში კუს უფლება ჰქონდა, მხედარს გადახტომოდა)

ლაზიერი და კუ უფრო ძლიერი ფიგურები გახდნენ (ამიერიდან მათ მთელ დიაგონალზე გადაადგილების უფლება მიეცათ). გარდა ამისა, ლაზიერი აღწევდა და მეფის მრჩეველის ნაცვლად, ჭადრაკის ყველაზე ძლიერი ფიგურა — დედოფალი გახდა.

ამ ცვლილებებმა ჭადრაკი უფრო დინამიკური გახადა — სწრაფი, კომბინაციური, მრავალფეროვანი ტაქტიკური შესაძლებლობების მქონე.

### პირველი ჩამაბიონი

პირველი საჭადრაკო სკოლა XVI-XVII საუკუნეებში იტალიაში ჩამოყალიბდა, რომელმაც ჭადრაკი ხელოვნების რანგში აიყვანა. XVIII საუკუნეში საჭადრაკო ცხოვრების ცენტრმა უკვე საფრანგეთში გადაინაცვლა. იმ პერიოდის უძლიერესმა მოთამაშე ფილიდორმა კი დაამტკიცა, რომ ჭადრაკი მეცნიერული შესწავლის საგანი უნდა გამხდარიყო.

XIX საუკუნეში ძლიერი საჭადრაკო სკოლები ინგლისში, გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთსა და პოლონეთში ჩამოყალიბდა. თამაშმა ატლანტის ოკეანეც გადასერა და ამერიკაშიც გავრცელდა. სწორედ XIX საუკუნეში გამოვლინდა მსოფლიოს პირველი ოფიციალური ჩემპიონიც — ვილჰელმ სტეინიც. ჭადრაკის ე.წ. პოზიციური სკოლის შემქმნელმა განსაკუთრებული როლი შეასრულა „ბრძენთა თამაშის“ განვითარებაში.



ირანში აღმოჩენილ ჭადრაკის ფიგურას VII-VIII საუკუნეებს მიაკუთვნებენ

### ჭადრაკი შხითყვში

საუბრაუდოდ, ჭადრაკი საქართველოში ინდოელი ვაჭრების ან სპარსელთა შემოტანილია. ყოველ შემთხვევაში, ის ჩვენთან არაბთა შემოსვლამდე იყო ცნობილი. ჭადრაკი გვხვდება მრავალ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროსა და ძეგლში. პირველად კი ის მოხსენიებულია XI საუკუნის საეკლესიო მოღვაწის, გიორგი ათონელის გადმოქართულებულ ბასილი დიდის თხზულებაში „ექუსთა დღეთა“. რაოდენ საპატიო ადგილი ეკავა ჭადრაკს ქართველთა ცხოვრებაში, იქიდანაც ჩანს, რომ ქალს შხითყად გენიალურ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკსაც ატანდნენ. აღმოჩენილია XII, XV და XVII საუკუნეების ქართული ჭადრაკის კომპლექტები.

### ბელა უზარიძე



კუნძულ ლიუისზე აღმოჩენილი ჭადრაკის ფიგურები



# ილიკო სუხიშვილი:

რჯინი აფიშა  
კედლიდან  
არ უნდა ბაჭრეს!

*სიკვდილის წინ ილიკო სუხიშვილმა თავის ერთადერთ შვილს, თენგიზს დაუბარა, — ყველაფერი გააკეთე, რომ ჩვენი აფიშა კედლიდან არ გაქრესო... იმიტომ არა, რომ ოჯახური ტრადიცია გაგრძელებულიყო... უფრო იმიტომ, რომ ის, რასაც თავად ემსახურებოდა, უკვე აღარ იყო მხოლოდ ამ ოჯახის მონაპოვარი — საქართველოსი იყო. და გვარიც — სუხიშვილი გაიგივებული იყო ქართული ცეკვის გენიასთან... ეს მარტო წარმატება კი არა, ტვირთიც გაზღდათ, რომელიც მათ უნდა ეზიდათ, სწორედ ისე, როგორც წარსულში მედროშეები იტვირთავდნენ ხოლმე სახელმწიფოს სიმბოლიკის, მისი ღირსების დაცვას. ადრე ალბათ ვერც იფიქრებდა, რომ მოვიდოდა დრო და მისი გვარს — სუხიშვილს მსოფლიო გაიცნობდა.*

მეჯვრისხეში დაიბადა, 1907 წელს. მამით ადრე დაობლდა, ხელმოკლედ და დუხჭირად ცხოვრობდნენ... გაჭირვებას გამოექცნენ და თბილისში დასახლდნენ.

ცხრა წლისას უკვე მნიშვნელოვანი მისია დაეკისრა, მცირე, მაგრამ მაინც წვლილი უნდა შეეტანა ოჯახის რჩენაში. ამიტომაც ხედავდნენ თბილისის ქუჩებში ხან წაბლით, ხან ხილით, ხანაც გახუთებით მოვაჭრეს. იქნებ იმიტომ, რომ უფრო დიდი გამოჩენილიყო, ვიდრე იყო, ფეხის წვერებზე დადიოდა. ამან გარკვეულწილად ფიზიკურადაც გამოაწრო...

სხარტსა და მოქნილს ძალიან კარგად გამოსდიოდა ქართული ცეკვა. ათი წლისა უკვე შეამჩნიეს და გორკის ბაღში, რესტორანში დაუთმეს სცენა საცეკვაოდ.

ვინ იცის, როგორი დაღლილი ან რა მძიმე დღეგამოვლილი, ცერებზე შემდგარი ისე იცეკვებდა ხოლმე, რესტორნიდან დიდხანს არ უშვებდნენ...

იმავე ქალაქში, სადაც ილიკო სუხიშვილი ებრძოდა დუხჭირ ყოველდღიურობას, ერთი პატარა გოგონაც ცხოვრობდა — ნინო რამიშვილი. სულ სამი წლით უმცროსი იყო ილი-

კოზე. პაეროვან სხეულს ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, რომ ცეკვა მისი სტიქია იყო, — მისი სინარული და აღმაფრენა.

ნინოს დედა — როზალია თავიდანვე ამჩნევდა გოგონას ნიჭიერებას და ცდილობდა, მისთვის ხელი შეეწყო. ამიტომაც თბილისში, იმ დროისთვის განთქმულ პერინის საბალეტო სკოლაში შეიყვანა. მარია პერინის დებიუტი სწორედ თბილისის ოპერაში მოეწყო. იგი ზომცნობილი იტალიელი მოცეკვავის, ენრიკო ჩეკეტის მოსწავლე გახლდათ. ძალიან უყვარდა ცეკვა და თავის მოწაფეებს ამ სიყვარულს გადასცემდა. მართო ის რად ღირს, რომ ვახტანგ ჭაბუკიანი მის სტუდიაში აღზარდა. ამიტომაც ძალიან ბედნიერი იყო, როცა 1936 წელს იტალიაში დაბრუნებამდე, ვახტანგ ჭაბუკიანის პირველი ქართული ბალეტის პრემიერას დაესწრო. სწორედ ეს მარია პერინი გახლდათ ნინო რამიშვილის პირველი მასწავლებელი.

მერე ყველაფერი დაახლოებით ისე მოხდა, როგორც „ვერის უბნის მელოდიებშია“. ცხადია, ფილმისეული მოჯამაგირებისა და ქურდობის ამბების გამოკლებით. ოჯახს ძალიან გაუჭირდა სწავლის საფასურის გადახდა და ნინო ცეკვიდან გამოიყვანეს. მაშინ მარია პერინი თავად ეახლა როზალიას და განუცხადა, რომ ნინო რამიშვილს უფასოდ შეეძლო მის სტუდიაში ესწავლა.

ილიკო სუხიშვილი ამასობაში გაიზარდა. კარგად მიხვდა, რა იყო მისი მთავარი საქმე. 1926 წელს დაამთავრა ალექსი ალექსიძის ქართული ხალხური ცეკვების სტუდია და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქართული ცეკვების შემსრულებელად დაიწყო მუშაობა. სულ ორი წელიწადი დასჭირდა, რომ ამავე თეატრის ქართული ბალეტის დასის სოლისტი გამხდარიყო...

ნელ-ნელა იმ გზაჯვარედინსაც მიუახლოვდით, სადაც მთავარი კვანძი უნდა შეკრულიყო — ილიკო სუხიშვილი ნინო რამიშვილს უნდა შეხვედროდა.

სწორედ იმ წელს, როცა 17 წლის ილიკომ მუშაობა დაიწყო, პერინის სტუდიის გოგონები ოპერისა და ბალეტის დიდ სცენაზე გამოვიდნენ. წარმოდგენას ილიკოც ესწრებოდა. ყველაზე მეტად ნინო მოეწონა...

დღეს აღარც იკითხავ კაცი, სად შეხვდნენ ერთმანეთს ან როგორ შეუყვარდათ... ან როგორ დაქორწინდნენ ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი. თითქოს ასეც უნდა ყოფი-

ლიყო, თითქოს დიდი ხნის წინ განისაზღვრა, რომ უნდა დაქორწინებულიყვნენ. მათი ოჯახი უნდა გამხდარიყო საფუძველი მომავალში უაღბურნატიო ქართული ანსამბლისა...

იმილის მომგვრელად ედერს, რომ ერთ დღესაც, როცა ქართული ცეკვა უნდა შეესრულებინა, ილიკომ ნინოს პარტნიორობაზე უარი თქვა. ეგონა, პერინის სტუდიის ბალეტინა ვერ შეძლებდა ქართულის ცეკვას სათანადოდ. ზომ წარმოგიდგენიათ, როგორ გაბრაზდებოდა ნინო! დაიწუნა და მერე ვინ? — ბიჭმა, რომელიც ხმაამოუღებლად დასდევდა უკან, რომელიც იმასაც კი ვერ უბედავდა, გაეცნო. ხმის გაცემაც კი აღარ ისურვა ამ „პრეტენზიული“ ბიჭისთვის. კიდევ კარგი, პერინიმ შეარიგა, აიძულა ორივე, დაეთმოთ და ერთად აცეკვა „ქართული“.

ეს ერთობა მომავალში აღარც დაშლილა... მშობლებს არ უნდოდათ ღარიბი გორელი სიძედ, ამიტომაც ქალიშვილს არჩევანს უწუნებდნენ, უშლიდნენ მასთან ურთიერთობას, მაგრამ ნინო მათ წინააღმდეგ წაიდა. ბევრჯერ უხუმრია ნინოს: ილიკოს ზურგდაკმსილი პერანგი ეცვა და ყველას ჯიბრზე სწორედ ამ ზურგდაკმსილს გაყვავიო. ესეც ნინოს სიჯიუტე...

1930 წლიდან ილიკო სუხიშვილი უკვე აღი-



ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი





ილიკო და ნინო

არებული შემოქმედია. ცეკვავდა ოპერებში „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, „ქეთო და კოტე“... უკვე ასაკოვანი, სიამოვნებით იხსენებდა, ერთხელ ავად რომ გახდა და ზაქარია ფალიაშვილმა შინ მიაკითხა... აუცილებლად უნდა წამოხვიდე, რომ სადამო არ ჩაიშალოსო. თავისი ეტლით მიიყვანა უდიდესმა კომპოზიტორმა ახალგაზრდა მოცეკვავე ოპერის თეატრამდე...

ნინო და ილიკო საესტრადო ნომრებსაც ამ-

ზადებდნენ. მაგალითად, იმდროინდელ ჰიტებზე ცეკვავდნენ რუმბასა და ტანგოს. რეპეტიციას ზშირად შინაც გადიოდნენ, გამუდმებით მუშაობდნენ.

ფურორის მოხდენაც შეეძლოთ. წარმოდგინეთ სცენა: თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ორი მოქნილი ყმაწვილი ცერებზე დგას და ცეკვავს. მათი სხარტი მოძრაობები მართლაცდა ცეცხლს ანთებს სცენაზე.

დასასრულს ერთი მათგანი ქუდს იხდიდა

სოლიკო ვირსალაძე, ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი



და მშვენიერი გრძელი თმა ეფანტებოდა — ის ნინო იყო!

მაყურებელი ოცნას არ იშურებდა.

ილიკო პირველად 30-იან წლებში გავიდა საზღვარგარეთ, ინგლისის დედოფლის წინ ქართული იცეკვა. ჯერ კიდევ მაშინ უფიქრია, რომ ოდესმე თავადაც შექმნიდა ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლს.

ილიკო სუხიშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია 1945 წელს, როცა მან, ნინო რამიშვილთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს (1950 წლიდან — აკადემიური). 1954 წლამდე ილიკო სუხიშვილი იყო ამ ანსამბლის სოლისტი. ანსამბლმა მსოფლიოს გააცნო ქართველი ერის უძველესი და უმდიდრესი ისტორია და კულტურა.

პირველ ანსამბლში ოცი ვაჟი, თორმეტი გოგონა და სამი მუსიკოსი იყო. არც ხელფასები ჰქონდათ და არც პურის წიგნაკები, რაც მაშინ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლდათ. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ მოცეკვავეს რეპეტიციასზე შიმშილისგან გული წასვლია, მაგრამ ამან ვერ დააფრთხო ვერც მოცეკვავეები და ვერც ანსამბლის მესვეურები.

50-იან წლებში ანსამბლი არა მხოლოდ საქართველოს, მთელი საბჭოთა კავშირის სავიზიტო ბარათად იქცა.



თენგიზ სუხიშვილი

*ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ძველი თბილისში, ჯანსუღ კახიძის ბაღში*





ბაბუა და შვილიშვილი

ნინო რამიშვილი



სუბიშვილები — ასე ეძახდა ხალხი ილიკოსა და ნინოს ანსამბლს, — მოსკოვში, დიდ თეატრსა და კრემლშიც ხშირად გამოდიოდნენ. ამბობენ, სტალინის ძალიან უყვარდა ილიკო. ასე ამბობდა, ეს ღმერთადელი რა განათლებულია... ფეხებშიო.

ილიკო სუბიშვილმა იცოდა, ბელადებს ასე მარტივად არაეინ უყვარდებოდათ... იცოდა და შხად იყო!

კრემლში, საქართველოს დეკადის დღეებში ილიკოც და ნინოც მონაწილეობდნენ. სტალინმა ქართველ ხელოვნებთან შეხვედრა მოისურვა თურმე. ყველანი მწკრივში დააწვეეს. სტალინმა ჩამოიარა, ყველას ხელი ჩამოართვა. ნინოს რომ მიუახლოვდა, ჩუმად ჩაულაპარაკა: — რამიშვილები მენშევიკები იყვნენ, ყველანი დასახვერტები არიან!

ნინოს ფერი წასვლია. სტალინმა თავისი საქმე შეასრულა — შეამინა. ახლა დაფავების ჯერი იყო. დიქტატურა ხომ ასეთია, ცალი ხელით მათრახს ურტყამს და მეორეთი ეფერება... ილიკოს სტალინმა: რა გაჩუქო, — ჰკითხა. ილიკომ, — თქვენნი ფოტოსურათი მისახსოვრეთ ავტოგრაფითო. სტალინმა იქნებ გაიფიქრა კიდევ გულში, შენც მაგარი ყოფილხარო... მართლაც, მეორე დილით ცოლქმრისთვის სასტუმროში მიუტანიათ სტალინის ფოტო ბელადისვე ავტოგრაფით, რომელიც რუბრისების დროს ერთგვარ თილისმად იქცა ილიკოსა და ნინოსთვის.

არავის დახმარება არ გვინდა, ოღონდ ხელს ნუ შეგვიშლიანო, — ამბობდა ნინო რამიშვილი...

თითქოსდა ვის უნდა შეეშალა ხელი ანსამბლისთვის, რომელიც ქართული სულის ზეიმს აწყობდა, მაგრამ მტერს რა დაუღუვდა ნიჭიერ კაცს. არაერთხელ სცადეს ანსამბლის დაშლა. სტატუსსაც ართმევდნენ, რადგან სახელმწიფო ანსამბლი იყო და სახელმწიფოს უფლება ჰქონდა, დაეშალა კიდევ.

1953 წელს ოფიციალურად გამოვიდა ბრძანება ანსამბლის დაშლის შესახებ. ეს განაჩენი იყო. კიდევ კარგი, იმ მძიმე წლებშიც არსებობდა კეთილსინდისიერი ხალხი. ვიღაცამ ილიკო გააფრთხილა, თუ საშუალება გაქვთ, ქალაქიდან გაქითო. სტალინის მმართველობის წლებში ეს ასე ითარგმნებოდა: „დაჭერას გიპირებენ“! ილიკო გაფარდა სადგურში, იქირავა ორი ვაგონი და იმავე სადამოს მთელი ანსამბლით გაემგზავრა! ასე გაარიდა ანსამბლი ექვსი თვით საფრთხეს. მო-

# ახლა უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი!

## საქართველოს ისტორიის ოთხტომეული უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე

14 მაისიდან „კვირის პალიტრასთან“ ერთად  
თვეში ერთხელ თითო ტომი

იმონი  
საქართველოს  
ისტორია  
შენს  
თაროზე!



საქართველოს ისტორიის ოთხტომეული პოპულარული ენითაა დაწერილი და მკითხველთა ფართო წრეზეა გათვლილი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს პირველი ნაშრომია, რომელშიც გაერთიანებულია ქვეყნის ისტორია უძველესი ხანიდან დამოუკიდებლობის აღდგენამდე. წიგნი შევსებულია ისეთი ფაქტებითაც, რომლებიც აქამდე ცენტურის გამო ისტორიულ ნაშრომებში არ იყო შესული.

ეს კრებული სხვადასხვა მოსაზრებისა და შეხედულების მქონე 13 ავტორის მიერ არის შექმნილი, რაც მისი ობიექტურობის გარანტიაა. ოთხტომეულზე მუშაობდნენ: მარიკა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ანდრია აფაქიძე, დავით მუსხელიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, ოთარ ჯაფარიძე, ნოდარ ასათიანი, გიორგი ოთხმეზური, მიხეილ სამსონაძე, გივი ჯამბურია, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მაყვალა ნათმელაძე.

ძალზე დიდი მოთხოვნის გამო გამოცემლობა პალიტრა L-მა ოთხტომეულის

სასაჩუქრე გამოცემის ტირაჟი, ორი თვის მანძილზე უკვე სამჯერ დაბეჭდა.

მიუხედავად იმისა, რომ სასაჩუქრე გამოცემა ბევრმა შეიძინა, კიდევ ბევრია ისეთი, რომელმაც მისი ყიდვა ვერ შეძლო ფასის (60 ლარის გამო), ან იმ მიზეზით, რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში წიგნის მალაზია საერთოდ არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ჩვენ გადაწყვიტეთ ამ ფორმით - წიგნი პრესასთან ერთად ყველა მსურველისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გაეზადოთ.

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული - გამოცემა, რომელიც ყველა ქართული ოჯახის წიგნის თაროზე განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს!

ისტორიის ოთხტომეულის ეს გამოცემა სასაჩუქრესგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ არ მოყვება საბიცენტრალური ყუთი ოთხივე ტომის ჩასაწყობად და მაგარ გარეკანზე ტყავის ფაქტურისანი ზედაპირის ნაცვლად მისივე მსგავსი ქალაქია გადაკრული.

იარა მთელი შუა აზია, ციმბირი, ხანდახან საკმლის ფულიც არ ჰქონდათ. ზამთარმა ვაგონებში მოუსწროთ, გაყინულები იღვიძებდნენ...

სტალინის გარდაცვალებამ ბევრი რამ შეცვალა. სამშობლოში დაბრუნდნენ.

ცხადია, წინააღმდეგობები დროდადრო მერეც ხვდებოდათ, მაგრამ არ უშინდებოდნენ, უძლებდნენ... ერთმანეთის სიყვარული აძლებინებდათ...

ილიკო გარდაიცვალა 1985 წლის 24 მარტს. ნინო რამიშვილი კიდევ 15 წელიწადს ემსახურა ორივესთვის ლამის სიცოცხლეზე ძვირფასად ქცეულ ქართულ ცეკვას. ამქვეყნიდან მართლაცდა ვალმოხდილი წავიდა, ქართული ცეკვის 90 წლის დედოფალი 2000 წლის სექტემბერში გარდაიცვალა. ორივე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში განისვენებს...

ხომ არსებობს ბედისწერა... ნინო რამიშვილს, ისევე, როგორც ილიკო სუხიშვილს, ბედმა ქართული ცეკვის მსახურება დააკისრა. მათ უკვდავ ხელოვნებას ჯერ მათივე შვილი, თენგიზ სუხიშვილი განაგრძობდა, დღეს კი ქართული ეროვნული ბალეტის სამსახურს ლეგენდარული წყვილის შვილიშვილები — ილიკო და ნინო სუხიშვილები განაგრძობენ...

**ლილა ჯიყაშვილი**



*ქართული ეროვნული ბალეტის სამსახურს დღეს ლეგენდარული წყვილის შვილიშვილები — ილიკო და ნინო სუხიშვილები განაგრძობენ*





# ჯემალ ჭკუასელი

## პარბი იქნება, ქართველები ერთმანეთს სამშობლოს სიყვარულში თუ ბავჯიბრებით!..

*„წიგნებს დეიდა მწუქნიდა. როგორც კი ახალი წიგნი გამოვიდოდა, ყიდულობდა და შინ გაზარებულს მოჰქონდა. ოჯახში მდიდარი ბიბლიოთეკა გვქონდა. მართალია, ეშმაკი და ცელქი ბიჭი ვიყავი, მაგრამ კითხვა არ მეზარებოდა“, — იხსენებს ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი. ნოდარ დუმბაძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიგელ დე სერვანტესი — ეს მისი საყვარელი ავტორების არასრული ჩამონათვალია. მისი საყვარელი ნაწარმოებების გმირები მისივე წარმოსახვაში „ცხოვრობენ“, რადგან წაკითხულ წიგნებთან დაბრუნება ჩვევად აქვს, საყვარელ გმირებთან „შეხვედრაც“ ხშირად უწევს.*

— არ ვიცი, სამშობლო ვისთვის რა არის, მაგრამ ქართველისთვის ყველაზე ძვირფასი რამ უნდა იყოს, სიცოცხლეზე ძვირფასიც. რომის იმპერია დაინგრა, კართაგენი განადგურდა, ჩვენ კი რამდენი საუკუნეა მოვდივართ! რამ გადაგვარჩინა? ჩემი აზრით, ტოლერანტობამ. შაკ-აბასს, მის ჯარსა და იდეოლოგიებს ეგონათ, ვახს რომ აჩეხავდნენ, ქართველი კაცის ცხოვრება დამთავრდებოდა, მაგრამ ხომ არ მოხდა ასე! საკუთარი სამშობლო თუ არ გიყ-

ვარს, სხვისას ვერ შეიყვარებ. კარგი იქნება, ქართველები ერთმანეთს სამშობლოს სიყვარულში თუ გაუფიბრებით. 1977 წელს ქალაქ ბერკლიში, საგასტროლოდ ვიყავი. გავოცდი, იქაურ უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში დავით აღმაშენებლის ბრძოლის სტრატეგიას ასწავლიდნენ და რამდენადაც ვიცი, დღესაც ასწავლიან. ეს ხომ ძალიან ბევრს ნიშნავს.

— ეს ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ხუმრობდა. მე რომ ბავშვობიდან ხეიბარი არ ვყოფილიყავი, აუცილებლად ფირალი ვიქნებოდიო... ის ხშირად ვინმე კერძო პირს რომელიმე იშვიათ ნაკეთობას გამოართმევდა. ეტყოდა, შინ წავიღებ, შევისწავლი და რამდენიმე დღეში დაგიბრუნებო. მეორე დღეს კი გაზეთში განცხადებას აქვეყნებდა, ამა და ამ პერსონამ საქართველოს მუზეუმს ესა და ეს ნივთი შესწირაო. ვინ იქცეოდა ასე?

— ეს ამბავი ძალიან მეცნობა და ვეღარ ვიხსენებ.

— მიგანიშნებთ, იგი წარმოშობით გურიიდან იყო.

— აა!! ექვთიმე თაყაიშვილზეა ლაპარაკი. მისი მუზეუმის გახსნაზე ვიყავი და ეს ამბავიც იქიდან მახსოვდა.

— „ბრძოლის ველზე მალე ბერდებიან, მე კი იქიდან მოვდივარ“. რომელ ცნობილ იმპერატორს ეკუთვნის ეს სიტყვები?



- ალბათ ნაპოლეონ ბონაპარტეს, არა?
- რა თქმა უნდა. ახლა კი დაასახელებთ ფრანგი მწერალი, რომელიც II მსოფლიო ომის დროს სამხედრო მფრინავი იყო და სადაზვერვო ფრენის დროს დაიღუპა.
- „პატარა უფლისწულის“ ავტორი, ხომ?
- დიახ, ანტუან დე სენტ ეგზიუპერი. ამ ხის რტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშაზე გამოსახული და მშვიდობის სიმბოლოდ მიიჩნევა.
- ზეთისხილი.
- რომელი ცნობილი დამპყრობელი გარდაიცვალა იმ წელს, რომელ წელსაც — გიორგი სააკაძე?
- ზუსტ თარიღს ვერ მეტყვი?
- 1629 წელი.
- შაჰ-აბასი.
- ისინი რუსი თავადაზნაური რევოლუციონერები იყვნენ. ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1825 წლის დეკემბერში შეიარაღებული აჯანყება მოაწვეეს. რა სახელით შემორჩნენ ისინი ისტორიას?
- დეკაბრისტები.
- რა საკითხს მიუძღვნა ილიამ 1871 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი „გამოცანები“?
- თაობათა შორის დაპირისპირებას, არა?
- დიახ, მამათა...
- (მაწვეუტინებს) მაშინ ამ დაპირისპირებას მამათა და შვილთა ბრძოლა უწოდეს.
- 1770 წელს, ერეკლე მეფემ რუს ჯარ-

- თან ერთად აწყურის ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ უეცრად რუსებმა უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე ერეკლე მარტო დარჩა. ვინ სარდლობდა რუსების ჯარს?
- გენერალი ტოტლებენი.
- „...ზოგი ციხეა შეკეოლება, ზოგი — გაფრენა, / ზოგს აუშვია ზომალდებით ნისლი აფრებად, / ზოგი მუშტია, მუქარაა, ზოგი — გინება, / ალაყაფებით, ქონგურებით რომ იკბინება! / ზოგი ამაყი ლილეოა, ზოგი — გასროლა, / ზოგიც შორიდან ცის და მიწის მოჩანს სასწორად“... ვინ არის ამ ლექსის ავტორი?
- შოთა ნიშნიანიძე. მე დასასრული მომწონს. „თვითონაც მთელი საქართველო ერთი ციხეა, / დაგიღწია მტერო, მაგრამ ვერ ავიღია“.
- რომელი ცნობილი მხედართმთავარი აარსებდა დაპყრობილ ტერიტორიებზე თავის მოსახლე ქალაქებს?
- ალექსანდრე მაკედონელი.
- რომელი კუთხის წარმომადგენლები ხსნიდნენ ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ გამოართულ საღამოებს „ღექსო, არ დაიკარგები“?
- სვანები „ლილეოს“ მღეროდნენ.
- დაასახელებთ პირველი ქართველი საზოგადო მოღვაწე, რომელიც მთაწმინდაზე დაკრძალეს.
- (ფიქრობს) მინიშნებას ვერ მეტყვი?
- მას აკაკი წერეთელმა ლექსი „განთიადი“ უძღვნა.
- დიმიტრი ყიფიანი.
- „სტალინიში თავმოყრილი იყო იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭვერმეტყველება და აზრის გადმოცემის სისხარტე. იგი ყველა მათგანზე მაღლა დგას, ბევრად უფრო მაღალია“. რომელი ცნობილი მხატვარია ამ სიტყვების ავტორი?
- მხატვარი? ზუსტად არ ვიცი, გუდიაშვილი ხომ არა?
- ცდებით.
- იქნებ, მინიშნებით გამოვიცნო.
- ის წარმოშობით ესპანეთიდან იყო...
- (მაწვეუტინებს) და საფრანგეთში გარდაიცვალა?
- დიახ.
- პაბლო პიკასო!
- ისრაელის მეფეს — სოლომონს საკუთარ ბეჭედზე ამოტვიფრული წარწერა, თუ

ცუდ ხასიათზე იყო, კარგ ხასიათზე აყენებდა, ხდებოდა პირიქითაც. რა ეწერა ბეჭედზე?

— არ ვიცი.

— „ესეც გაივლის“.

— ვაა!!! ეს როგორ ვერ გაიხსენე.

— პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა აშშ-ის იმდროინდელი პოლიტიკის პრინციპი ასე ჩამოაყალიბა: „ილაპარაკე რბილად, მაგრამ ხელში გეჭიროს...“

— იარაღი?

— „...ხელში გეჭიროს დიდი კეტი“.

— შეიძლება ითქვას, რომ გამოვიცანო.

— ძველ რომში, როცა კონსული თანამდებობას იბარებდა, ფიცს დებდა, რომ კანონებს კეთილსინდისიერად დაცავდა. რას აკეთებდა ერთი წლის შემდეგ, როცა მისი თანამდებობიდან წასვლის დრო მოვიდოდა?

— ეს მართლა არ ვიცი.

— ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, რა უნდა გაეკეთებინა?

— ძველი რომის ისტორია ასე თუ ისე ვიცი, მაგრამ ამ ფაქტთან დაკავშირებით არაფერი მახსენდება. შეიძლება სისულელე ვთქვა, ამიტომ უმჯობესია, სწორი პასუხი თქვენგან მოვისმინო და დავიმახსოვრო.

— იფიცებდა, რომ დანაპირები პირნათლად შეასრულა.

— გადასარევი წესი ჰქონიათ.

— 1829 წელს ანდრიანოპოლის ზავის შემდეგ, სამცხე-ჯავახეთიდან თურქეთში 75 ათასამდე ქართველი მაჰმადიანი გადასახლდა. რა ეწოდა ამ პროცესს?

— მუჰაჯირობა, არა?

— დიახ. რომელი ცნობილი გერმანელი პოლიტიკოსი და სამხედრო მოღვაწე არ იხდიდა გადასახადებს?

— ვერ გეტყვით.

— ადოლფ ჰიტლერი.

— მართალია, ახლა გამახსენდა, ჰიტლერი არა თუ გადასახადებს არ იხდიდა, საკუთარ მიღებულ კანონებსაც არ ცნობდა და ხშირად არღვევდა.

— დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, რომელი თანამდებობა აერთიანებდა უმაღლეს საერო და სასულიერო ხელისუფლებას?

— ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი.

— დავითის მიერ წარმოებული, რომელი ომის შემდეგ მოხდა კახეთ-ჰერეთის შემოერთება?

— (ფიქრობს) მგონი ერწუხის ბრძოლის შემდეგ, სწორად მახსოვს?

— დიახ, თარიღსაც ხომ ვერ გაიხსენებთ?

— XII საუკუნის პირველ ათწლეულში, ზუსტი წელი არ მახსოვს.

— ერწუხის ბრძოლა 1104 წელს მოხდა.

— დიახ, ეს ახლანდელი საინგილოს ტერიტორიაა.

— რა ეწოდებოდა დიდ ბრიტანეთში დედოფლის ძმას?

— ვერ გიპასუხებთ.

— კონსორედი. რომელმა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ უთხრა საფრანგეთის მოხუცებულ მეფეს, ლუდოვიკო XIV-ს შემდეგი სიტყვები: „ისეთი მოხდენით ატარებთ ასაკს, რომ ყველა ინატრებდა თქვენს ადგილზე ყოფნას“?

— თუ სწორად მახსოვს, მასთან სტუმრად ყოფნის დროს სულხან-საბა ორბელიანმა უთხრა.

— დიახ. რა წოდება ჰქონდა ლავრენტი ბერიას?

— საბჭოთა კავშირის მარშალი იყო.

— ერთხელ ჰიპოკრატეს ჰკითხეს: „მართალია, რომ გენიალურობა გადამდები აუდმყოფობაა“? — დიახ, — უპასუხა მან. — ეს იშვიათი დააუადება, მაგრამ სამწუხაროდ, არ არის...

— გადამდები. სხვა რა უნდა ეთქვა?

— გამოიცანით. რა ხდებოდა რომში 1582 წლის 6-დან 14 ოქტომბრამდე?

— (ფიქრობს) რამე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდებოდა? ვერ ვიხსენებ.

— ასეთი დღეები არ არსებობდა. პაპმა გრიგოლ XIII-მ ამ წელს გრიგორიანული კალენდარი შემოიღო.

— ჰო, ცოტა დამაბნეველი შეკითხვა იყო.

— მას უწოდებენ ყველაზე დიდ სახელმწიფოს ჯუჯათა შორის და ყველაზე ჯუჯას დიდთა შორის. რომელ სახელმწიფოზეა ლაპარაკი.

— მსოფლიოს რომელ ნაწილშია, მეტყვით?

— ევროპაში.

— ლუქსემბურგი მგონია.

— ნამდვილად ასეა. სადაური იყო დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დამაარსებელი დავით გარეჯელი?

— ასურელი მამა იყო.

— დასასრულ, დაამთავრეთ კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი გამონათქვამი: „უჭკუონი და უნამუსონი უკეთ ეწყობიან ამ...“

— „...ამ წუთისოფელში“.

თამარ კვინიკაძე



# გზები და მიმოსვლა

## 191

**ყველა გზა რომში მიდის.** გზების ქსელი 85 ათას კილომეტრზე იყო გადაჭიმული და იმპერიის შორეულ ნაწილებს დედაქალაქთან აკავშირებდა. ლარივით სწორი გზების მეშვეობით რომაელთა ჯარსა და ხელისუფლების ოფიციალურ პირებს სწრაფად მიმოსვლა შეეძლოთ.




▲ რუკაზე რომის იმპერია ფავისფრად არის მონიშნული, გზები კი — შავად.

## 192

**პირველი სამხედრო გზა რომში ძვ. წ. 312 წელს გაიყვანეს.** მას ვიააპია (ლათინურად „ვია“ ნიშნავს გზას), ანუ აპიუსის გზა ერქვა და რომიდან მიემართებოდა საპორტო ქალაქ ბრუნდიზიუმისკენ, რომელიც იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. აქ საბერძნეთიდან ჩამოსული ბევრი მოგზაური იყრიდა თავს. აპიუსის გზა მათ რომში გამგზავრებას უადვილებდა.

## 193

**ზოგმა რომაულმა გზამ 2000 წელზე მეტხანს გაძლო!** გზის თითოეულ მოსწორებულ მონაკვეთზე ფენებად ეყარა მიწა და ქვა-ლორღი. შემოდან აწვობდნენ ქვის ფილებს ან ხრეშს აყრიდნენ, რათა გზის ზედაპირი კარგად მოესწორებინათ. გზის შუაგული ოდნავ ამოზნექილი იყო, კიდეებზე კი — დამრეცი, ამიტომ წვიმის წყალი თავისუფლად იწრიტებოდა გზის ორივე მხარეს გაჭრილ წყალსადინარებში.



**194**

რომაელი ინჟინრები იყენებდნენ ხელსაწყოებს, რომელთა მეშვეობითაც ზუსტ ტოპოგრაფიულ გეგმებს ადგენდნენ. ნებისმიერი დიდი შენობის, გზის ან ქალაქის კედლის მშენებლობის დაწყებამდე ჯერ საგულდაგულოდ ამზადებდნენ გეგმას და ადგილს ზუსტად აზომავდნენ.



▲ გზის მშენებლები სწორი კუთხეების გასაკეთებლად და ხაზების გასაფლვებად ხელსაწყო გრომას იყენებენ.

**195**

ღარიბები ყველგან ფეხით დადიოდნენ. მათ არ შეეძლოთ ცხენის, სახედრის ან ეტლის დაქირავება, რომელშიც ხარები იყენენ შებმული. თუ ბედი გაუღიმებდათ, შეიძლებოდა ფორანში ჩამსხდარიყვნენ, მაგრამ ეს სულაც არ იყო კომფორტული.



**196**

ქალაქების ქუჩები გადატვირთული და ტუჭყვიანი იყო. მდიდარი მოქალაქეები მოჩარდახებული ტახტრეკანებით მგზავრობდნენ, რომელთაც ლიტერები ეწოდებოდა და მონები მხრებზე შემოდებულს დაატარებდნენ. უბრალო ხალხი კი გზაზე მწკრივად დალაგებულ ქვებზე მიაბიჯებდა, რათა ფეხი არ დაესვარათ ტალახითა და ნაგვით.

**დაუჯერებელია!**  
რომაელები ხშირად მიმართავდნენ ზოლმე ქურუმს ან მკითხავს, სანამ ხანგრძლივ მოგზაურობას შეუდგებოდნენ.

**197**

მძიმე ტვირთი ხშირად წყლის ტრანსპორტით გადაჰქონდათ. დიდი სატვირთო მანქანები რომის ხანაში არ არსებობდა. ზომალდები დაცურავდნენ აფრებისა და მონების მიერ ნიჩბების მოსმის მეშვეობით, ასე გადაჰყავდათ ხალხი და გადაჰქონდათ ტვირთი ზღვასა თუ მდინარეზე. რომაელთა წყლის ტრანსპორტს ხშირად თავს ესხმოდნენ მეკობრეები და გემების დაღუპვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.



▲ გემთმშენებლობა რომაელებმა ბერძნებისგან ისწავლეს. თუმცა რომაელები არ ყოფილან მაინცდამაინც კარგი მეზღვაურები და გემების კონსტრუქციას ვერაფერი შემატეს.

# ბათსრაბი რომში

## 198

ჩვენამდე მოაღწია უამრავმა ნივთმა, რომლებიც რომაულ პერიოდზე მოგვითხრობენ. იმ მიწებზე, რომლებიც რომის იმპერიაში შედიოდა, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მრავალი შენობის ნანგრევი, მათ შორის სასახლეები, ციხესიმაგრეები, აკვედუკები, ტაძრები, საავადმყოფოები, თეატრები და ნასახლარები. იპოვეს რომაული ხელოვნების ნიმუშები, ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ლამაზი სამკაულები, შესანიშნავი თიხის ჭურჭელი, კარგად დამუშავებული მინა, ბევრი ხელსაწყო და ნივთი, რომელთაც რომაელები ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდნენ.



ჩახლართული რომაული მოზაიკა



ამ ფარნებში სინათლისთვის ზეითუნის ზეთს უკიდებდნენ ცეცხლს

ქანდაკების მიხედვით შეგვიძლია მივხვდეთ, როგორ გამოიყურებოდნენ რომაელები



## 199

ახლაც შეგვიძლია ვნახოთ რომაულის მსგავსი ნაგებობები. XX საუკუნემდე ყველაზე გრანდიოზულ და მნიშვნელოვან ნაგებობებს ხშირად რომაული სტილით აგებდნენ. არქიტექტორებს სჯეროდათ, რომ ასეთი შენობები მნახველს მოწიწებს ადუძრავდა. ამ მიზეზით არის, რომ ვეროპისა და ამერიკის, ასევე აზიის ბევრ დიდ ქალაქში ყველგან არის ეკლესიები, მუზეუმები, ხელოვნების გალერეები, სასწავლებლები და თვით ბანკებიც კი, რომლებიც რომაულ ტაძრებსა და მდიდრულ ვილებს მოგვაგონებს.



რომაული ჭურჭელი



**უკანაშხე კითხვებზე**

1. ვინ იყო რომაული ღმერთების მეფე?
2. როგორია ვინმეს სახლში მოწყობილი მცირე სამლოცველოს მართებული სახელწოდება?
3. როდის გაიყვანეს რომში პირველი გზა?
4. რა ქრონოლოგია მოხარდახებულ ტახტზევანს?

იანსიამ ჟ  
 ჭ ზღ ჭ ზღ  
 რედაქცი  
 /აღსანიშნავი/აღსანიშნავი  
 იანსიამ ჟ  
 იანსიამ ჟ  
 იანსიამ ჟ



რომაულ მონეტებზე  
 იმ დროის გუგუნიან  
 ადამიანებს  
 გამოსახავდნენ,  
 უმეტესწილად  
 იმპერატორებს

რომაელ ხალხს  
 ძვირფასი, ნატიფი  
 სამკაულები უყვარდა



**200** ბევრ ადამიანს ახლაც რომაული სახელი ჰქვია. მსოფლიოს ბევრ ნაწილში მშობლები კვლავაც არქმევენ შვილებს რომაულ ან ლათინურ სიტყვებზე დაფუძნებულ სახელებს. აი, რამდენიმე პოპულარული სახელი: ამანდა (საყვარელი), დიანა (მთვარის ქალღმერთი), ვენერა (სიყვარულის ქალღმერთი), პატრიცია (კეთილშობილი), ლაურა (დაფნის ხე), ვირჯინია (ქალწული, უმანკო), იულიუსი (რომაული გვარი), ენტონი (რომაული გვარი), მარტინი (ომის ღმერთი), მარკუსი (ომის ღმერთი), ვიქტორი (გამარჯვებული), ვინსენტი (დამპყრობელი).

▲ არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი ნივთებით უკეთ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ ცხოვრობდნენ ძველი რომაელები.

# დიდი თაგაზი


## 201

გლადიატორებს, მაყურებლისთვის რომ ესიამოვნებინათ, სულის ამოხდამდე უნდა ებრძოლათ. ისინი არენაზე (დია სივრცე გარშემო მრავალღონიანი დასაჯდომი ადგილებით) იბრძოდნენ ბევრნაირი მახვილით, შუბით, დანითა და სხვა იარაღით. გლადიატორთა ყველა ბრძოლა არ მთავრდებოდა სიკვდილით. ზოგიერთს უფლებას აძლევდნენ, ეცოცხლა, თუკი მამაცურად და ოსტატურად იბრძოლებდა.

შეტაკებების უმეტესობა რომში ეწყობოდა, მაგრამ იმპერიის თითქმის ყველა ქალაქში იყო საბრძოლო არენები. მათ გარეულ ცხოველებთან შერკინებისთვის და დამნაშავეთა დასასჯელადაც იყენებდნენ. ძველი რომაელებისთვის ძალადობა და სისხლის ღვრა გასართობს წარმოადგენდა.

► დამარცხებული გლადიატორი მარცხენა ხელის აწევით მაყურებელს შეწყალებას სთხოვს. გამარჯვებული მებრძოლი მაყურებლის ნიშანს ელოდება — მოკლას თუ დაინდოს მეტოქე.








# 204

**გლადიატორთა პირველი ბრძოლები ყოველთვის დაკრძალვის ცერემონიის ნაწილი იყო.** გლადიატორთა სანახაობის აღმნიშვნელი სიტყვა „მუნუსი“ მიცვალებულისადმი პატივის მიგებას აღნიშნავდა. პირველი ბრძოლები სწორედ პოლიტიკოსების ან დიდგვაროვანთა დაკრძალვებისას ეწყობოდა, რომლებიც თავიანთ ანდერძში მოითხოვდნენ ბრძოლის გამართვას.




► პირველი გლადიატორები, როგორც წესი, ხანდაზმული მონები იყვნენ ან შფოთის-თავეები, რომელთა სიცოცხლე პატრონებს დიდად არაფრად უღირდათ.

# 205

**დაკრძალვის ადრეულ თამაშებზე საკვები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გლადიატორები.** რომაელები დაკრძალვებს იმისთვის იყენებდნენ, რომ საჯაროდ წარმოეჩინათ საკუთარი სიმდიდრე და გავლენა. უფასო საჭმელ-სასმელი გაწყობილი ხვდებოდა თითოეულ რომაელ მოქალაქეს, ვინც მისვლას მოისურვებდა. ჩუქნიდნენ ფულს, ძვირფასეულობასა და ტანსაცმელს. გარდაცვლილის ოჯახის წევრებს საუკეთესო სამოსი უნდა სცმოდათ. გლადიატორთა პირველი ბრძოლებიც ამ სამკლოვიარო ცერემონიის ნაწილი იყო.

# 206

**გლადიატორებს სახელი თავიანთი საბრძოლო იარაღის მიხედვით ეწოდათ.** სიტყვა „გლადიატორი“ ნიშნავს „ადამიანს, ვინც გლადიუსს იყენებს“. გლადიუსი მოკლე, მეტოქის განსაგმირავი მახვილი იყო, რომელსაც რომაელი ჯარისკაცები იყენებდნენ. სიგრძით დაახლოებით 40 სანტიმეტრს აღწევდა და ძალიან ბასრი წვეტი ჰქონდა. ძირითადად, ასაჩეხად გამოიყენებოდა და არა დასაჭრელად. ყველა გლადიატორი როდი იბრძოდა გლადიუსით, თუმცა არენაზე გამოსულ ყველა მებრძოლს მაინც გლადიატორს უწოდებდნენ.







დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი

					1 წერილი ტელად	2 რომის პაპის გვირგვინი		3 ტელეგრაფი საბრძოლო თვსაბურავი	4 ორსაზოგანი ღმერთი (რომ. მთი)
					5 ჟურნალის (კალკულა) თავი			6 ქართული პოეტი მუჟე	
								7 იუგენის დღაქალაქი	
					8 საბრძოლო მანქანა				
9 ტელეგრაფი ესპანური სამანძიანი გეზი						10 ოსმალეთის მთავრობის დიპლომატი- ური მეტსახელი			
								11 ჯარების გადაადგილება სამარ ვიტარებაში	12 ტურ პეიერდლის ერთ-ერთი ნაგი
		13 პირველი ქალი	14 დროის დიდი ისტორიული მონაკვეთი			15 მსოფლიო კინოს ლეგენდა	16 სექსუალი კრება		17 ისტორიული დაბადებული ებრეული
			18 ვენესუელის პრეზიდენტი						
			19 ჟან დარკის გმირობის ქალაქი			20 ბასკური ტერიტორიული დაჯგუფება			
						21 ერო მონარქიაში გაერთიანებულ ქვეყნები	22 თურქ და მონღოლ მომთაბარეთა ბანაკი		
	23 სერბეთის პრეზიდენტი 2004-2012 წწ.	24 მუსოლინის მეტსახელი							
	25 გამოცდილი ომგადახდილი მეომარი	26 ანერბაიჯანის პრეზიდენტი							27 ისტორიული მხარე საქართველოში

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

1. შაბილი; 2. წიწამური; 3. ლენინი; 4. რუდანი; 5. ღუმე; 6. შხუნა; 7. აპარტეიდი; 8. სოფია; 9. ტიტო;  
10. ოდისეა; 11. ვაგარინი; 12. პროტესტი; 13. ტაიბეი; 14. ჩურჩილი; 15. კამო; 16. გვინეა; 17. ბერა; 18. კასტა;  
19. აბისინია; 20. ელჩი; 21. ბასი; 22. ირა; 23. კარზაი; 24. კუკი; 25. ალი. სურათზე: მარლ დე ვილი.